ფილოსოფიის ინსტიტუტი

ვ. ქვაჩახია

# ლოგიკის ზოგიერთი პრობლემა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1956

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საბჭოთა ლოგიკოსების უკანასკნელი წლების მუშაობამ მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოასწორა ლოგიკის საკითხების დამუშავებაში არსებული ჩამორჩენა, რაც ამ მეცნიერების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულებით იყო გამოწვეული. ლოგიკის პრინციპული საკითხები დღესაც სადავო და გადაუწყვეტელია. ამისათვის კი სერიოზული გამოკვლევებია საჭირო.

წინამდებარე ნაშრომს არა აქვს პრეტენზია არც ყველა სადავო საკითხის განხილვისა, არც დასმულ საკითხთა საბოლოო გადაწყვეტისა.

თუ მკითხველი გაითვალისწინებს ლოგიკის სადღეისო მდგომარეობას, ნებისმიერად შერჩეულად არ ჩათვლის იმ საკითხებს, რომლებზეც წინამდებარე ნაშრომშია მსჯელობა; იგივე მდგომარეობა ახსნის საკითხების განხილვის პოლემიკურ ხასიათსაც.

აზროვნების კანონების საკითხი სადავო საკითხი იყო ლოგიკის მთელი ისტორიის განმავლობაში, დღეს ამ საკითხს განსაკუთრებული აქტუალობა აქვს. აზროვნების ცნობილი კანონების დიალექტიკის კანონებთან ურთიერთობის გაგება გადაგვაწყვეტინებს დღეს ყველაზე სადავო და აქტუალურ საკითხს — ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის საკითხს. აზროვნების კანონების ის „გაგება“, რომ ისინი შეუთავსებელნი არიან დიალექტიკის კანონებთან, განვლილ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამ საკითხში აზრთა პრინციპულ სხვაობას ჯერაც აქვს ადგილი ჩვენს ლოგიკურ ლიტერატურაში.

ლოგიკის ისტორიაში ასევე სადავო და გადაუწყვეტელი იყო ე. წ. გვარისა და სახის დამოკიდებულების საკითხი. ჩვენს ლიტერატურაშიც ამ საკითხზე ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული, რაც არსებითად დაუკავშირდა ე. წ. ცნების კონკრეტულობის საკითხს. ამასთან ეს უკანასკნელი უშუალოდ უკავშირდება საკითხს აზროვნების კანონების შესახებ.

წინამდებარე შრომა ამ საკითხებზე არსებულ მოსაზრებათა კრიტიკული განხილვისა და მართებული აზრის დადგენის ცდას წარმოადგენს.

1955 წ. სექტემბერი. ა ვ ტ ო რ ი

## თავი პირველი

# ზოგადის საკითხი

§ I. „საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდან უნდა იწყებოდეს აზრთა მსვლელობა და მისი შემდგომი განვითარება სხვა არაფერი იქნება, თუ არა ისტორიული პროცესის ასახვა აბსტრაქტული და თეორიულად თანმიმდევრული ფორმით; ასახვა შესწორებული, მაგრამ შესწორებული იმ კანონების შესაბამისად, რომელთაც თვით ნამდვილი ისტორიული პროცესი იძლევა, ამასთან ყოველი მომენტი შეიძლება განხილულ იქნას მისი განვითარების იმ პუნქტში, სადაც პროცესი სრულ მომწიფებასა და კლასიკურ ფორმას აღწევს“[1].

აქ რამდენიმე მომენტია საინტერესო. ამჟამად კი ენგელსის ეს დებულება ერთი მდგომარეობის გასარკვევად დაგვჭირდა; სახელდობრ: მეთოდი, რომელზეც აქ ლაპარაკია, დიალექტიკური მეთოდია. როგორც ვ. ლენინი აღნიშნავს, მარქსმა ეს მეთოდი „კაპიტალში“ განახორციელა. ეს მეთოდი არა მარტო პოლიტეკონომიისათვის, საერთოდ ყველა მეცნიერებისათვის აუცილებელი მეთოდია. ამიტომ თვით მეცნიერული (დიალექტიკური) მეთოდის, შემეცნების ბუნების შესახებ კვლევაც ამ მეთოდით უნდა მოხდეს. ნათლად რომ გადმოვცეთ რისი თქმაც გვსურს, ვ. ლენინის შემდეგ სიტყვებს მოვიყვანთ: „მარქსი „კაპიტალში“ თავდაპირველად ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიული (სასაქონლო) საზოგადოების ყველაზე უბრალო, ჩვეულებრივ, ძირითად, ყველაზე მარტივ, ყოველდღიურ, მილიარდჯერ ნახულ ურთიერთობას: საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ანალიზი ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ „უჯრედში“) ამეღავნებს თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობას (respective ყველა წინააღმდეგობის ჩანასახს). შემდგომი გადმოცემა გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას

[1] პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 311, ფ.. ენგელსის რეცენზია.

(ზ რ დ ა ს ა და მ ო ძ რ ა ო ბ ა ს ა ც), მისი ცალკე ნაწილების ჯამში, მისი დასაწყისიდან მის დასასრულამდე.

ასეთივე უნდა იყოს დიალექტიკის გადმოცემის (respective შესწავლის) მეთოდიც საზოგადოდ (ვინაიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსის ნაწერებში მხოლოდ დიალექტიკის კერძო შემთხვევაა). უნდა დავიწყოთ უმარტივესით, ჩვეულებრივით, მასობრივით ete"[1].

ამრიგად, ზემოთ მინიშნებული საკითხი ასეთ სახეს მიიღებს: არის თუ არა შესაძლებელი შემეცნების დიალექტიკაც ისევე იქნეს წარმოებული, როგორც ეკონომიური ურთიერთობის დიალექტიკა. ზემოთ მოყვანილი ამონაწერი ამას არა თუ შესაძლებელს, არამედ აუცილებელს ხდის.

სახელდობრ, რა უნდა იქნეს მიჩნეული გამოსავალ წერტილად, უჯრედად, მასობრივად, ელემენტად, ყველაზე მარტივად? ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ ერთ მდგომარეობას უნდა მიექცეს ყურადღება: „საიდანაც ისტორია იწყებს, იქიდან უნდა დაიწყოს ლოგიკურმა"... წერს ენგელსი (იხ. ზემოთ მოყვანილი ციტატი). საიდან იწყებს ისტორია? ამის გამორკვევა, ე. ი. ლოგიკურისათვის, აზრისათვის საწყისის მონახვა ხომ უკვე იქნება გარკვეული დასაწყისი ამ საწყისამდე? რაში შედის ის გზა, რომელიც აზრმა უნდა განვლოს, რათა ისტორიულად საწყისი პუნქტი კვლევის საწყის პუნქტად გაიხადოს? მოკლედ: ლოგიკურს, აზრის ლოგიკურ მსვლელობას არ შეუძლია უშუალოდ იმ პუნქტიდან დაწყება, საიდანაც ისტორია იწყებს. დასაწყისის საკითხშიც მარქსის მატერიალისტური დიალექტიკა პრინციპულად უნდა გაეგიჯნოს ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას. თუ ჰეგელისათვის ლოგიკურის დასაწყისი წმინდა დასაწყისია, დასაწყისის ცნებაა, არარაობაა, როგორც დასაწყისი[2] და ამდენად ჰეგელისათვის გადვილებულია მდგომარეობა, მატერიალისტური დიალექტიკის ნიადაგზე მდგომს არ შეუძლია აზრის ასეთივე დასაწყისიდან გა-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი-ენგელსი-მარქსიზმი, დიალექტიკის საკითხისათვის თბილისი, 1948, გვ. 356. ხაზგასმა ყველგან ვ. ლენინისაა.

[2] ხოლო, რადგანაც ის რაიმეს დასაწყისია, ამიტომ არარაობასთან ერთად, რაობაც არის. დასაწყისი «Ничего не предполагает, ничем не опосредствовано, не имеет никакого основания». Гегель, Наука логики, Соч., т. V, Москва, 1937, стр. 50.

მოსვლა. აზრის დასაწყისი რაიმე არსებულია[1] და ამიტომ მას, როგორც დასაწყისს მიგნება სჭირდება. აზროვნების პროცესის ეს ფაქტობრივი მდგომარეობა მარქსს ასე აქვს დახასიათებული: „აზროვნება ადამიანის ცხოვრების ფორმების შესახებ და, მაშასადამე, მისი მეცნიერული ანალიზიც საერთოდ წინააღმდეგობრივი მიმართულებით მიდის, ვიდრე ამ ცხოვრების ნამდვილი განვითარება. იგი Postqestum (შემდეგ) იწყება და ამიტომ განვითარების პროცესის დამთავრებული შედეგიდან გამომდინარეობს"[2].

ამრიგად, ჩვენი აზრით, ენგელსის დებულების მატერიალისტურ აზრს დაამახინჯებს, ვინც ამას არ გაითვალისწინებს ლოგიკური დასაწყისისა და ისტორიულად პირველის ურთიერთობის საკითხზე.

ზემოთქმულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ დასაწყისი, რომლიდანაც გამოსვლით შემეცნების დიალექტიკა, შემეცნების ლოგიკა უნდა იქნეს ნაჩვენები, მონახვას საჭიროებს.

§ 2. „ადამიანი არის, — წერს მარქსი, —Zoon politicon, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არა თუ საზოგადოებრივი ცხოველი, არამედ აგრეთვე ისეთი ცხოველი, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განცალკევება"[3]. ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი ცხოველის, არსებას, მარქსისავე დახასიათებით, იარაღის კეთება შეადგენს, ე. ი. ადამიანი ისეთი ცხოველია, რომელმაც ბუნებისაგან გამოყო თავისი თავი, ბუნებას დაუპირისპირდა იმით, რომ შეძლო ბუნებასა და მის შუა მოეთავსებინა საგანი, რომელიც გარკვეული მიზნის მისაღწევად საშუალების როლს ასრულებს—იარაღს წარმოადგენს. ბუნებისავე საგნის ბუნების მიმართ გამოყენებისათვის ცალკე გამოყოფა, სახის შეცვლა, იარაღად გადაქცევა და შემდგომი მისი გარკვეული მიზნით გამოყენება, ადამიანის ბუნებაზე მოქმედების გაშუალება, თავისებურ ასახვას გულისხმობს. ასახვა, რომელიც პირობად უდევს ადამიანის გაშუალებულ მოქმედებას (იარაღის მეშვეობით მოქმედებას), თვითონაც უნდა იყოს ასეთი ბუნების. ასეთი სახის

---

[1] ჰეგელი კი პრინციპულად იმისი წინააღმდეგია, რომ აზრს რაიმე მის გარეშე არსებული დაუპირისპირდეს, როგორც მისი შესაძლებელი შინაარსი,—მისი ობიექტური იდეალიზმის არსი სწორედ ამაშია—აზრს შეუძლებელია სხვა შინაარსი მიეცეს, გარდა აზრისა.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 42.

[3] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 257.

ასახვა არის ასახვის უმაღლესი ფორმა — გაშუალებული ასახვა, ანუ აზროვნება.

ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, გრძნობათა ორგანოებით ასახავს სინამდვილეს, გრძნობათა ორგანოებით ამყარებს გარემოსთან კავშირს. ადამიანისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური მოქმედებისათვის — იარაღის კეთებისა და გამოყენებისათვის გრძნობადი ასახვა გამოუსადეგარია, უფრო ზუსტად — მას მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული როლი შეუძლია შეასრულოს. გრძნობათა ორგანოებით ასახული უშუალოდ მოცემულია. მასზე დამყარებული მოქმედებაც უშუალო მოქმედებაა[1]. გაშუალებულ მოქმედებას თავისი შესაბამისი ასახვის ფორმა ჭირდება. ასახვა იმისა, რაც უშუალოდ მოცემულში არა ჩანს, მასში დაფარული და მის არსებას შეადგენს. ასეთი ასახვის უნარის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის სპეციფიკური მოქმედება — მოქმედება, რომელიც არა უშუალოდ, არამედ გაშუალებით, შემოვლითი გზით დაკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას; მოქმედება, რომლის შესრულება არ იწვევს უშუალოდ ადამიანის საარსებო რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, არამედ ქმნის საშუალებას შემდეგში ასეთი მოთხოვნილების წარმატებით დაკმაყოფილებისათვის. ასეთი მოქმედება საგანთა შორის გარკვეული მიმართების დამყარებას ნიშნავს. ასახვის ფორმა, რომლის საფუძველზეც ასეთი მიმართების დამყარება უნდა მოხდეს, თვითონაც უნდა გულისხმობდეს ამას. ე. ი. მან უნდა ასახოს არა ინდივიდუალურ საგანთა კერძო თვისებები, არამედ ასეთ საგანთა ისეთი თვისებები, რომელთა გამო ამ საგნებს შორის გარკვეული მიმართებაა, ე. ი. ასახვის ამ ფორმამ—აზროვნებითმა ასახვამ — უნდა ასახოს ისეთი თვისებები, რაც საერთოა განსხვავებულ საგანთა შორის, ანუ ზოგადი ნიშნებია, ზოგადი თვისებებია. ამიტომ, ცოდნა სინამდვილისა, რომელიც აზროვნებითი ასახვით მიიღწევა — ზოგადის ცოდნაა, ზოგადი თავისი ბუნებით[2].

---

[1] გრძნობით მოცემულის უშუალობაზე რომ ვლაპარაკობთ, ეს რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება იმას, რომ თვით გრძნობათა ორგანოები, შეგრძნების უნარი მთელი კაცობრიობის პრაქტიკით, ისტორიით არის გაშუალებული. აქ ეს საკითხი არ დგას.

[2] ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ ცოდნა ზოგადია, რომ რაიმეს შესახებ ცოდნა და გამოთქმა რაიმესი ნიშნავს ზოგადის გამოთქმას მის შესახებ. ერთეული ერთეულზე არ გამოითქმის.

ამიტომ ზოგადი, ანუ ზოგადობა არის ცოდნის ისეთივე „მასობრივი, ყველგან შესამჩნევი, უბრალო, ძირითადი, ჩვეულებრივი, მილიარდჯერ ნახული“ უჯრედი, ელემენტი, როგორც, ვთქვათ, საქონელია ბურჟუაზიული მეურნეობისათვის.

ამრიგად, ზოგადის ბუნება, ზოგადის დიალექტიკა უნდა დადგინდეს, შემდეგ კი ის უნდა გახდეს გამოსავალი შემდგომი კვლევისათვის.

§ 3. ზოგადი, მარქსის დახასიათებით, არის ის, რაც საერთოა („საყოველთაო, ანუ შედარების გზით გამოყოფილი საერთო“[1]). მოვლენებში კი საერთო, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რაც მათ არსებას, კანონზომიერებას შეადგენს. მოვლენებში საერთო კი გრძნობადად მიუღწეველია, გრძნობადად არ ჩანს. ის ისაა, რაც გრძნობადობას მოკლებულია, ამიტომ გრძნობადისაგან განყენებით, გრძნობადის, ასე ვთქვათ, ჩამოცილებით შეიძლება ზოგადის მიღწევა. ასეთი რამ მხოლოდ აზროვნებითაა შესაძლებელი. აზროვნების ეს უნარი ცნობილია, როგორც აბსტრაქციის უნარი. ამდენად ზოგადობას შეიძლება აბსტრაქტულობა ვუწოდოთ, ამით კი ზოგადობის საკითხი აბსტრაქციის საკითხის სახეს მიიღებს.

საყოველთაოდ ცნობილია მარქსის გამოთქმები:

1. „ღირებულებას თავისი ვინაობა შუბლზე არ აწერია“[2].

2. „ღირებულების სიდიდის განსაზღვრა სამუშაო დროით არის საიდუმლობა, რომელიც დაფარულია საქონელთა შეფარდებითი ღირებულების თვალით დასანახ მოძრაობაში“[3].

3. ეკონომიური ფორმების ანალიზის დროს მიკროსკოპისა და ქიმიური რეაქტივების მაგივრობა „აბსტრაქციის ძალამ უნდა გასწიოს“[4].

ამ გამოთქმათა აზრი ცხადია: ზოგადის, კანონზომიერების მისაღწევად გრძნობადი შემეცნების საზღვრების გადალახვა და სპეციალურად ადამიანური უნარის — აბსტრაქციის გამოყენებაა აუცილებელი. ამის დავიწყება ან ვერ გაგება ყოველთვის ტრაგიკული შედეგით მთავრდება: — ზოგადის ბუნების უარყოფას გვაძლევს და ამ გზით მიდის ცოდნის შეუძლებლობის მტკიცებამდე. ეს გზა ემპირიზმის გზაა, რომელიც ნომინალიზმის გავლით

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 258. „ის, რაც საერთოა ბევრის, ყველასი“, იქვე, გვ. 287.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, გვ. 40.

[3] იქვე, გვ. 41.

[4] იქვე. პირველი გამოცემის წინასიტყვაობა.

აგნოსტიციზმით ამთავრებს ყოველთვის. ძველი ისტორია რომ არ გავიხსენოთ, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიაც ამის ცხად მაგალითს წარმოადგენს. ავიღოთ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფოსის — ჩეიზის მაგალითი.

ჩეიზმა კაცობრიობის რეფორმატორობის სურვილითა და იდეით დაიწყო. თავისი წარუმატებლობა იმით ახსნა, რომ საზოგადოებასთან გაგებას ვერ მიაღწია. რატომ? — სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ—დაასკვნა მან. კაცობრიობა ხმარობს ისეთ სიტყვებს, რომელთაც ცხადად გარკვეული შინაარსი არა აქვთ, ჩეიზის გამოთქმით, რეფერენტი არ მოეპოვებათ. ამაშიაო, გვიხსნის ჩეიზი, კაცობრიობის უბედურება — სიტყვების, გაუგებარი და უშინაარსო სიტყვების გამოა მსოფლიოში ამდენი ომები და უბედურება ატეხილი; სიტყვებია კაცობრიობის ნამდვილი ტირანი! (წიგნის სათაურიც ასეთია — „სიტყვების ტირანია“).

არის სიტყვები, ამბობს ჩეიზი, რომელთაც რეფერენტი მოენახებათ და ამდენად არსებობის უფლებასაც ინარჩუნებენ. ასეთებია, მაგალითად, წყალბადი, ფანქარი და სხვ. მაგრამ სიტყვები— კაპიტალი, მასები, ფაშიზმი, უოლსტრიტი, ალამი, სამშობლო, კონსტიტუცია, კანონი, კაცობრიობა, ერი, პროგრესი, კომუნიზმი, თავისუფლება, შრომა და სხვა ურეფერენტოა! ადამიანები ამ სიტყვებს შეცდომით ღებულობენ საგნებად და შემდეგ მათ გამო იწყებენ ერთმანეთში დავასა და ბრძოლას. სინამდვილეში ისინი ცარიელი სიტყვებია. დაიძახეთ რაც შეიძლება ხმამაღლა — „ჰეი, კაცობრიობავ“! თქვენ არავინ გაგცემთ პასუხს. თქვენ შეიძლება გიპასუხონ ცალკეულმა ადამიანებმა—ადამ1, ადამ2, ადამ3, და ა. შ. ადამ 2000000000, ცალ-ცალკე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კაცობრიობამ!

სოციალური დაკვეთა და ჩეიზის ერთგულება თავისი პატრონებისადმი ცხადია. — კაპიტალის ტირანია კი არა, არამედ სიტყვების ტირანია; კაპიტალის ტირანია მოჩვენებაა და არა რეალობა. — კარგი სამსახურია ამერიკის ბურჟუაზიისათვის, მისი არსისა და მდგომარეობის ასე წარმოდგენა. მაგრამ ჩვენთვის არსებითი, ამ შემთხვევაში, საქმის ფილოსოფიურ-ლოგიკური მხარეა.

მართალია, კაცობრიობა ან ერი თვალით არავის უნახავს, არც კაპიტალს, კანონს ან კონსტიტუციას შეხებია ხელით არავინ; და ამის გამო ისინი ცარიელი სიტყვებია? თუ ასეა, რა უფლებით ლაპარაკობს ჩეიზი ფანქარზე, წყალბადზე, სად ან როგორ იპოვა მან მათი რეფერენტები? მას შეუძლია ნახოს აი ეს ფანქარი, წი-

თელი ან შავი, დიდი ან პატარა, მაგრამ ფანქარი საერთოდ, წყალბადი საერთოდ ისევე ნაკლებ დასანახია, როგორც კაცობრიობა, კაპიტალი, კანონი და ა. შ. ვინც ამ უკანასკნელთ უარყოფს, მან საერთოდ უნდა უარყოს ზოგადი, ცნება; ამით კი უნდა უარყოს საერთოდ ცოდნის შესაძლებლობა და იუმის ძველ გზას დაადგეს. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიისათვის ეს უცხო არ არის!

საინტერესოა ერთი მდგომარეობაც. თვით სიტყვები — ტირანია, სემანტიკა და ა. შ. რალაა? სადღა ყავთ მათ რეფერენტები? სწორად შენიშნავს კორნფორტი: «...Он делал именно то, чего семантика, по его собственным словам, учит нас не делать. Он отвернулся от действительности и занялся «абстракциями высшего порядка» относительро слов»[1]. არავითარი უფლება, თავისი ფილოსოფიის მიხედვით, არა აქვს ჩეიზის ამაზე ილაპარაკოს, რადგანაც ის ყოველ წუთში იძულებული იქნება ურეფერენტო სიტყვები იხმაროს. ძველი ისტორია მეორდება! ფილოსოფოსი, რომელიც ზოგადის, აბსტრაქტულის, ცნების უარყოფას ცდილობს ან ამ უარყოფითვე ამტკიცებს ისევ ზოგადის არსებობას, ან უნდა დადუმდეს და უარყოფაზე ხელი აიღოს. ცნობილი წინააღმდეგობა სკეპტიკურ-აგნოსტიკური ფილოსოფიისა აქ ცხადად იჩენს თავს. ჩეიზი წერს: „რადიკალებს სძულთ კაპიტალიზმი, მაგრამ არავითარი ასეთი მხეცი არ არსებობს. მათ სძულთ არარაობა. ეს იმას ჰგავს, მათ რომ სძულდეთ ეშმაკი. კაპიტალი არის სიტყვა. მას არასოდეს არ შეუქმნია რაიმე, არ მოუხმარია რამე, არაფერი დასჭირვებია. სცადეთ ფოტოგრაფირება კაპიტალისა მოქმედებაში!.. ყველაზე ძლიერ მიკროსკოპსაც არ შეუძლია მისი დანახვა“.

თუ კაპიტალის არ არსებობას ამტკიცებს ის, რომ ის **მიკროსკოპით არ დაინახება**, რომელი მიკროსკოპით დაინახა, რომელი ფოტოაპარატით გადაიღო ჩეიზმა „სიძულვილი“, „რადიკალი“, „არსებობა“, „არარაობა“ და სხვა? რა უფლებით ხმარობს ის ამ სიტყვებს? ჩეიზის თანამოაზრე უაინგარტენი, აკეთებს რა „მედეას“ ანალიზს, წერს: „მედეა მოექცა ისეთი სიტყვების გიჟნოზური მოქმედების ქვეშ, როგორიცაა: „შურისგება“, „ეჭვიანობა“, „განადგურება“, „შეცოდება“ და სხვ. მაგალითად, სიტყვა „შეცოდებას“ მედეა საშინელებამდე მიჰყავს. თავისთავად ამ სიტყვას

[1] Корнфорт, В защиту философии, Москва, 1951, გვ. 142.

მაგიური მოქმედება აქვს და ის აიძულებს მედეას ჩაიდინოს საშინელი საქმეები". ვინც „ეკვიანობას", „განადგურებას", „შეცოდებას" უარყოფს იმ ს ა ბ უ თ ი თ, რომ მათი დ ა ნ ა ხ ვ ა არ შეიძლება, მას არავითარი უფლება არა აქვს იხმაროს სიტყვები—„მაგიური", „საშინელება", „იძულება" და სხვ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ვინც ამა თუ იმ ცნებას, ზოგადს უარყოფს იმ საბუთით, რომ ის თვალით არ დაინახება, მან საერთოდ ცოდნა, საერთოდ ზოგადი უნდა უარყოს, და მათ რიგში ის დებულებებიც, რომელთაც თვითონ გამოთქვამს. როგორც ზევით აღინიშნა, ნომინალიზმის, ზოგადის უარყოფის გზა, აგნოსტიციზმის გზაა.

ცხადია, ყველა ცნება, ყველა ზოგადი როდი შეესაბამება სინამდვილეს — ბევრი მათგანი მცდარია, არაფერს ასახავს. ამიტომ უნდა შევამოწმოთ ისინი (რეფერენტები მოვუნახოთ). ეს საკვლევით მისაღებია და ამაში ორიგინალურნი არ არიან ჩეიზი და მისი თანამოკალმენი. საქმე იმაშია — რას ნიშნავს რეფერენტის მონახვა, როგორ უნდა ვაწარმოოთ ეს. თუ ეს იმას ნიშნავს, რომ თვალით, თუნდაც მიკროსკოპით დავინახოთ ესა თუ ის ზოგადი, ეს იმისი მაჩვენებელი იქნება, რომ, არა თუ კაპიტალს, კანონს და ასე შემდეგ, არამედ ვერც ერთ ზოგადს ვერ დავინახავთ.

ჩვენ მიერ აღწერილ ამ მდგომარეობას შესანიშნავად ახასიათებს ე ნ გ ე ლ ს ი ს სიტყვები: ჯერ აბსტრაქციებს შექმნიან და მერე სურთ თვალით დაინახონ ისინი.

ზოგადი, ცნება აბსტრაქტულია, იდეალურია, გრძნობადობას მოკლებულია, გრძნობადად არ მიიღწევა. მისი მიღწევა სპეციფიკურად ადამიანური უნარით, მატერიის განვითარების უმაღლესი პროდუქტით — აზროვნებით შეიძლება მხოლოდ.

§ 4. თუ ცნების ანუ ზოგადის[1] აბსტრაქტულობის უგულებელყოფა მცდარობაა და იდეალიზმი, ასევე მცდარ თვალსაზრისს მივიღებთ იმითაც, თუ ცნების ამ მხარეს, გარკვეულობას გავაბსოლუტებთ. ცნების აბსტრაქტულობის აბსოლუტურად ქცევა,

[1] ზოგადის გამოთქმის არსებითი ფორმა არის ცნება. ამიტომ, გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ა ზ რ ი თ, შეიძლება ამ ცნებების ასე ხმარება—„ცნება, ანუ ზოგადი". მით უფრო, რომ ჩვენ ვიხილავთ არა საერთოდ ზოგადს, ა რ ა მ ე დ ზ ო გ ა დ ს, რ ო გ ო რ ც ც ნ ე ბ ა ს, ამიტომ და ამ აზრით ასე ხმარება უნდა გამართლებულ იქნეს (ისევე როგორც. ვთქვათ, „დიალექტიკა, როგორც შემეცნების თეორიაა" გამოვთქვამთ: „დიალექტიკა, ანუ შემეცნების თეორია"). ე. ი. იმისი თქმა გვინდა, რომ მოცემული გამოთქმის აზრი არაა ცნებისა და ზოგადის ს ა ე რ თ ო დ გაიგივება:— ცნება ხომ ზოგადის, საერთოს ა ს ა ხ ვ ა ა მ ხ ო ლ ო დ და მასთან იგივეობრივი როგორ იქნება!

როგორც ყოველი აბსოლუტურად ქცევა, თავის საპირისპიროში გადადის. უშუალოდ ცნება, ზოგადი რეალურად კონკრეტულის პრედიკატს მიიღებს და ობიექტურ იდეალიზმს ვერ გავექცევით. ეს გზა არის ჰეგელის გზა. აბსტრაქცია, აბსტრაქტული არის საგნის, რეალობის, რეალურად არსებული კონკრეტული სინამდვილის რეპროდუქცია და ამდენად თვითონაც არის კონკრეტული. ამიტომ, კონკრეტულობა ცნების, ზოგადის მეორე, აუცილებელი განსაზღვრულობაა, მეორე, აუცილებელი მხარეა და ამის — მეორე მხარის—გაუთვალისწინებლობა პირველ მხარესაც — ცნების, ზოგადის აბსტრაქტულობას მ ხ ა რ ე ო ბ ა ს დ ა უ კ ა რ გ ა ვ ს და სწორედ ამ გზით, მივიღებთ რა აბსტრაქტულის აბსოლუტიზირებას, რადგანაც არაფერი ექნება მას დაპირისპირებული, აბსტრაქტული იქცევა ე რ თ ა დ ე რ თ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ, ნაცვლად იმისა, რომ ის იყოს რეალურად არსებული კონკრეტულის რეპროდუქცია აზროვნების გზით. „კონკრეტული, — წერს მარქსი, — იმიტომაა კონკრეტული, რომ იგი მრავალ განსაზღვრათა შეერთებაა, მაშასადამე, მრავალსახეობის ერთიანობაა. ამიტომ აზროვნებაში იგი გვევლინება, როგორც შეერთების პროცესი, როგორც შედეგი, და არა როგორც ამოსავალი პუნქტი, თუმცა იგი სინამდვილეში ამოსავალი პუნქტია და მაშასადამე, ჭვრეტისა და წარმოდგენის ამოსავალი პუნქტიც“. როდესაც შემეცნების ნამდვილი გზაა აღებული, „აბსტრაქტული განსაზღვრანი იძლევიან კონკრეტულის კვლავ წარმოქმნას აზროვნების გზით. ამიტომ ჰეგელი ილუზიაში ვარდება, როდესაც მას რეალური ესმის როგორც შედეგი აზროვნებისა, რომელიც თავისში ერთიანდება, თავისში ღრმავდება და თვით თავისით მოძრაობს, მაშინ, როდესაც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე ასვლის მეთოდი მხოლოდ წესია, რომლითაც აზროვნება კონკრეტულს შეითვისებს, კვლავ წარმოქმნის მას გონებრივად როგორც კონკრეტულს, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არაა თვით კონკრეტულის წარმოშობის პროცესი“[1]. ამდენად, ნამდვილი შემეცნების გამოსავალი კონკრეტულია, მაგრამ კონკრეტული უნდა იყოს შედეგიც, ბოლოც შემეცნებისა — ცნება, ზოგადი, რომელსაც რეალური — გამოსავალი კონკრეტულის რეპროდუქცია ევალება. რა აზრით უნდა იყოს ცნება, ზოგადი კონკრეტული? რას გულისხმობს მ ა რ ქ ს ი ცნების, ზოგადის კონკრეტულობის ქვეშ?

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 281.

არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხზე ერთი, საყოველთაოდ გაზიარებული აზრი არსებობდეს მარქსისტულ ლიტერატურაში. ამასთან კი ამ საკითხის მართებულ, ნამდვილად მარქსისტულ გაგებას არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც, და უპირატესად, ლოგიკის პრინციპული საკითხების, ასევე ცნების სპეციალური პრობლემების გადასაჭრელად. ამიტომ ეს საკითხი განსაკუთრებული გულისხმიერებით განხილვას საჭიროებს.

ამბობენ, მ ა რ ქ ს ი ს დებულება—კონკრეტული მრავალსახეობათა ერთიანობაა, ლ ე ნ ი ნ ი ს ასეთივე გამოთქმა „ფილოსოფიურ რვეულებში" იმას ნიშნავს, რომ ზოგადში, ცნებაში მოცემული უნდა იყოს ერთეულთა, განსაკუთრებულთა მთელი სიმდიდრე, რომ, თითქოს ზოგადში ნაგულისხმევი (!) უნდა იყოს ამ ზოგადით გათვალისწინებულ განსაკუთრებულთა სპეციფიკური ნიშნები; რომ, თითქოს, ზოგადი „ითვალისწინებს" ერთეულთა ყველა ნიშანს[1]. ამბობენ, რომ ახლებური, დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება ცნებისა ამას გულისხმობს, წინააღმდეგ ძველი ფორმალურ-ლოგიკური გაგებისაო.

არისტოტელეს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა და შემდგომ ლოგიკამ შეინარჩუნა აზრი ზოგადი და განსაკუთრებული, ერთეული ცნებების ურთიერთობის შესახებ, რომლის მიხედვით ერთეულისათვის, განსაკუთრებულისათვის ზოგადი აუცილებელია, ისინი აუცილებლობით მოითხოვენ ზოგადს, მაგრამ თვითონ ზოგადი „გულგრილია" ერთეულთა მიმართ. „ცხენი", „ადამიანი", „ძაღლი" აუცილებლობით მოითხოვენ ზოგადს (გვარს) — „ცხოველს", მაგრამ ცხოველიდან აუცილებლობით არ გამომდინარეობს, ვთქვათ „ცხენი". ცხენი თავისი სპეციფიკური ნიშნებით შეიძლება არც არსებობდეს, მაგრამ ამით ცხოველობას არაფერი დააკლდება მაშინ, როცა ცხენი ცხოველობის ნიშნის გარეშე ვერ იარსებებს.

სხვა მხრიდან განხილვით ეს მდგომარეობა ასეც გამოითქმის: რაც უფრო ზოგადია ცნება, მით უფრო ნაკლებია მასში შინაარსი (ნაკლებ ნიშნებს შეიცავს) და, პირიქით, ნაკლებ ზოგადი ცნება მეტი ნიშნების მქონეა. ცხოველის ცნებაში შედის ნიშნები, რომლებიც ცხოველს ახასიათებს საერთოდ; ცალკეული ცხოველის, ვთქვათ ცხენის ცნებაში შედის ყველა ნიშანი ცხოველისა (რადგანაც ცხენიც ცხოველია) და მას ემატება თვითონ ცხენის სპეციფიკური ნიშნები. ცხადია, მასში მეტი ნიშნები, ანუ, როგორც ამბობენ, მეტი შინაარსი იქნება (რადგანაც ცნების შინაარსს ლოგი-

[1] проф. А с м у с, Логика, Москва, 1947, зд. 43.

ჯა განსაზღვრავს როგორც ნიშანთა ერთობლიობას). გვარი — ცხოველი მეტია მოცულობით, მაგრამ ნაკლებია შინაარსით და პირიქით, სახე — ცხენი ნაკლებია მოცულობით, მაგრამ მეტია შინაარსით. ასე ჩამოყალიბდა დამოკიდებულება ზოგად ცნებასა და მის სახეს შორის (გვარსა და სახეს შორის), რომელიც მოცულობისა და შინაარსის შებრუნებული დამოკიდებულების სახელითაა ცნობილი ტრადიციულ ლოგიკაში.

თუ ეს ასეა, ე. ი. თუ მოცულობის გადიდება შინაარსით ამცირებს ცნებას, ზოგადს, მაშინ უზოგადესი ცნებები სავსებით დაცლილი უნდა იყოს შინაარსისაგან; რაც უფრო მაღლა მივდივართ განზოგადოების გზით, მით უფრო უნდა ვშორდებოდეთ სინამდვილეს, კონკრეტულს და ცნება ბოლოს და ბოლოს ცარიელი ჩონჩხი-ღა იქნება!...

ძნელი მდგომარეობა იქმნება. ძველმა ლოგიკამ არ იცის პასუხი ამ საკითხზე. ამიტომ მისი მოძღვრება ნოყიერ ნიადაგს ქმნის კრიტიკისათვის.

პირველი, ვინც მთელი სერიოზულობით შეუტია ტრადიციული ლოგიკის ამ მოძღვრებას, ჰეგელი იყო. ეს გასაგებიცაა. მისი ფილოსოფიისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგის გამო:

ჰეგელისათვის მთელი სინამდვილე ცნებაა; მთელი სინამდვილის განვითარება ცნების განვითარებაა. ცნება გაივლის განვითარების ობიექტურ საფეხურს, როცა განვითარება წარმოებს „მის ცნობიერების ზურგს უკან", როცა ცნებამ ჯერ არ იცის, რომ ის, რაც არის, რაც ვითარდება არის თვითონ ცნება. ეს არის არსისა და არსების საფეხურები (ე. წ. ობიექტური ლოგიკის სფერო). ამ საფეხურების გავლის უშუალო რეზულტატს (როგორც ჰეგელი იტყვის, მათს ჭეშმარიტებას) წარმოადგენს ცნება, როგორც ცნება, ანუ ცნების განვითარების ის საფეხური, როცა ცნება სუბიექტური ხდება, თავის თავს გაიგებს როგორც ცნება (სუბიექტური ლოგიკის სფერო). მაგრამ ცნება, როგორც ცნება, ანუ ცნების მიერ თავისი თავის გაგება ჯერაც მხოლოდ დასაწყისია; ეს გაგება უნდა განვითარდეს. ცნების (როგორც ცნების) განვითარებას, ანუ გაშლას წარმოადგენს მსჯელობა, ხოლო ცნების საბოლოო დადგენას — დასკვნა; ცნება როგორც ცნება და ერთადერთი რეალობა დასკვნაში მიაღწევს თავის სრულ დადგენას (მთლიანობას მისივე სამივე მომენტისა: ზოგადობა, განსაკუთრებულობა, ერთეულობა). ამ გზით მიღებული დასკვნა

არის, როგორც ცნების დადგენა, საგანი. — ყველაფერი არის დასკვნა — ასეთია ჰეგელის საბოლოო დებულება[1].

ძველს ლოგიკაშიო, ამბობს ჰეგელი, ცნება, როგორც საერთოდ აზროვნება, რაღაც დაზარალებულ მდგომარეობაშია, ის წარმოდგენილია როგორც ფორმა, რომელსაც შინაარსი გარედან უნდა მიეცეს, რაღაც მისგან დამოკიდებული უნდა იყოს. ცნების ასეთ, გარედან შინაარსის მომლოდინე ფორმად განხილვა შეცდომაა. ნამდვილად ცნება მეტია, ვიდრე ფორმა, რომელიც შემდეგ შინაარსით უნდა შეივსოს. «Понятие, правда, следует рассматривать как форму, но как бесконечную творческую форму, которая заключает внутри себя всю полноту всякого содержания и служит в месте с тем его источником». ამ აზრით არის ის კონკრეტულიო—დაასკვნის ჰეგელი[2]. «Понятие ...всецело конкретно поскольку оно содержит внутри себя в идеальном единстве бытие и сущность, и, следовательно, все богатство этих двух сфер»[3].

ასე გაგებული ცნება, ასე გაგებული კონკრეტულობა ცნებისა სავსებით შეესაბამება ჰეგელის ობიექტურ იდეალიზმს; მისთვის ცნების, ცნების კონკრეტულობის სხვანაირი გაგება შეუძლებელია. ამიტომ ამბობს ჰეგელი: «Точка зрения понятия есть точка зрения абсолютного идеализма»[4]. ამიტომ ჰეგელისათვის «Понятие есть начало всякой жизни и, следовательно, вместе с тем всецело конкретно»[5].

ამრიგად, საკუთარი ფილოსოფიური სისტემა უკარნახებს ჰეგელს ცნება გაიგოს როგორც კონკრეტული, ხოლო. კონკრეტულობის ქვეშ იგულისხმოს ცნებაში მთელი წინა საფეხურის შემო-

---

[1] Гегель, Т. I, Москва, 1929, გვ. 268; Т. VI, Москва, 1939, გვ. 29—30. ცნების საბოლოო დადგენა აქაც არ სრულდება. ის, ცნება, რომელიც აქ სუბიექტურობის სფეროშია, უნდა იქცეს ობიექტად, შემდეგ იდეად—აბსოლუტად, ღმერთად. მაგრამ ამისი გათვალისწინება ამჟამად ჩვენი საკითხისათვის საჭირო არ იყო. იხ. ამ საკითხზე პროფ. კ. ბაკრაძის გამოკვლევა—სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში, თბილისი, 1936.

[2] Гегель, т. I, გვ. 264—265.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 264.

[5] იქვე; ასევე გვ. 270—271—«.. Хотя понятие и абстрактно, оно, однако, есть конкретное, и именно целиком конкретное, есть субъект как таковой. Абсолютно конкретное есть дух, есть понятие, поскольку оно существует, как понятие» ..

სვლა, განსაკუთრებულთა მთელი სიმდიდრის შემოსვლა. მართლაც, დიდი იდეალისტის გეგმებს სრულებითაც არ შეეფერებოდა რომ ცნებას, რომელიც ერთადერთ რეალობადაა აღიარებული, წინსვლის შედეგად გაელილი საფეხურების შინაარსი დაეკარგა და ბოლოში აბსოლუტის ნაცვლად ხელცარიელი მისულიყო!

ერთი მდგომარეობაა საინტერესო: ჰეგელი, რომელიც თავის მოძღვრებას ძველი ლოგიკის მოძღვრების პირდაპირ საპირისპიროდ თვლის, არასდროს არ ცდილობს უარყოს ძველი ლოგიკის დებულება გვარისა და სახის დამოკიდებულების შესახებ. ვერც ერთ საამისო გამოთქმას ჰეგელის ნაწერებში ვერ იპოვით. რატომ? ჰეგელს, რომელსაც თავისი გამოსავალი პრინციპი ზოგადის ზემოთ მოცემულ გაგებას უკარნახებდა, საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა საწინააღმდეგოს უჩვენებდა. მას არასდროს არ შეეძლო ეჩვენებინა ფაქტი, სადაც ზოგადი ნიშნებითაც მეტი ყოფილიყოს სახეზე და მოცულობითაც. ამიტომაც, მიუხედავად მრავალი ძაგებისა ძველი ლოგიკის მისამართით[1], ჰეგელი მაინც იძულებულია საკითხის ფაქტობრივ განხილვაზე ხელი აიღოს. ამრიგად, ძველი ლოგიკის მოძღვრება ისევ დაუძლეველი დარჩა და სიცხელე, რომელსაც ეს მოძღვრება ტოვებდა, ისევ სიძნელედ შერჩა აზროვნების ისტორიას. ამ ისტორიული სიძნელის გადალახვა მარქსისტული ფილოსოფიის საფუძველზე შეიქმნება მხოლოდ შესაძლებელი. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ზემოთ ითქვა, რომ ცნების კონკრეტულობის ცნების იმ აზრით ხმარება, რომ ცნებაში, ზოგადში, კონკრეტულთა მთელი სიმდიდრე უნდა იყოს მოცემული, ჰეგელთან მისი იდეალიზმის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს. შესაძლებლად მიგვაჩნია ეს დებულება განზოგადდეს — ცნების კონკრეტულობის ამ შინაარსით ხმარება საერთოდ იდეალიზმის საფუძველზეა მხოლოდ შესაძლებელი, აქედან კი უშუალოდ გამომდინარეობს — მატერიალისტურ ნიადაგზე მდგომს არასდროს არ შეუძლია ამ შინაარსით იხმაროს ცნების კონკრეტულობის ცნება. მაშ რა შინაარსით უნდა იხმარებოდეს ეს ცნება მარქსისტულ ფილოსოფიაში? სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროა პირველი თეზისი გახდეს უფრო ნათელი და დასაბუთებული. ამისათვის ერთი იდეალისტური ნააზრევის ანალიზიც საჭიროდ მიგვაჩნია.

---

[1] და, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ბევრი მნიშვნელოვანი და სწორი შენიშვნისა საერთოდ ამ ლოგიკის მიმართ.

ერთ-ერთი კანტიანური სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ე. კასირერი თავის სქელტანიან გამოკვლევაში ცდილობს ცნების, ზოგადის სწორად ასეთი გაგება დააფუძნოს. მისი აზრით ძველი ლოგიკის კრიტიკის ცენტრად ზოგადის საკითხი, ზოგადის, ცნების მიღების საკითხი უნდა გახდეს[1]. დღეს მეცნიერებათა მდგომარეობა, განაგრძობს ავტორი, არ შეეფერება ცნების ჩამოყალიბების შესახებ ლოგიკაში არსებულ მოძღვრებას. ტრადიციული ლოგიკის მოძღვრება ცნების ჩამოყალიბებისა ასეთია: სიმრავლის ზოგადი ნიშნების გამოყოფით მიიღება ზოგადი, ცნება. აქ აზროვნების ძირითადი ფუნქციებია: შ ე დ ა რ ე ბ ა და გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა გრძნობადში მოცემული სიმრავლისა. რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა ს, რომელიც ხან ერთ ობიექტს აკვირდება, ხან მეორეს, მივყევართ ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ა მ დ ე, რომელიც წმენდს ყველა ამ გვარეობით ნიშნებს შემთხვევითი, განსხვავებული ნიშნებისაგან, გ ა მ ო ყ ო ფ ა ს (განყენებას) აწარმოებს. ამ კონცეპციისათვის ცნება არაა უცხო გრძნობადისათვის, ის მისი ნაწილია. ამ მოძღვრებით (ე. ი. ძველი ლოგიკის მოძღვრებით) ცნება ერთნაირად მიიღება როგორც მათემატიკაში, ისე აღწერით მეცნიერებებში.

ამრიგად, განაგრძობს ავტორი, თავისთავად მიიღება ცნობილი ძირითადი დებულება: ზევით რაც უფრო მივდივართ, გვარეობითი ცნებაა, ქვევით — სახე; გვარი ნიშნებით ნაკლებია, მოცულობით მეტი და პირიქით... ბოლოს იქმნება ისეთი ცნება, რომელსაც არავითარი განსაკუთრებული ნიშანი არ ექნება... სიცარიელე იქნება შედეგი ამ გზისა!... და თუ ეს ასეა, სწორედ ეს ქმნის საეჭვოდ ამ მოძღვრებას. «Понятие потеряло бы все свое значение, если бы оно обозначало одно лишь у т р а ч е н и е частных случаев, из разсмотрения которых оно исходит, и как бы уничтожало их своеобразия»[2].

ნამდვილად კი ცნებას არ შეუძლია დაკარგოს განსაკუთრებულთა ნიშნები. უარყოფის, უკუგდების აქტში უნდა იყოს რაღაც სავსებით დადებითი მუშაობა («В полне положительная работа»[3]),—ის, რაც გვრჩება, არ წარმოადგენს რაღაც თვითნებურად ამოგლეჯილ ნაწილს, არამედ არის «Существенный момент, о п р е-

[1] Е. К а с с и р е р, Познание и действительность, Москва, 1912, გვ. 13.
[2] Там же, გვ. 15—16.
[3] იქვე.

делящий все целое. Высшее понятие делает понятным низшее, вскрывая основание его основного образа и формы»[1]. ტრადიციული მოძღვრება არ შეიცავს არავითარ გარანტიას ამ მიზნის მისაღწევად. მარტო განყენება ვერ განახორციელებს ცნების მიღწევას, აქ სხვა ფუნქციებიც მოქმედებენ აზროვნებისა—«Различные категориальные функции»[2]. ამიტომ ცნების შექმნა არაა გამოყოფა, განყენება გრძნობადობისაგან, უკუგდება განსაკუთრებულთა ნიშნებისა. «Всякое образование понятий связано с определенной формой образования ряда»[3]. ასეთი ცნება იქნება არა განსაკუთრებულთაგან გამოყოფილი ზოგადი, არაშედ თვით განსაკუთრებულთა ერთიანობაში, მთლიანობაში დაშდგენი: «Такое понятие дает универсальное правило для связывания самого особенного». მაგ., ასეთი წესია, ზოგადია მეორე რიგის მრუდთა ფორმულა, რომლიდანაც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კერძო გეომეტრიული სახეები წრის, ელიფსის და სხვა, პარამეტრების შეცვლის გზით[4]. ზოგადი აქ უფრო მდიდარია შინაარსით. ვინც მას ფლობს, მას შეუძლია გამოიყვანოს ყოველი კერძო შემთხვევა. აქ ისევ გამოჩნდება, განაგრძობს ავტორი, რომ «Характерный момент понятия заключается не в «общности» образа представления, а в общезначимости некоторого принципа ряда. Мы не извлекаем из находящегося перед нами многообразия произвольных обстрактных частей, мы создаем для членов (ხაზი ჩემია—ვ. ქ.) его единозначное отношение, мысли их связанными между собой через посредство всеохватывающего закона»[5]. და შემდეგ: «Сколько бы мы не насчитали случаев закона, мы не изчерпаем этим значение закона, связывающего отдельные члены, ибо при этом перечислении отпал бы как раз творческий принцип, соединяющий отдельные члены в одну функциональную совокупность»[6]. თუ მე ვიცი მიმართება а, в, с-სი, შემიძლია ისინი აზროვნების მეშვეობით გამოვიყვანო ამ მიმართებიდან, მაგრამ а, в, с-ს ცოდნიდან მათ მიმართებას ვერ გამოვიყვან[7].

---

[1] Е. Кассирер, Познание и действительность, Москва, 1912, გვ. 15—16.

[2] იქვე, გვ. 27. ხაზი აქაც და სხვაგანაც ავტორისაა.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 32.

[5] იქვე, გვ 33.

[6] იქვე, გვ. 40—41.

[7] იქვე,

ამ თვალსაზრისის სიყალბესა და მცდარობას მკითხველი ადვილად შეამჩნევს. ცნება არის არა საგანთა, მოვლენათა კავშირების, მიმართების ასახვა, არამედ ამ მიმართებების, კავშირების შექმნა, დადგენა; სიმრავლის ასახვა კი არა — სიმრავლის შექმნა. ასეთია იდეალისტური აზრი ამ თვალსაზრისისა. ცხადია, ცნებაში უნდა იყოს განსაკუთრებულთა ნიშნები, თუ კი ის ამ განსაკუთრებულთა შეთქმულია, რიგის შემქმნელია! ასე რომ, აქაც ცხადად ჩანს ცნების, ზოგადის ასეთი გაგების არსებითი კავშირი იდეალისტურ მსოფლმხედველობასთან.

ამ ნააზრევს, გარდა ამ მსოფლმხედველობითი, პრინციპული მცდარობისა, სიყალბისა, რაც საკუთარი საკმარისია იმისათვის, რომ ის მიუღებლად ჩაითვალოს, გააჩნია მრავალი შინაგანი ლოგიკური წინააღმდეგობაც. შევეხებით რამდენიმეს:

1. კასირერი კვლევის დასაწყისში აღნიშნავს და შემდეგ მრავალგზის იმეორებს, რომ მეცნიერებაში ნამდვილად არსებული პროცესი ცნების შექმნისა განსხვავებულია იმისაგან, რასაც ტრადიციული მოძღვრება აგვიწერს, რომ აზროვნების პრაქტიკა, ზოგადის შექმნის პრაქტიკა არაა ასეთი, არ ტოვებს კერძოთა ნიშნებს, არ უკუაგდებს ცალკეულის ნიშნებს. ავტორს მოჰყავს ლოტცეს მოსაზრება, რომ, თუ ამ გზით ვივლით, თუ ლითონის ცნებაში არც ერთი ლითონის თვისება, ცხოველის ცნებაში არც ერთი ცხოველის თვისება არ გვექნება, მივალთ ისეთ არაფრამდე, საიდანაც უკუსასვლელი გზა აღარ დაგვრჩება. ამიტომ ეს გზა კი არა, სხვა გზაა ცნების შექმნისა მეცნიერულ პრაქტიკაშიო და ამ გზის დადგენის, შესწავლის მიზნით ავტორი გვირჩევს შევისწავლოთ, თუ როგორ მიიღება ცნება ცალკეულ დარგებში და სხვ[1]. თვითონაც ცდილობს განახორციელოს ეს და იკვლევს თავის შრომაში, ცალკეულ დარგებში (ქიმიაში, ფიზიკაში და სხვ.), ცნებების მიღების წესს. ამავე დროს ავტორს ჩამოყალიბებული აქვს მოძღვრება, რომლის მიხედვით ცნება, ზოგადი, კანონი არაა დამოკიდებული ერთეულთაგან, ცალკეულთაგან, რომ ზოგადი არ გამოიყვანება კერძო შემთხვევებიდან, პირიქით, თვითონ ქმნის მათ რიგს, კანონზომიერებას, რომ კანონს არაფერს აძლევს კერძო შემთხვევები[2]. საკითხავია, რას მისცემს ცნების ცნებას, ცნების ჩამოყალიბების კანონს ცალ-

[1] Е. Кассирер, Познание и действительность, გვ. 5—6.
[2] იქვე, გვ. 40—41.

ჟე შემთხვევათა შესწავლა?! ცალკე შემთხვევათაგან ხომ ზოგადის გამოყვანა არ შეიძლება (ზოგადი ხომ თვითონაა ამ ცალკეთა გაერთიანების, რიგის შექმნის წესი). თუ საერთოდ კანონი, ზოგადი არ გამოიყვანება ერთეულთაგან, ის (ზოგადი) თვითონაა ამ ერთეულთა გაერთიანების (რიგის შექმნის) წესი, მაშინ, როგორ უნდა მოახერხოს კასირერმა ზოგადის მიღების კანონი გამოიყვანოს ცალკეული შემთხვევებიდან, ცალკეული დარგების ანალიზიდან? ამ შემთხვევაში მან ხომ იგივე გზას უნდა მიმართოს, რაც უვარგისად გამოაცხადა — ცალკეული შემთხვევებიდან მათთვის საერთოს გამოყოფა. ეს გზა, გზა რომლის განხორციელებას ავტორი ცდილობს თავისი უშველებელი გამოკვლევით, აღკვეთილი აქვს მას საკუთარივე მოძღვრებით. ამიტომ რა დაგვრჩენია, რომ ცნების მიღების გზა დავადგინოთ? — კერძო შემთხვევების შესწავლის, ანალიზის გზა აღკვეთილია, ამიტომ მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ცნებამ თავისავე თავში იტრიალოს. ცნებას თავისივე თავის თავისივე თავიდან დადგენა თუ შეუძლია მხოლოდ, სხვა გზა მას შოკრილი აქვს. აქაც ნათლად ჩანს მარქსიზმის უტყუარი დებულება — იდეალისტური ფილოსოფია პრინციპულად ჰეგელის შემდგომ ვერ მიდის.

2. ზოგადი, ცნება რიგის შექმნის წესია, მისგან, ზოგადისაგან მისი კერძო შემთხვევები გამოიყვანება. როგორ? თვითონ კასირერის მაგალითზე — მეორე რიგის მრუდთა ფორმულიდან პ ა რ ა მ ე ტ რ ე ბ ი ს შ ე ც ვ ლ ი ს გ ზ ი თ მივიღებთ კერძო შემთხვევებს — წრეს, ელიფსს და სხვ. პარამეტრების შეცვლა! რა საჭიროა პარამეტრების შეცვლა, თუ კი ზოგადში მისი სახეები მოცეშულია?! პარამეტრების შეცვლა ხომ იმას ნიშნავს, რომ ცნებაში გვქონია მხოლოდ ზ ო გ ა დ ი ნ ი შ ნ ე ბ ი, ხოლო იმისათვის, რომ სახე მივიღოთ, ამ ზოგად ნიშნებთან ერთად უნდა ავიღოთ ამ სახის სპეციფიკური ნიშანიც, ე. ი. ვთქვათ, ელიფსის მიღებისათვის საჭიროა ზოგად ფორმულას ელიფსის სპეციფიკური ნიშანი მივუმატოთ, ხოლო, ვთქვათ, წრისათვის ეს სპეციფიკური ნიშანი სხვა ნიშნით შევცვალოთ. — ამას ხომ ტრადიციული ლოგიკა ამბობს! რაში აკრიტიკებს ამ მოძღვრებას კასირერი? — ყოველ შემთხვევაში, ფაქტობრივი მდგომარეობა ისევ ის დარჩა; კასირერმა მხოლოდ თავისი იდეალისტური სიყალბის—ზოგადი ერთეულთა წესრიგის შემქმნელია — დასაბუთება სცადა.

მხოლოდ იქ, სადაც არსი და აზრი, სინამდვილე და აზრი ერთი და იგივეა, შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ზოგადი მთელი

კონკრეტულის სიმდიდრეს შეიცავს, რადგანაც, ეს არის ცნების დახასიათება იმ ნიშნებით, რაც საგანს ახასიათებს. ამრიგად: ცნებაში, ზოგადში კონკრეტულთა, კერძოთა ყველა ნიშნის მოცემულობა მხოლოდ იდეალიზმის ბაზაზე შეიძლება მტკიცდებოდეს. მართებულად წერს პროფ. კ. ბაქრაძე: «Основа всей этой теории—идеализм, по которому вещи и явления—порождения мышления, предмет и мысль о предмете—одно и тоже, и так как предмет является тождеством общего и частного, то и понятие о предмете характеризуется этими же признаками. Предмет создается закономерными отношениями; отношения—отношения мысли, они—порождения чистого мышления. Эти чисто рассудочные, априорные отношения, порождая предметы действительности, в то же самое время устанавливают закономерные связы между ними; и чистая мысль, изменяя отношения, «дедицирует» из общего понятия виды, содержащиеся в ней»[1].

ცნების კონკრეტულობის ასეთი გაგება მარქსიზმისათვის, ცხადია, მიუღებელია, უცხოა. ზოგადი, ცნება იმიტომაა ზოგადი, რომ მასში არ შედის ცალკეულთა მთელი სიმდიდრე. ამას ადასტურებს ფაქტობრივი მდგომარეობა, მარქსისტული ფილოსოფიის რომელიც გნებავთ ცნების ანალიზი. საკმარისი იქნება მხოლოდ რამდენიმეს განხილვა.

1. მ ა რ ქ ს ი წერს: „არსებობენ წარმოების ყველა საფეხურისათვის საერთო განსაზღვრანი, რომელთაც აზროვნება ფიქსაციას უკეთებს საყოველთაო განსაზღვრათა სახით; მაგრამ ყოველი წარმოების ეგრეთ წოდებული ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო პ ი რ ო ბ ე ბ ი სხვა არაფერია, თუ არა ეს აბსტრაქტული მომენტები, რომელთა საშუალებითაც წარმოების არცერთი ნამდვილი ისტორიული საფეხურის გაგება არ შეიძლება“[2]. ამრიგად, მარქსის მიხედვით, წარმოების ცნება ფიქსაციას უკეთებს იმ ნიშნებს, რომლებიც ყოველი წარმოებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მასში, წარმოების ზოგად ცნებაში არაა მოცემული რომელიმე ცალკეული წარმოების წესის სპეციალური ნიშნები და სწორედ ამიტომ წარმოების ცნებიდან ვერც ერთი წარმოების წესს ვერ გამოიყვან, ვერ გაიგებ.

---

[1] К. Бакрадзе, «Логика», გვ. 119.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 263.

2. «Минералог,—წერს მარქსი,—наука которого ограничивалась бы установлением истины, что все минералы в действительности суть «минерал вообще», был бы минералогом лишь в собственном воображении. При виде каждого минерала спекулятивный минералог говорил бы: Это—«минерал». Его наука ограничивалась бы тем, что он повторял бы столько раз это слово, сколько существуют действительных минералов»[1].

მინერალის ზოგად ცნებაში რომ მინერალის ცალკეულ სახეთა ნიშნები იყოს შესული, მაშინ ამ ცნებიდან მათი გამოყვანაც იქნებოდა შესაძლებელი; ეს კი, როგორც მარქსი ამბობს, შეუძლებელია.

3. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ენგელსს „ანტი-დიურინგში"—მარტო იმის ცოდნა, რომ ყველაფერი მოძრაობს, არაა ცოდნა რაიმეს შესახებ კერძოდ, რაიმეს ცოდნა კერძოდ[2].

4. საყოველთაოდ ცნობილია ლენინის დებულება — მატერიის ცნება უზოგადესია, მიუხედავად ამისა ამ ცნებაში მხოლოდ ერთი ნიშანია ნაგულისხმევი — მისი (მატერიის) პირველადობა ცნობიერებასთან მიმართებაში. არც ერთი კონკრეტულის, არც ერთი კონკრეტული მოვლენის ნიშანი არაა ამ უზოგადეს ცნებაში შესული[3].

5. ი. სტალინი შრომაში — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" შემდეგ დებულებას გვაძლევს: ენას, ბაზისს, ზედნაშენს და ა. შ., აქვთ საერთო ნიშნები, მაგრამ ამ საერთოში არც ერთის სპეციფიკური ნიშანი არა ჩანს; სწორედ ამიტომ არის ეს მოვლენები ცალკეულ, სპეციალურ მეცნიერებათა საგანი; ამ მეცნიერებებს ევალებათ დაადგინონ ის სპეციფიკური ნიშნები, თვისებები, რომლებიც, მათ შორის არსებულ საერთოსთან ერთად, ამ მოვლენებს ახასიათებს, და რომელთა გამოყვანა მათთვის საერთოდან შესაძლებელი არაა[4]. ამასვე ამტკიცებს ი. სტალინის დებულება გრამატიკის შესახებ, რომელიც „აბსტრაქციას ახდენს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან" როგორც სიტყვებში, ისე წინა-

---

[1] Маркс и Энгельс, соч., т. III, 1029, გვ. 79.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 26. დამახასიათებელია ის, რომ ენგელსი ამას გამოთქვამს იქ, სადაც ის ახასიათებს დიალექტიკის არსს, ცოდნის არსს, მისი მიღწევის გზას; ამის შესახებ ქვემოთ იქნება თქმული.

[3] ვ. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. 14, თბილისი, 1950.

[4] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 33.

დადებებში, იღებს ზოგადს". ასევე გეომეტრიის შესახებ, რომელიც განიხილავს კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს.

ზოგადი ვერ ჩაიტევს თავისში კონკრეტულთა ნიშნებს და ამისი ჩვენება არც თუ ისე ძნელია: ზოგადში რომ მთელი მისი სახეების სპეციფიკური ნიშნებიც იყო მოცემული, ეს ზოგადს ისე „დატვირთავდა", რომ მის გამოყენებას შეუძლებელს გახდიდა. უფრო მარტივად: ზოგადი იმიტომაცაა ზოგადი, რომ მისი გამოთქმა შეიძლება ცალკეულთა მიმართ. თუ ზოგადში ცალკეულთა ნიშნებიც იქნება, მაშინ არც ერთ ცალკეულზე მისი გამოთქმა არ შეიძლება, რადგანაც, მაშინ ამ ცალკეულზე უნდა გამოვთქვათ არა მარტო **მისი** ნიშნები, რომლებიც ზოგადშია მოცემული, არამედ სხვა ცალკეულთა დამახასიათებელი ნიშნებიც, რომელთაც ასევე შეიცავდეს იქნება აღებული ზოგადი, როგორც მისი სახეების ნიშნებს. მაგ., ადამიანს ვერ ვიტყოდით ქართველის შესახებ, რადგანაც, მაშინ მის შესახებ უნდა გამოგვეთქვა აგრეთვე, რომ ის (ქართველი) არის რუსი, სომეხი, ებრაელი, გერმანელი და სხვა — „ადამიანში" ხომ ისინიც (მათი ნიშნები) უნდა იგულისხმებოდნენ: ცალკეულზე ცალკეულის გამოთქმა არ შეიძლება (მაგ., ივანეზე ვერ ვიტყვი, რომ ის არის ქეთო, გიორგი და სხვ.). აი ეს ქმნის აუცილებლობას იმისა, რომ ზოგადში აისახოს არა სპეციფიკური ნიშნები ერთეულთა, არამედ მხოლოდ მათთვის საერთო, ზოგადი ნიშნები (ამიტომ არის „ზოგადი საერთო ბევრის, ყველასი" — მარქსი).

ამრიგად, ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ ზოგადში განსაკუთრებულთა, კონკრეტულთა ნიშნები არაა მოცემული. ეს ფაქტობრივი მდგომარეობა სწორედ შენიშნა ძველმა ლოგიკამ და ის შესაბამის, ზემოთ მითითებულ ფორმულაში ჩამოაყალიბა. ძველი ლოგიკის კრიტიკა ამ ფაქტის უარყოფის გზით — მიზანში ვერ ხვდება· — ფაქტს მაინც ვერ უარყოფს, კრიტიკა უსაფუძვლო რჩება. ძველი ლოგიკის ნაკლს, ამ შემთხვევაში, ეძებენ არა იქ, სადაც მას ნაკლი აქვს და ამიტომ წარმატებასაც ნაკლებ აღწევენ. მას, ტრადიციულ ლოგიკას ამ საკითხშიაც, როგორც სხვა მრავალ საკითხში, ნაკლი აქვს. მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ზევითაც იქნა შენიშნული, შეამჩნია რა მართებულად აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობა, მას მართებული ახსნა ვერ მისცა. ამით პასუხგაუცემი დარჩა საკითხი: განზოგადოება ხომ არ აცილებს ცნებას სინამდვილეს? ამით ამ მოძღვრებამ გზა გაუხსნა, ჯერ ერთი, კრიტიკას, რომლითაც, რო-

გორც ზევით ვნახეთ, ცნების დადგენის გზის, აბსტრაქციის ტრადიციული მოძღვრება სრულიად უკუგდებული უნდა ყოფილიყო.

მეორე მხრით, ტრადიციული მოძღვრების მითითებულმა ნაკლოვანებამ ცნების, ზოგადის ღირებულებაში დაეჭვება და ამ გზით კრიტიკის შესაძლებლობაც დატოვა. მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი იდეალისტური სკოლის მიერ გაზიარებული თეორია, რომლის მიხედვით ცნება რაც უფრო ზოგადია, მით უფრო დაშორებულია სინამდვილეს, მით უფრო ღარიბდება შინაარსით და უზოგადესი ცნებები ცარიელი ჩონჩხები-ღა არის. ამ გზას ადგას ნეოკანტიანელთა ერთ-ერთი სკოლა — ვინდელბანდ-რიკერტის სკოლა. მათთვის სინამდვილის ერთი ნაწილის მიმართ სრულებითაც არაა შესაძლებელი ზოგადის დადგენა; ესაა საზოგადოებრივი მოვლენების სფერო. აქ, ამ სკოლის აზრით, ადგილი არა აქვს მოვლენათა განმეორებას, მხოლოდ ცალკეული მოვლენები გვხვდება და მეცნიერს, ვთქვათ ისტორიკოსს, შეუძლია მხოლოდ აღწეროს ეს მოვლენები. მეორე ტიპის მოვლენებია ბუნების მოვლენები. აქ მოვლენები განმეორებადია, ამიტომ მეცნიერს უფლება რჩება დაადგინოს ზოგადი (ვთქვათ — მსოფლიო მიზიდულობა და სხვ.). მაგრამ რაც უფრო ზოგადია ცნება, მით უფრო ღარიბდება და ცარიელდება შინაარსისაგან[1].

ძნელი არაა ამ მოძღვრების როგორც სოციალ-იდეოლოგიური არსის, ისე მისი ლოგიკური სიყალბის გათვალისწინება და ჩვენება. რადგანაც საზოგადოების მიმართ არ დგინდება ზოგადი კანონზომიერება, ამიტომ უსაფუძვლოა ყოველგვარი ბრძოლა მის გარდასაქმნელად, რადგანაც ასეთი გარდაქმნა გარკვეული კანონზომიერების ცოდნას უნდა ემყარებოდეს. ასეთია ამ მოძღვრების იდეოლოგიური არსი, რომლითაც ის ცდილობს რევოლუციის გარდამქმნელ ქარტეხილს ააცდინოს ბურჟუაზიული წყობა.

ამ ნააზრევის ლოგიკური შეუსაბამობა კი ასეთია: თუ საზოგადოებრივ მოვლენებს საერთო, ზოგადი კანონზომიერება არ გააჩნიათ, აღწერა ამ მოვლენებისა, რის უფლებასაც გვიწყალობებს ეს ფილოსოფია, რის მიხედვით უნდა მოხდეს? რა უნდა მივაწეროთ ერთეულ მოვლენებს, რით უნდა ავწეროთ, რა უნდა გამოვთქვათ მათ შესახებ? ისევ ერთეული? ეს შეუძლებელია. ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ ერთეული არ გამოითქმის ერთეულის შესახებ („ივანეს“ ვერ იტყვი „სოკრატეს“ შესახებ). ასე რომ,

[1] Г. Риккерт, Науки о природе и науки о культуре, Москва, 1911.

აღწერა ისევ ზოგადის მეშვეობით თუ შეიძლება და იქ, სადაც აღწერა შესაძლებელია, იქ საერთო ნიშნებიც, ე. ი. ზოგადი კანონზომიერებაც უნდა იქნეს აღიარებული.

თუ უზოგადესი ცნებები უშინაარსონი არიან, თვით ამ ფილოსოფიის ცნებებს საზოგადოების შესახებ და სხვა, რა ბედი ელით? ამ ფილოსოფიამ უნდა ამტკიცოს საზოგადოების შესახებ საკუთარი შეხედულებების (ცნებების) უშინაარსობა!

ასეთსავე გზას — ზოგად ცნებათა უშინაარსობის მტკიცებას ადგას თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიაც, მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის, ზემოთ უკვე ნახსენები ჩეიზის სახით. მისი აზრით აზროვნებას, ვთქვათ, ფანქრის შესახებ შეუძლია გააკეთოს რამდენიმე საფეხური აბსტრაქციისა (ის აბსტრაქციის 4 საფეხურს ჩამოთვლის), სადაც ჯერ კიდევ აზრი აქვს ლაპარაკს რეფერენტზე (ზევით ვნახეთ, რომ მისივე ფილოსოფია მას უკრძალავს ამ საფეხურებზეც რეფერენტზე ლაპარაკს). ხოლო შემდეგ, რაც უფრო ზევით მივდივართ აბსტრაქციის გზით, მით უფრო ვშორდებით „თითებში გაჩხირულ ფანქარს“ (ჩეიზის გამოთქმაა).

ამრიგად, ცალმხრიობაა, უკიდურესობაა და ამიტომ მცდარობაა, იდეალიზმია მტკიცება, რომ ზოგადში კონკრეტულთა მთელი სიმდიდრეა მოცემული. ასევე ცალმხრიობაა, უკიდურესობაა და ამიტომ მცდარობაა, იდეალიზმია საწინააღმდეგო მტკიცებაც — უზოგადესი ცნება ცარიელია შინაარსისაგან.

§ 5. თუ ეს ასეა, მაშინ რას ნიშნავს ცნება ცნების კონკრეტულობისა, რომელიც მარქსიზმში იხმარება. რა შინაარსით უნდა გვესმოდეს ეს ცნება?

ჩვენი აზრით ამაზე პასუხი, მოკლედ, ასეთი უნდა იყოს: ცნებას ევალება დაიჭიროს, ასახოს სინამდვილის მოვლენები, საგნები. ყოველი მოვლენა, საგანი კონკრეტული საგანია, მოვლენაა, ე. ი. მრავალგანსაზღვრულობათა ერთიანობას წარმოადგენს, უსასრულოდ მრავალ მიმართებაშია სხვა საგნებთან, მოვლენებთან. ცნებას, ზოგადს, როგორც ზევით ითქვა, ამ მიმართებათა ასახვის გზით შეუძლია ასახოს საგნები, მოვლენები; აზროვნებითი ასახვა ამას გულისხმობს. მაგრამ საგანთა, მოვლენათა მთლიანობაში, მთელს სირთულეში დაჭერა შეუძლებელია სწორედ იმის გამო, რომ მას უამრავი მიმართება, გარკვეულობა გააჩნია. ამიტომ ცნებას რომ საგნის რეპროდუქცია მოეთხოვება, მას მხოლოდ მისი გ ა რ კ ვ ე უ ლ ი მ ხ ა რ ე ე ბ ი ს დაჭერის გზით შეუძლია თავისი ამოცანა შეასრულოს — ასახოს მთელი საგანი, მთელი მოვლენა. ეს

ერთგვარი დამახინჯებაა სინამდვილის — მისი მთლიანი ასახვის ნაცვლად მისი მხარეების ასახვა, უკეთ: მისი მთლიანი ასახვა მხარეების ასახვის გზით. ეს დამახინჯებაა, მაგრამ ფაქტია;—სწორედ ამაშია შემეცნების, ცნების დიალექტიკა და ცნების კონკრეტულობის აზრიც არსებითად ამაშია. «Мы,—წერს ლენინი — не можем представить, выразить, смерить, изобразить движение, не прервав непрерывного, не упростив, не угрубив, не разделив, не омертвив живого. Изображения движения мыслью есть всегда огрубление, омертвление —и не только мыслью, но и ощущением, и не только движения, но и *всякого* понятия.

И в этом суть диалектики. Эту — то суть и выражает формула: единство, тождество противоположностей».[1] როგორც უკვე ითქვა, ცნების კონკრეტულობის ცნება ამას უნდა ნიშნავდეს. ეს მდგომარეობა შეიძლება უფრო ვრცლად ასეთ მომენტებად დანაწევრდეს და გამოითქვას:

1. ცნებას არ შეუძლია მთლიანობაში, მთელ თავის სისავსეში დაიჭიროს მოვლენა. ყოველი მხარის გათვალისწინების მოთხოვნა, ამავე დროს იქნება მოთხოვნა — კონკრეტულად არც ერთ მხარეს არ მოკიდო ხელი და ამით შემეცნების განხორციელების ნაცვლად მის დაწყებასაც კი ვერ მოვახერხებთ. ცნება მოვლენათა სისავსეში იჭერს მხარეს, მომენტს, იმას, რაც შედარებით მყარია მოვლენებში — კანონს წარმოადგენს[2]. ეს მხარე — კანონი, მართლაც რომ მხარეა, ნაწილაკია (ლენინი) მოვლენისა და არა მთელი მოვლენა („მოვლენა კანონზე მდიდარია"). ამიტომაც, მატერიალიზმის საფუძველზე მდგომს არ შეუძლია თქვას — ზოგადში კონკრეტულთა მთელი სიმდიდრეა. მაგრამ როგორი მხარეა კანონი მოვლენებისა? — ის მხარე, რომელიც მათს გაერთიანებას გვაძლევს, მათთვის საერთოა. ამ გამაერთიანებლის დაჭერის აზრითაა სწორედ ცნება კონკრეტული და არა იმ აზრით, რომ ის მოვლენათა, კონკრეტულთა მთელ სიმდიდრეს შეიცავს, იჭერს. „ჩვენ, — წერს ლენინი, — უკუვაგდებთ

---

[1] В. И. Ленин, Философские тетради, Москва, 1947, გვ. 243, ხაზი ლენინისაა.

[2] ვ. ლენინი—„კანონი—მოვლენათა წყნარი ასახვაა"; IX კრებული, თბილისი, 1935 გვ. 70.

მთელ რიგ ნიშნებს, როგორც შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ს, ჩვენ არსებას ვთიშავთ მოვლენისაგან და ერთს მეორეს ვუპირისპირებთ"[1].

დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს სწორედ „შემთხვევითის უკუგდებას" ცნების ჩამოყალიბების პროცესში, ხოლო იდეალისტური თეორიები (ჰეგელი, კასირერი) ამას უთვლიან უდიდეს ნაკლად ცნების ჩამოყალიბების წესახებ მოძღვრებას. საერთოდ აბსტრაქციის აზრი იმაშია, რომ რაღაც უნდა უკუაგდო, ჩამოიშორო. ამის გარეშე საერთოდ შემეცნება, უფრო მეტი, ყოველგვარი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი მოქმედება შეუძლებელი გახდება. მარქსის მაგალითზე რომ ვუჩვენოთ: რას ვაკეთებთ, როცა, ვთქვათ შაქარს ვწონით? — ვახდენთ განყენებას როგორც შაქრის თვისებებისაგან (სითეთრე, სიტკბო და სხვ.), ასევე რკინის (ამ შემთხვევაში—გირი) ყველა თვისებისაგან და მხედველობაში ვიღებთ მათს მხოლოდ იმ ს ა ე რ თ ო თვისებებს, რომ ორივეს სიმძიმე აქვს[2]. ამასვე ნიშნავს მარქსის სიტყვები: „საქონლის საცვლელი ღირებულება გულისხმობს აბსტრაქციას მისი სახმარი ღირებულებისაგან"[3]. შემთხვევითი არაა, რომ აღნიშნული იდეალისტური თეორიები ს წ ო რ ე დ ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ბ რ ძ ვ ი ა ნ. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ მატერიალისტისათვის სწორედ არსებითია ცნების ჩამოყალიბების ასეთი გზის აღიარება. ე ს გ ზ ა ა მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს გ ზ ა.

მოკლედ, აბსტრაქციის უარყოფა მატერიალისტურ თეორიაზე ხელის აღებას ნიშნავს. აბსტრაქცია კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ რაღაც ცალკე გამოყო, ე. ი. სხვები უკუაგდო, ე. ი. უკუაგდო შემთხვევითი, გამოჰყო არსებითი, საერთო, დამახასიათებელი, ზოგადი.

მთელი სიმდიდრის რეპროდუქცია უ ნ დ ა მ ო გ ვ ც ე ს მხარემ, ნაწილაკმა[4]. ე. ი. მოვლენების სიმდიდრეს ვიჭერთ, გამოვ-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსი-ენგელსი—მარქსიზმი, თბილისი, 1948 გვ. 357. ხაზი ლენინისაა.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, გვ. 241.

[3] იქვე, გვ. 5.

[4] პროფ. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე მართებულად წერს: «Понятие... как средство переработки конкретного, многообразного, возникает в результате невозможности для человека охватить конкретность в его непосредственной цельности». Проф. Ш. И. Нуцубидзе, Диалектическая и формальная логика, Тбилиси, 1951, гз. 3.

ხატავთ მათი „ნაწილაკის — კანონის“ (ლ ე ნ ი ნ ი) მეშვეობით; მეშვეობით იმისა, რაც მოვლენებში საერთოა, გამაერთიანებელია, კ ო ნ კ რ ე ს ც ე რ ე ა და ამ აზრით — ცნება კონკრეტულია.

2. რადგანაც ცნებას ევალება ასახოს სინამდვილის საგნები და მოვლენები, რომელთაც უამრავი მხარე აქვთ, ამავე დროს ცვალებადობას, განვითარებას განიცდის, ხოლო ეს ასახვა ყოველთვის ხდება გ ა რ კ ვ ე უ ლ ი შ ე მ მ ე ც ნ ე ბ ე ლ ი ს — გარკვეული ეპოქის მოაზროვნის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრულია, ჯერ ერთი, პირადი შესაძლებლობითა და მეორეც, ეპოქის შესაძლებლობით, ჩარჩოებით, ამ აზრითაც ცნება კონკრეტულია — „დამოკიდებულია დროსა და პირობებზე“. ცნების კონკრეტულობის ეს მომენტიც შეიძლება შემდეგნაირად დანაწევრდეს: ა) შემმეცნებლის, ადამიანის უნარის განსაზღვრულობა (ფილოსოფოსებს უყვართ თქმა: ს ა ს რ უ ლ ო ბ ა, დ ა ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ო ბ ა) შესაძლებელს ხდის მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, გარკვეულ მხარეების შემეცნებით — შემეცნებას სინამდვილისა. ბ) რომელი მხარეების? თუ აუცილებელია შემეცნება განხორციელდეს გარკვეული მხარეების შემეცნების არეში შემოსვლით, რომელი მხარეები შემოდის ჩვენს შემეცნების არეში მოვლენათა უსასრულოდ მრავალი მხრიდან? რა „პრინციპით“ ხდება „შერჩევა“, ან შეუძლია შემმეცნებელს შეარჩიოს შესამეცნებელი მხარეები? ეს შეუძლებელია, რადგანაც შერჩევა ამ მხარისა, რათა ის შემეცნებულ იქნეს, უკვე იქნებოდა ამ მხარის შემეცნებამდე ცოდნა. მარქსისტულ ფილოსოფიას აქაც უტყუარი და დაუძლეველი პასუხი გააჩნია:—მოვლენათა ამა თუ იმ მხარის შემეცნების არეში შემოსვლას განსაზღვრავს, საბოლოო ანგარიშში, ადამიანთა საწარმოო პრაქტიკა (ამიტომ ვამბობთ — პრაქტიკა შემეცნების, ჭეშმარიტების კრიტერიუმთან ერთად მისი გამოსავალი წყარო და განმსაზღვრელია, მისთვის ხაზისა და მიმართულების მიმცემია). ამ გაგებითაც ვამბობთ: ცნება დამოკიდებულია დროსა და პირობებზე, ე. ი. კონკრეტულია[1].

3. ცნება კონკრეტულია იმ აზრითაც, რომ ცნება ყოველთვის გარკვეული შინაარსის მქონეა და მისი შეცვლილი შინაარსით ხმა-

---

[1] ვფიქრობთ, ცნების კონკრეტულობს შესაბამისი ცნება ფსიქოლოგიური ასპექტით უნდა იყოს პროფ. დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მიერ შემუშავებული ცნება ო ბ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ი ს ა. იხ. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, საქ. სსრ მეც. აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 6, 1949.

ება აღრევის მომტანია შემეცნების პროცესში (მაგ. ბაზისისა და ზედნაშენის ცნებების ნამდვილი შინაარსის უგულებელყოფა, ამ ცნებების სხვა, არამარქსისტული შინაარსით ხმარება ენის შესახებ მცდარი დებულებების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო).

4. კონკრეტული, გარკვეული შინაარსის ქონება აძლევს საშუალებას ცნებას — იდეალურს, აბსტრაქტულს, გამოიხატოს გრძნობადად კონკრეტულსა და მატერიალურში — ენაში. ენის გარეშე აზრი შეუძლებელია, სიტყვაში, ენაში პოულობს აზრი გამოხატულებას. ცნების კონკრეტულობის გარეშე ეს, აზრის სიტყვაში გამოხატვა, შეუძლებელი იქნებოდა და ამდენად თვით აზროვნებაც შეუძლებელი გახდებოდა (რადგანაც არ შეიძლება არსებობდეს სიტყვაში გამოუხატავი აზრი).

5. ცნება კონკრეტულია იმ აზრითაც, რომ აბსტრაქტული, ცნებითი აზროვნება არასდროს არაა ს ა ვ ს ე ბ ი თ განთავისუფლებული გრძნობადი მასალისაგან. ჩვენს აბსტრაქტულ აზროვნებას ყოველთვის თან სდევს ერთგვარი თვალსაჩინოებაც ისევე, როგორც ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი შეგრძნებები, აღქმები უკვე ასე თუ ისე შეიცავს ზოგადობის მომენტსაც. ცნება შედეგია გრძნობადი მასალის (შეგრძნებები, აღქმები, წარმოდგენები) გადამუშავების; ცნება წარმოადგენს გრძნობადისაგან თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ა დ განსხვავებულ საფეხურს შემეცნებისა. ამის გაუთვალისწინებლობა, როგორც ზევით ვნახეთ, აგნოსტიციზმამდე მიგვიყვანს. მაგრამ აბსოლუტური ზღვარის დადება ამ ორ საფეხურს შორის, აბსოლუტურად მოწყვეტა გრძნობადი და აბსტრაქტული აზროვნებისა, კვლავ აგნოსტიციზმს მოგვცემს. უკვე ის ფაქტი, რომ არ არსებობს აზრი სიტყვის — მატერიალური მატარებლის გარეშე, მიუთითებს აუცილებელ კავშირს გრძნობადსა და აბსტრაქტულს შორის. „წმინდა“, გრძნობადისაგან სავსებით თავისუფალი აზრის აღიარება შეცდომაა. როგორც ვთქვით, აბსტრაქტულ აზროვნებას ყოველთვის თან სდევს გ რ ძ ნ ო ბ ა დ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მასალა — აღქმები, ზოგადი წარმოდგენები, ეს უკანასკნელნი კი „უფრო ახლოა“ რეალურ კონკრეტულთან.

6. დაბოლოს, ცნება კონკრეტულია შემდეგი აზრითაც: ცნება, რომელიც, ასე ვთქვათ, მოხმარებაში არაა, არ არის ცნება. ცნებას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა ის მოაზრებულია, ე. ი. ა ზ რ თ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა შ ი ა ჩ ა რ თ უ ლ ი. სახლი, რომელშიც არ ბინადრობენ, ან რკინიგზა, რომელზედაც არ მოძრაობენ არაა ნამდვილი სახლი ან რკინიგზა (მარქსი). ცნების

ნაცვლად სიტყვა შეგვრჩება ხელში, თუ ის აღებულია ცალკე, გარკვეული კონკრეტული აზროვნებითი მასალის გარეშე. ე. ი. ცნებას, როგორც ცნებას, როგორც აზრს (და არა სიტყვას!) არსებობა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა ის სხვა აზრებთან კავშირშია, ე. ი. სააზროვნო აპარატშია ჩართული. ეს საკითხი, არსებითად, აზროვნების ფორმების ურთიერთობის უძნელესი და ნაკლებ დამუშავებული საკითხია, ამიტომ აქ ამას მხოლოდ გაკვრით შეეხებით. აქ მხოლოდ იმას გავესვამთ ხაზს, რომ ცნების არსებობა მის მოხმარებაშია, ე. ი. სხვა აზრებთან ერთად მის მოცემულობაში. ცნება ასახავს საგანს მისი ნიშნების ასახვის გზით, ამ ნიშანთა ერთობლიობით. ცნების მოხმარებისას, ე. ი. მისი სხვა, კონკრეტულად ამა თუ იმ აზრებთან კავშირში აღებისას, წინ წამოვწევთ ცნებაში ნაგულისხმევ ამა თუ იმ ნიშანს, შესაფერისი, თანმდევი გრძნობადი, თვალსაჩინო მასალის გამოყენებითაც. ცნების კონკრეტულობის ეს მხარე გვიხსნის იმ „უცნაურ“ მდგომარეობას, რომ თუმცა ცნებაში არაა ნაგულისხმევი მისი სახის ნიშნები, მაგრამ ცნების დაყოფა მის სახეებად კი შესაძლებელია (საბოლოოდ ეს საკითხი აზროვნების ფორმების ურთიერთობის გარკვევით გახდება ნათელი).

ამრიგად, ცნების დიალექტიკა ასე ჩამოყალიბდა: ცნება, ერთი მხრით, აბსტრაქტულია, არაგრძნობადია, გრძნობადობისაგან განყენებაა და ამდენად დაშორებაა სინამდვილისაგან. ამ აზრით ცნება შორდება სინამდვილეს, გრძნობადსა და რეალურ კონკრეტულობას. მაგრამ ეს ცნების ერთი მხარეა, ერთი გარკვეულობაა. შეორე მხრით, ცნება, სწორედ იმით რომ ზოგადია, იჭერს იმას, რაც საერთოა მოვლენებში და ამდენად გვაძლევს სინამდვილის რეპროდუქციას; ამიტომ ზევით სვლა ზოგადისაკენ, ამავე დროს არის უფრო და უფრო ღრმად სვლა მოვლენათა არსში, უფრო და უფრო ღრმად დაუფლება სინამდვილისა, მისი კანონზომიერებისა. „აზროვნება, — წერს ლენინი, — კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ასვლისას არ შორდება, თუ კი ის სწორია, ჭეშმარიტებას, არამედ იგი მასთან მიდის. მატერიის, ბუნების კანონის აბსტრაქცია, ღირებულებისა და სხვა აბსტრაქცია, ერთი სიტყვით ყველა მეცნიერული (სწორი და არა სულელური) აბსტრაქცია ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად, უფრო სრულად“[1].

[1] ვ. ლენინი, IX კრებული, გვ. 88.

ფორმულა, რომელშიც შეიძლებოდა მიღებული შედეგი მოგვექცია, ასეთი იქნება: შემეცნება აბსოლუტურია თავის ტენდენციაში, შეფარდებითია თავის განხორციელებაში. მაგრამ ეს, არსებითად, უკვე ახალი საკითხია და შემდგომი ანალიზით უნდა გაირკვეს. სახელდობრ, ამით ჩვენ მივადექით საკითხს აზროვნების, შემეცნების განხორციელების წინააღმდეგობრივი ბუნების შესახებ, აზროვნების, შემეცნების ზოგადი კანონზომიერების შესახებ.

---

## თავი მეორე

## აზროვნების კანონების შესახებ

§ 6. „კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა, რომელიც მარტივიდან რთულზე გადადის, ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეესაბამება“, — ამბობს მარქსი[1]. მარქსი დიალექტიკოსია და მისთვის ისტორიულის არსებითი კანონი წინააღმდეგობათა ერთიანობაა. ეს კანონი ისტორიულის ამსახველი აზროვნების, ლოგიკურის კანონიც უნდა იყოს. ასეთია ზოგადი დებულება.

ამბობენ, რომ აზროვნების კანონების ასეთი გაგება, დიალექტიკის ძირითადი კანონის აზროვნების ძირითად კანონად გამოცხადება იწვევს სწორედ ზოგადის ისეთ გაგებას, სადაც ზოგადი კონკრეტულთა სიმდიდრის, თავის სახეთა ნიშნების შემცველი უნდა იყოს. წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე აგებული ლოგიკური და ლოგიკა გვარსახეობით დამოკიდებულებას, ცნების მოცულობისა და შინაარსის შებრუნებულ დამოკიდებულებას მოითხოვს; წინააღმდეგობის ერთიანობის კანონზე აგებული ლოგიკა და ლოგიკური (როგორც ამბობენ დიალექტიკური ლოგიკური) ზოგადის საწინააღმდეგო გაგებას ემყარება — აქ ზოგადმა არ უნდა დაკარგოს კონკრეტულთა ნიშნები და ამ აზრით ამ ლოგიკაში ცნება კონკრეტულიაო.

მართალია თუ არა ეს?

წინა თავში ჩვენ მიერ ნათქვამი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:—ცოდნის ელემენტის, უჯრედის—ზოგადობის პირველი გარკვეულობა აბსტრაქტულობა აღმოჩნდა; აბსტრაქტულობის ნამდვილი აზრის დასადგენად აუცილებელი გახდა ზოგადის (ცნების) ახალი, მეორე გარკვეულობის, მეორე მხარის — კონკრეტულობის ჩვენება; ყოველივე ეს დადგინდა და გაირკვა, როგორც ცოდნის (ცნების, ზოგადის) რელატიურობა-აბსოლუტურობა. ეს უკანასკნელი მდგომარეობა ჩვენ განუხილველად დავტოვეთ, მხო-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 284.

ლოდ აღვნიშნეთ. ეს დებულება არის ცოდნის წინააღმდეგობის, მისი დიალექტიკური ბუნების გამოხატულება — წინააღმდეგობათა ერთიანობის კანონის გამოვლენა აზროვნების სფეროში. ამრიგად, ზოგადის საკითხის, ცნების კონკრეტულობის საკითხის განხილვამ უშუალოდ მიგვიყვანა ისეთ დებულებამდე, რომელიც აზროვნების კანონების საკითხს წამოჭრის. თუ ცნების კონკრეტულობის განხილვამ ცოდნის დიალექტიკის, მისი წინააღმდეგობის დებულებამდე მიგვიყვანა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ არა მარტო სინამდვილის, არამედ აზროვნების ლოგიკური კანონიც წინააღმდეგობათა ბრძოლისა და ერთიანობის კანონია.

ასეთი ლოგიკურისა და ლოგიკის მოთხოვნა ფაქტია ჩვენს ლოგიკურ ლიტერატურაში. ლოგიკის საკითხებზე საბჭოთა კავშირში წარმოებულმა დისკუსიებმა დაადასტურეს, რომ ლოგიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვს ისეთი ლოგიკის დამუშავებას, რომელიც, წინააღმდეგ ე. წ. ფორმალური ლოგიკისა, რომელიც წინააღმდეგობის შეუძლებლობას ემყარება, უნდა ემყარებოდეს სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ლოგიკოსები მოითხოვენ ე. წ. დიალექტიკური ლოგიკის, როგორც უმაღლესი ლოგიკის დამუშავებას (ამ ლოგიკის მიმართ, აღნიშნული ლოგიკოსების აზრით, ე. წ. ფორმალური ლოგიკა დაბალი საფეხური იქნება). დიახ, ამას მ ო ი თ ხ ო ვ ე ნ.

მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, თუ სამწუხაროდ, ამ ავტორთა უდიდესი უმრავლესობა მხოლოდ მოითხოვს ამას; ე. ი. მოითხოვენ, რომ არ შევჩერდეთ ლოგიკის დაბალ საფეხურზე (ფორმალურ ლოგიკაზე) და რომ საჭიროა წავიდეთ წინ. ეს არის და ეს. თითქმის არც ერთი მათგანი ამის იქით არ მიდის, პრაქტიკულად არ ახორციელებს საკუთარსავე მოთხოვნას, არ ამუშავებს დიალექტიკური ლოგიკის პრობლემებს.

მხოლოდ ზოგიერთი ავტორი ცდილობს არა მარტო მოითხოვოს წინ წასვლა, არამედ კიდეც წავიდეს წინ.

საბჭოთა ლოგიკურ ლიტერატურაში აქ მითითებული საკითხების გადაწყვეტას — ძველი ლოგიკის მიერ მოცემული დებულების კრიტიკასა და მის ადგილზე წინააღმდეგობათა ერთიანობის პრინციპზე აგებული ლოგიკურის დასაბუთებას, რაც ზოგადობის შესაბამის ახლებურ გაგებას გულისხმობს, მრავალი შრომა

შიუძღვნა დოც. ს. წერეთელმა[1]. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მის მოსაზრებათა გათვალისწინება, მით უფრო, რომ აღნიშნული ავტორის შრომებმა უკანასკნელ პერიოდში დიდი დავა და აზრთა სხვაობა გამოიწვია. ამხ. წერეთლის შრომებს საკმაოდ ვრცლად უნდა შეეხოთ შემდეგი მდგომარეობის გამო: 1. ეს ავტორი, როგორც ითქვა, ერთი პირველთაგანია, რომელიც არა მარტო მოითხოვს სიტყვიერად, არამედ სერიოზულად ცდილობს დაამუშაოს დიალექტიკური ლოგიკის საკითხები, ამიტომ მ.თი განხილვა საჭიროა. 2. ავტორს ბუნდოვანი სტილი აქვს; იმისათვის, რომ მისი მოსაზრებები კრიტიკულად იქნეს განხილული, საჭიროა წინასწარ მათი გადმოცემა-დალაგება.

§ 7. დოც. ს. წერეთელი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებზე დაყრდნობით სამართლიანად წერს, რომ, თუ მატერიის მოძრაობის მარტივ ფორმებს ახასიათებთ დიალექტიკა, მისი მოძრაობის უმაღლესი ფორმა — აზროვნება, რატომ არ უნდა ექვემდებარებოდეს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს? — დალექტიკა მთელი სინამდვილის კანონზომიერებაა და, ამდენად, აზროვნებისაც[2].

ძველი ლოგიკა ამ პრინციპის საპირისპიროზე აგებდა თავის მოძღვრებას — წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპზე (საერთოდ აზროვნების ცნობილ კანონებზე). ამ კანონზე აგებული ლოგიკური, ლოგიკურის უძირითადესი ფორმა — დასკვნა[3] არ გამოხატავს ისტორიულს, არ არის ისტორიულის ასახულობა, თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიულს წინააღმდეგობა ახასიათებს, ეს ლოგიკური კი მის შეუძლებლობას ეფუძნება. ამიტომ ეს ლოგიკური, მისი დასკვნები ვერ გამოთქვამენ არსებითს სინამდვილის მიმართ — წინააღმდეგობათა ერთიანობას. ისინი მხოლოდ ზერელე, ზედაპირულ კავშირებს გამოთქვამენ, ისინი ასახავენ მოვლენებს და არა არსებას[4].

განვიხილოთ უფრო არსებითად.

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასკვნის ბუნებისათვის, (1949), საშუალო ცნების ბუნებისათვის, 1950, О природе логического. 1951, დასაბუთების ხასიათისათვის არისტოტელეს სილოგისტიკაში, (1942), ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთობის საკითხისათვის კ. მარქსის მოძღვრებაში, (1940), ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, 1952 და სხვ.

[2] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 179.

[3] იქვე, გვ. 5, 182.

[4] იხ. ს. წერეთლის დასახ. შრომები.

§ 8. სილოგიზმი შუალობითი დასკვნების ყველაზე სრულქმნილ ფორმად მიაჩნია ძველ ლოგიკას. ამასთან, სწორედ მას, სრულქმნილს აკლია მთავარი, რაც დასკვნას უნდა ახასიათებდეს — მასში არაა შუალობა. აქ თუ არის გაშუალება, იგი მხოლოდ წინამძღვრებშია, ხოლო დანასკვი განმეორებაა წინამძღვრებში უკვე თქმულის. საშუალო ცნება საშუალოს როლს ვერ ასრულებს აქ. რატომ? — იმიტომ, რომ ის შემთხვევითი და არა არსებითია დასაკავშირებელთათვის. კიდურა წევრები, დასაკავშირებლები აუცილებლობით უნდა მოითხოვდნენ საშუალოს და პირიქით — ნამდვილი ლოგიკური აუცილებლობა მხოლოდ ამ შემთხვევაში განხორციელდება. სილოგიზმს ეს აკლია. „ცხოველი", „ადამიანი", „სოკრატე" ერთნაირი აუცილებლობით არ მოითხოვენ ერთმანეთს — „სოკრატესათვის" აუცილებელია „ადამიანი", „ადამიანისათვის" — „ცხოველი", მაგრამ პირიქით არაა — „ცხოველი" არ მოითხოვს აუცილებლობით „ადამიანს", ეს უკანასკნელი — „სოკრტეს", ისინი შემთხვევითნი არიან თავიანთი ზოგადისათვის, გვარისათვის. აუცილებლობა ერთმხრივია, მეორე მხრივ — შემთხვევითობაა. საშუალო შემთხვევითია დასაკავშირებელთათვის (ე. ი. მისი ადგილი შეიძლება სხვამ დაიჭიროს) და რა ლოგიკური აუცილებლობის მოცემა შეუძლია თვით არააუცილებელსა და შემთხვევითს! ეს მდგომარეობა თვითონ არისტოტელესაც აქვს შენიშნული და გამოთქმული. მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის: ფაქტი ფაქტად რჩება. ამ დასკვნის ნაკლოვანება ფაქტია და ამ ნაკლის ერმქონე დასკვნის აუცილებლობაც ეჭვმიუტანელი[1]. როგორი უნდა იყოს ეს ახალი დასკვნა? სანამ ამას ვუპასუხებდეთ, იგივე მდგომარეობა დავახასიათოთ სხვა მხრიდან.

იქ, სადაც საშუალო, დამაკავშირებელი შემთხვევითია, იქ უკვე ამის გამო, აზრი გარეგნულითაა შემაგრებული და დაფუძნებული; რომელიმე აზრის გამოსაყვანად მისთვის არცთუ ისე აუცილებელს, შემთხვევითს, მისით არგამოწვეულ, მისგან არგამომდინარე წინამძღვრებს უნდა მივმართოთ, მაგრა ის წინამძღვრები თვითონაც აზრებია და გამოყვანის მომთხოვნი აზრები, რადგანაც ისინი აუცილებლობით არ გამოუწვევია იმას, რის გამოსაყვანადაც ისინი მოვიხმარეთ. ისინიც მოითხოვენ წინამძღვრებს, ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ახალ წინამძღვრებს და ასე შემდეგ უსასრულოდ. ეს იქნება სრულიად ყალბი ლოგიკური მდგომარეობა — რაიმე აზრის გამოყვანა (დასაბუთება) უსასრუ-

[1] ს. წერეთელი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის.

ლო რეგრესს და, მაშასადამე, ამ აზრის ვერ გამოყვანას მოგვცემს.

ამრიგად, სილოგიზმი, რომელიც დასკვნა, (ანუ გამომდინარეობა, გამოყვანა უნდა იყოს, ნამდვილად, უსასრულო რეგრესში სვლის აუცილებლობის გამო, ვერაა გამოყვანა, გამომდინარეობა, ვერ ახორციელებს წაყენებულ მოთხოვნებს. თუ მდგომარეობის საშველად აქსიომებს მოვიშველიებთ, როგორც ეს არისტოტელეს გააკეთა, მაშინ, ჯერ ერთი, ლოგიკურში არალოგიკურს ჩავრევთ, მეორეც, როგორც ახალმა ტროპებმა მიუთითა, აქსიომის საწინააღმდეგოს აღებაც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს და ამდენად ყოველი აზრი და მისი საწინააღმდეგო თანაბარდასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. ფაქტიურად ყოველგვარ დასაბუთებაზე ხელი უნდა ავიღოთ.

მაშასადამე, სილოგიზმი ვერ გამოხატავს ნამდვილ დასკვნობითობას, ახლის მიღებას აუცილებლობით, არ შეესაბამება ცოდნის ნამდვილ ბუნებას. ის რაც მას შეუძლია ასახოს — გარეგანი კავშირებია, ზერელე მითითებანია. მასში არაა ახალი ცოდნის მიღება, ამიტომ ის ანალიტურია, ის ტავტოლოგიამდე მიდის—იგივეს იმეორებს რა წინააღმდეგობაშია ან არადა გამოყვანის მაგივრად უსასრულობაში რეგრესს გვაძლევს. ის არის დაბოლოებულის, მოვლენების დასკვნა და არა არსების, დაუბოლოებლის[1].

§ 9. იქნება ძველი ლოგიკის სხვა დასკვნებმა გამოთქვან არსება, ნამდვილი ისტორიული პროცესი, მოგვცეს ნამდვილი ლოგიკური გამომდინარეობა და აუცილებლობა? — არა! ისინიც ნაკლოვანნი არიან და ლოგიკურის ნამდვილ ფორმებად ვერ ჩაითვლებიან.

ე. წ. არასილოგისტურ დასკვნებში ანალიტურობა ცხადია — A = B, B = C. მაშასადამე A = C; აქ დანასკვი მხოლოდ ცალკე გამოწერაა იმისა, რაც უკვე ნათქვამია წინამძღვრებში. ნამდვილ დასკვნას, გამოყვანას არავითარი აზრი არა აქვს, თუ არაა სინთეზურობა; გამოყვანას ხომ განსხვავებულის, ახლის გამოყვანისას აქვს აზრი. „თუ არასილოგისტური დასკვნები მართლაც დასკვნებად იქნება მიჩნეული, მაშინ მათს შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ანალიტური და ტავტოლოგიური ხასიათის არიან, ე. ი. ნამდვილ დასკვნებს არ წარმოადგენენ“. ასეთი დასკვნების დანასკვში და-

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასკვნის ბუნებისათვის, გვ. 118; საშუალო ცნების ბუნებისათვის, გვ. 104—108; ლოგიკურის ბუნებისათვის; ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 152, 160, 340, 354 და სხვ.

კარგულია ის შუალობითი კავშირიც კი, რაც წინამძღვრებში ყოფ[1].

პირობით-კატეგორიული სილოგიზმიც ვერაა უნაკლო, რადგანაც ძველი ლოგიკის მოძღვრების მიხედვით აქ შინაგანი, არსებითი და გარეგანი, არაარსებითი მიზეზები არეულია. ამიტომ ძველი ლოგიკის ფარგალი მხოლოდ 2 მოდუსს ჩაითვლის გამართლებულად. ნამდვილად ძველი ლოგიკის ფარგლები უნდა დაირღვეს და ოთხივე მოდუსის სამართლიანობა დამტკიცდეს. ამას მოითხოვს დიალექტიკური გაგება გარეგანი და შინაგანი მიზეზსაფუძვლისა[2] (ეს საკითხი — საფუძველ-შედეგის საკითხი, არსებითად შემდეგ იქნება განხილული).

გაყოფით კატეგორიული სილოგიზმი წინამძღვრებში გამოთქვამს შემდეგს: 1. რაიმე არის ან A, ან B, ან C; ე. ი. რაიმე რომელიმე ამათგანია, რადგანაც გაყოფის წევრები ერთმანეთს გამორიცხავენ. თუ იგი ერთ-ერთია, მაშინ ის სხვა არ იქნება; 2. რაიმე არის A; აქედან ცხადია, რომ ეს რაიმე არ იქნება სხვა. ეს დანასკვი უკვე წინამძღვრებშია ნათქვამი; აქ დასკვნა ანალიტურია[3].

ამრიგად, დედუქციურ დასკვნათა (არასილოგისტურთა ჩათვლით) არც ერთი ცნობილი სახე არაა დამაკმაყოფილებელი — ისინი ახალს არ იძლევიან და ამდენად ცოდნის ნამდვილ ბუნებას არ შეესაბამებიან. ანალიტურობა გამომდინარეობის უარყოფაა, მათ კი სწორედ გამომდინარეობა უნდა გამოეხატათ!

§ 10. იქნებ ინდუქციამ უშველოს საქმეს? — ინდუქციაში მართლაც გვაქვს სინთეზურობა, აქ დანასკვი ახალია წინამძღვრებთან შედარებით; ინდუქცია ახალ ცოდნას გვაძლევს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ინდუქცია ვერ აკმაყოფილებს დასკვნის მეორე პირობას — მასში არაა ლოგიკური აუცილებლობა. ინდუქცია ნახვის მეთოდია და არა ლოგიკური აუცილებლობის. ჩვენ კი სწორედ ამ უკანასკნელის ფორმებს ვეძებთ. რა უფლებით გადავდივართ უკვე ცნობილი ფაქტებიდან ახალ, ჯერაც უცნობ ფაქტებზე, რა უფლებით ვამტკიცებთ მათზე იმას, რაც ცნობილთა მიმართაა მხოლოდ დამტკიცებული? ასეთი უფლება, ლოგიკური აუცი-

---

[1] ს წ ე რ ე თ ე ლ ი, საშუალო ცნების ბუნებისათვის, გვ. 116—117.

[2] იქვე, გვ. 112—13; ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 336.

[3] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, საშუალო ცნების ბუნებისათვის, გვ. 115.

ლებლობა გადასვლისა, ინდუქციას აკლია. ამიტომ არც ის ჩაითვლება ნამდვილ დასკვნად[1].

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინდუქცია და დედუქცია ერთიმეორის ნაკლს ატარებენ და მიუთითებენ. დედუქციას აქვს (თითქოს აქვს!) ის, რაც ინდუქციას აკლია — გამოყვანის აუცილებლობა; მაგრამ მას აკლია ის, რაც ინდუქციას გააჩნია — სინთეზურობა. ამიტომ ვერც დედუქციის გამოყვანის აუცილებლობა ჩაითვლება გამოყვანად და აუცილებლად, რადგანაც იქ, სადაც სინთეზურობა არაა, ახალი არ გამოდის, იქ გამომდინარეობას აზრი ეკარგება; არც ინდუქციას ახასიათებს ნამდვილად სინთეზურობა, რადგანაც სინთეზურობა სწორედ გამომდინარეობის აუცილებლობის სინთეზურობა უნდა იყოს. ეს კი ინდუქციას აკლია. ამიტომ ისინი მხოლოდ მოითხოვენ ნამდვილ დასკვნას, რომლის მიმართ თვითონ თამაშობენ ცალმხრიობების როლს[2].

§ 11. თუ ეს დასკვნები არ წარმოადგენენ ნამდვილ დასკვნებს, ცხადია, არც ის კანონები უნდა იყვნენ ნამდვილი კანონები, რომელთაც ემყარება ეს დასკვნები. მართლაც, აზროვნების კანონებად წოდებული კანონები ნამდვილი კანონები კი არ არიან აზროვნებისა, არამედ მხოლოდ მოითხოვენ ასეთ კანონს.

ამ კანონების შესახებ, როგორც საერთოდ, ისე ცალკეულ თითოეულზე, ავტორი შემდეგს ამბობს:

წინააღმდეგობათა ერთიანობის მომენტები აბსოლუტურად, ერთიმეორისაგან მოწყვეტილად და ამიტომ დამოუკიდებლად წარმოიდგინა ძველმა ლოგიკამ. ეს „კანონებია“: იგივეობის, წინააღმდეგობის, გამორიცხული მესამის და საკმაო საფუძვლის. ეს კანონები, ავტორის აზრით, გარკვეული აზრის მქონენი არიან ურთიერთკავშირში (ეს კი ძველ ლოგიკას არ გაუკეთებია). ცალკე კი მრავალ შეუძლებლობასა და სიძნელეებს შეიცავენ. სწორედ ეს სიძნელეები ამტკიცებენ, რომ ეს „კანონები“ დაქვემდებარებული კანონებია.

იგივეობა აუცილებელი მომენტია წინააღმდეგობის ერთიანობის, იგივეობა ამ ერთიანობაშია; ლ ე ნ ი ნ ი ხშირად აღნიშნავდა, რომ გარკვეული აზრით ერთიანობა და იგივეობა არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობა თავის თავთან იგივეობაშია და არა წინააღმდეგობაში. მასში, გარკ-

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასკვნის პრობლემისათვის, გვ. 115—116; საშუალო ცნების ბუნებისათვის, გვ. 118.

[2] იხ. ს. წერეთლის დასახ. შრომები.

ვეული აზრით, მოხსნილია წინააღმდეგობა — ის შეიცავს მას, როგორც შინაგან მომენტს; — ის ხომ წინააღმდეგობის ერთიანობაა, ა ი ეს ერთიანობაა თავისი თავის იგივეობრივი. ამრიგად, იგივეობის მომენტი აუცილებელი მომენტია, მის გარეშე არც არაფრის არსებობა შეიძლება, არც არაფრის მოაზრება. მაგრამ იგივეობა სრულებითაც არაა საკმარისი არც რაიმეს არსებობისათვის, არც რაიმეს მოაზრებისათვის. იგივეობა არ არის აბსოლუტური არც არსებობაში, არც აზროვნებაში. მხოლოდ იგივეობრივი არაფერი არ არსებობს. როგორც ცნობილია, ძველი ლოგიკის პრინციპს იგივეობის შესახებ ეწინააღმდეგება მისივე მეორე პრინციპი (ლაიბნიცი) — რომ არაფერი არაა იგივეობრივი. ამ ორი პრინციპის მორიგება ვერ მოახერხა ძველმა ლოგიკამ, — ეს იქნებოდა წინააღმდეგობის ერთიანობის აღიარება და ძველი ლოგიკა არ მისულა აქამდე. ყოველი არსებული განსხვავებულთა და, არსებითად, დაპირისპირებულთა ერთიანობაა; მისი ყოველი ცალკეული ნიშანიც ასეთია, რადგანაც ის ნაწილობრივი და შეფარდებითია. ყოველი აზრიც განსხვავებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ასეთია ცნება, რომელსაც განსხვავებული ნიშნების ჩამოთვლით განსაზღვრავენ, რომელთაგან თითოეულს შედარებითი აზრი აქვს. ასეთია მსჯელობაც და დასკვნაც. თვითონ წინააღმდეგობის ერთიანობაც სრულიად არაა თავის თავთან მხოლოდ იგივეობრივი, რადგანაც იგი არის არა მხოლოდ ერთიანობა წინააღმდეგობათა, არამედ სწორედ წინაღმდეგობათა ერთიანობა... იგივეობას აზრი ეკარგება არაიგივეობრივისა და განსხვავებულის გარეშე. იგივეობა სწორედ განსხვავებულთა იგივეობაა და განსხვავებულობა მხოლოდ იგივეობითაა შესაძლებელი[1].

იგივეობას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ის რაიმეს გამორიცხავს. ამიტომ შეცდომა იქნებოდა როგორც იგივეობის კანონის აღიარება, ისე სხვაობის კანონის აღიარებაც. ცალმხრიობის კანონად წარმოდგენა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. კანონი არც მარტო იგივეობის „კანონია", არც მარტო სხვაობის, რადგანაც ჭეშმარიტება მხოლოდ მათ ერთიანობაშია და არა მათ ცალმხრიობაში. ნამდვილი კანონი უნდა იყოს იგივეობისა და სხვაობის ერთიანობის კანონი. წარმოება არის წარმოება, მაგრამ ის ამავე დროს მოხმარებაცაა, სხვაც არის.

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკური მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, თბილისი, 1952, გვ. 48—49, 78.

მხოლოდ იგივეობა, რომელიც გამორიცხავს განსხვავებას, იქნება აბსტრაქტული იგივეობა და არა ნამდვილი კანონი სინამდვილისა (და აზრისაც). იგივეობა კონკრეტულია, როცა რაიმე არის მისგან განსხვავებული, როცა რაიმესათვის აუცილებელია სხვა, მისგან განსხვავებული. ასეთია მაგ., პროლეტარიატი, ბურჟუაზია და სხვა[1].

ამიტომ იგივეობის „კანონი" მხოლოდ მოთხოვნაა ნამდვილი კანონის და არა ასეთი კანონი.

წინააღმდეგობის „კანონიც" ისეთივე ხასიათისაა, როგორც იგივეობისა. ისიც არსებობს როგორც მომენტი წინააღმდეგობათა ერთიანობისა, მასაც შედარებითი აზრი და მნიშვნელობა აქვს. წინააღმდეგობის შეუძლებლობა იმას კი არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია, რომ წინააღმდეგობა არ არსებობს და მისი მოაზრება შეუძლებელია. წინააღმდეგობის მოაზრება რომ შეუძლებელი იყოს, მაშინ წინააღმდეგობაზე აზრი არ გვექნებოდა და ვერ ვიტყოდით, რომ წინააღმდეგობა შეუძლებელიაო[2]. წინააღმდეგობა არაა მოჩვენება, ის ნამდვილად არსებობს, მაგრამ არსებობს როგორც იგივეობა წინააღმდეგობათა, ე. ი. წინააღმდეგობა მისი საპირისპიროს — იგივეობის გარეშე ცალმხრიობაა და აზრი ეკარგება; ის სწორედ წინააღმდგობათა ერთიანობაა. და ის რომ ნიშნავდეს წინააღმდეგობის მოსპობას, შერიგებას, შეუძლებლობას, მაშინ ერთიანობაზე ლაპარაკს აზრი არ ექნებოდა. ამიტომ შემცდარია წინააღმდეგობის შეუძლებლობის აბსოლუტურ კანონად გამოცხადება. ის დაქვემდებარებული მნიშვნელობისაა. ეს ასევა როგორც არსის, ისე აზრის მიმართაც. საპირისპირო დებულებებიდან ცალკეული მხოლოდ ცალმხრიობაა და ჭეშმარიტება მათს მთლიანობაშია; — ყოველი დებულება შეფარდებითაა ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებას სრულად მეორესთან, საპირისპიროსთან ერთიანობაში გამოთქვამს[3].

არისტოტელე წინააღმდეგობის კანონს გამოთქვამდა შემდეგნაირად: ერთსა და იგივე საგანს ერთი და იგივე ნიშანი ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე მიმართებაში არ შეიძლება კიდეც ეკუთვნოდეს და არც ეკუთვნოდეს[4].

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 140—41.

[2] იქვე, გვ. 49.

[3] იქვე, გვ. 49 — 50.

[4] А р и с т о т е л ь, Метафизика, 1934, 1005, 40,

ჯერ ერთი, წერს დოც. ს. წერეთელი, ეს განმარტება ხსენებული კანონისა არ შეიძლება კანონის განმარტებად ჩაითვალოს, რადგანაც ის უარყოფითი ხასიათისაა და უარყოფითი ფორმითაა გამოთქმული. თვითონ ძველი ლოგიკის თვალსაზრისით კანონი დადებითი უნდა იყოს და დადებით ფორმაში გამოთქმული. ის უნდა გვეუბნებოდეს იმას, თუ რა არის შესაძლებელი და არა იმას, რა არ არის შესაძლებელი, როგორც ეს აქ მოცემულ განსაზღვრებაშია[1].

შემდეგ, მასში ლაპარაკია, ერთსა და იმავე საგანს, ერთი და იგივე ნიშანი და ასე შემდეგ... ე. ი. აქ უკვე ნაგულისხმევია, რომ საგნის ნიშანი სხვაა. ეს „კანონი" გულისხმობს იმას, რომ საგანს მისგან განსხვავებული ნიშანი მიეწერება... აქ გამოთქმულია სხვა მომენტი, რომელიც არ დაიყვანება იგივეობაზე, იგივეობას ავსებს სხვა, ნამდვილ კანონამდე. ეს ორივე „კანონი" ნამდვილი კანონის მომთხოვნია. ორივე ისინი ცალმხრიობებს გამოთქვამენ და ამიტომ კანონებს არ წარმოადგენენ (გვ. 50 — 51).

დროის მომენტის ამ „კანონში" მოცემულობა, ჯერ ერთი, ლოგიკურში დროულობის შემოტანის უხერხულობას ქმნის; მეორეც, თუ საგანი ახლა შეიძლება ერთი იყოს, შემდეგ კი სხვა გახდეს, ეს მას მხოლოდ იმით შეუძლია, რომ ერთ დროსაც, აღებულ მომენტშიც სხვადასხვას, განსხვავებულობას შეიცავს (გვ. 51).

წინააღმდეგობა შეუძლებელია, ამბობს ძველი ლოგიკა. რას კრძალავს ის? წინააღმდეგობას, თუ ის შეუძლებელია, რად სჭირდება აკრძალვა? ის, რის წინააღმდეგაც გარკვეული კანონით მოქმედებენ, ცხადია, შესაძლებელია და ნამდვილადაც არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქარის წისქვილებთან ბრძოლა გვექნებოდა. წინააღმდეგობის შეუძლებლობა თვითონ ნათელყოფს წინააღმდეგობის შესაძლებლობასა და აუცილებლობას, რაც შეუძლებელია, ის ნამდვილ საფუძველსაც გულისხმობს. წინააღმდეგობა თვითონ მოითხოვს ერთიანობას, როგორც მისი შესაძლებლობის პირობასა და საფუძველს. ამიტომ უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგობის შეუძლებლობაც შესაძლებელია და წინააღმდეგობაც. წინააღმდეგობისა და მისი ერთიანობის საფუძველზე შეიძლება ლაპარაკი წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე (გვ. 185).

მოკლედ, წინააღმდეგობის უარყოფა თვითონ გულისხმობს

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინურ გაგებისათვის, გვ. 50.

წინააღმდეგობას: — ლოგიკურად რაიმეს უარყოფა ამ რაიმეს გულისხმობს წინასწარ (იქვე).

ამრიგად, არისტოტელეს და საერთოდ ძველი ლოგიკის კანონები ცალმხრიობებია, ეხებიან მხოლოდ მოვლენებს და არა არსებას; ისინი მხოლოდ ისეთ კანონს მოითხოვენ, რომელიც არსებას ეხება და ასახავს (გვ. 51).

არც გამორიცხული მესამის „კანონია" ამ მდგომარეობიდან გამონაკლისი. პირიქით, აქ უფრო ნათლად ჩანს, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა ამ კანონებს საფუძვლად უნდა დაედოს.

ჩვეულებრივად გამოთქმული გამორიცხული მესამის კანონს არა აქვს ლოგიკური აზრი, თუმცა ცდილობენ მასზე დააფუძნონ გარკვეული სახეები დასკვნისა და დასაბუთების (გაყოფითი დასკვნები და აპაგოგიური დასაბუთება). თუ წინააღმდეგობის კანონი ორი საწინააღმდეგოდან ერთს არჩევს, გამორიცხული მესამის კანონი ორი საწინააღმდეგოს შესაძლებლობას აღიარებს და მხოლოდ მესამის შესაძლებლობას გამორიცხავს. რაიმე არის ან A, ან არა, არ არის ლოგიკურად გარკვეული რამ, ეს ლოგიკურ მდგომარეობას სრულებითაც არ გამოხატავს, ამიტომ მესამის გამორიცხვის შესაძლებლობასაც არ იძლევა. ლოგიკურად გაურკვეველი არ გამოდგება ლოგიკური გარკვეულობის — გამორიცხვის გარკვეულობის საფუძვლად (გვ. 53).

მთავარი ამ „კანონის" შესახებ ისაა, რომ, როგორც ل ه ن ي ن აღნიშნავს, როცა ვამბობთ, „რაიმე არის ან A, ან არა A, მესამე გამორიცხულია", სწორედ იმ მესამეს ვემყარებით, რომლის გამორიცხვასაც ვაღიარებდით. აქ მოყვანილი გამორიცხული მესამის კანონის გამომთქმელ დებულებაშივეა გამოთქმული მესამე, რომლის გამორიცხვასაც ვაღიარებთ, მაგრამ რომლის საფუძველზეც მოვახდინეთ დაპირისპირება — „ან-ან". გამორიცხული მესამის კანონი ემყარება მესამეს, მაშინ, როცა სწორედ მესამის გამორიცხვას აღიარებს და ცდილობს. ეს მესამე არის რაიმე; როცა ვამბობთ: „რაიმე" არის ან A, ან არა A, მაშინ სწორედ „რამეა" მესამე, რომლის მიმართ ვამტკიცებთ, რომ ის არის ან A,ან არა A (გვ. 54).

ამასთან, ეს კანონიც, როგორც ზევით ითქვა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონზე, უარყოფითი ხასიათისაა. აქ ლაპარაკია მესამის გამორიცხვა-შეუძლებლობაზე, ე. ი. ნათქვამია ის, თუ რა უნდა გამოირიცხოს და არა ის, თუ რა უნდა იყოს ნამდვილად. უარყოფითი კანონი კი არ შეიძლება კანონად ჩაითვალოს (გვ. 192).

გამორიცხული მესამის კანონი მერყეევ მდგომარეობას გამოხატავს — ერთ-ერთია შესაძლებელი, მესამე გამორიცხულია, ამბობს ეს კანონი; წინააღმდეგობის ეუძლებლობა კი ამ ერთ-ერთიდან რომელიმეს ჭეშმარიტებას ადგენს... ამიტომ ეს კანონი (გამორიცხული მესამის) არაა გარკვეულობის, ლოგიკური მდგომარეობის კანონი (გვ. 143). ეს კანონი ლოგიკურ შეუძლებლობასა და სიძნელესაც შეიცავს — ან-ან-ით დაწყება იმას ნიშნავს, რომ ორია შესაძლებელი, რომ არჩევანი ორს ეხება და მესამე გამორიცხულია. როდესაც არჩევანი ან A-სა და ან არა A-ს შორის კეთდება, უკვე მესამე გამორიცხულია და შემდეგ მესამის ისევ გამორიცხვა დაგვიანებული და ზედმეტია, ე. ი. უაზრობის შემქმნელია. ან A, ან არა A, მესამე გამორიცხულია, გვაძლევს ტოვტოლოგიას: გამორიცხულია მესამე, ამიტომ მესამე გამორიცხულია (გვ. 193).

ასეთი მდგომარეობა დაბოლოებულის სფეროს დაახასიათებს. დაუბოლოებლის სფეროსათვის კი ეს კანონი არ გამოდგება. უფრო ზუსტად: ის მხოლოდ მოთხოვნა იქნება საკუთარივე საფუძვლისა, კანონისა, რომელიც დაუბოლოებელს შეესაბამება. ის, რის შიმართ საპირისპირო პრედიკატებს გამოვთქვამთ, თვითონაა მათი ერთიანობა და ამიტომ ამ კანონის საფუძველიც (გვ. 197).

„ან-ან" გამოსადეგია დაბოლოებულის სფეროში (გვ. 207), მაგრამ ის უსასრულოს, დაუბოლოებელს ვერ გამოხატავს (გვ. 194). ნამდვილი ლოგიკური კავშირისათვის, ნამდვილი აზროვნებისათვის ან-ან მხოლოდ მომენტია და არა კანონი, რადგანაც ასეთი კავშირი მხოლოდ სინთეზურობისასაა აზრიანი. ეს კანონი კი ამას ვერ უზრუნველყოფს. (გვ. 217).

§ 12. სინთეზის უზრუნველყოფის გარეშე ეს კანონები ლოგიკურის კანონებად ვერ ჩაითვლებიან. ამას კი ვერ ახერხებენ. აქ ამოცანას უნდა ასრულებდეს თითქოს საკმაო საფუძვლის კანონი.

ლოგიკური აუცილებელი კავშირი საფუძველ-შედეგის კავშირია; ეს იმაში მდგომარეობს, რომ საფუძვლიდან, სწორედ მისი მეოხებით, მისგან განსხვავებული გამომდინარეობდეს. აქ გვექნება განსხვავებულთა სინთეზურ-ლოგიკური, ე. ი. აუცილებელი კავშირი. თუ საფუძვლიდან ახალი, განსხვავებული არ გამომდინარეობს, მაშინ დასკვნას, თვით გამომდინარეობას აზრი ეკარგება. არა მარტო დასკვნა, მსჯელობაც განსხვავებულთა ერთიანობაა. ამიტომ ვერც მსჯელობას, ვერც დასკვნას ვერ აგვიხსნიან „აზროვნების ძირითადი კანონები". ვერ აგვიხსნიან იმას, თუ როგორ

შეიძლება რაიმეს მისგან განსხვავებული აუცილებლობით მივაწეროთ ან რაიმესგან მისგან განსხვავებული აუცილებლობით გამომდინარეობდეს. ამ კანონების უკმარობა იმაში ჩანს, რომ მიუხედავად მათი არსებობისა, ეს პრობლემა (ლოგიკური სინთეზისა). პრობლემადაა დარჩენილი ლოგიკაში. ამიტომ იძულებული გახდა ძველი ლოგიკა დასკვნის ასახსნელად შემოეტანა „სილოგიზმის აქსიომა", „ბუნების ერთგვაროობის კანონი". თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში კი უამრავი სხვა აქსიომაც ამ მიზანს ემსახურება. ვერც ერთმა თავისი როლი ვერ შეასრულა — ვერ ახსნა დასკვნის ბუნება.

შეძლო ამ მიზნით შემოტანილმა საკმაო საფუძვლის კანონმა თავისი მიზნის შესრულება? შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი არც უკვლევია ჯერ არავის (გვ. 318).

ავტორი (ს. წერეთელი) ფიქრობს, რომ ეს ამ კანონმაც ვერ შეძლო.

წინასწარვე უნდა ითქვას, ამბობს ავტორი, რომ საფუძვლის კანონი ისე ზერელედ იქნა წარმოდგენილი, რომ მას, როგორც დამოუკიდებელს, მიანიჭეს დასკვნის პრინციპის უფლება, რადგანაც იგი ზოგადად იმას გამოთქვამდა, რომ ყოველივეს თავისი საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომ დასკვნა საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებაა, რომ რაიმეს დასაბუთება მისი საფუძვლის გამონახვაა და სხვ.

ჩვეულებრივად გაგებული საკმაო საფუძვლის კანონი დასკვნის პრინციპის ძალიან ზერელე გამოთქმად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი დასკვნის შესაძლებლობას და მის არსებას კი არ აგვიხსნის, არამედ ზოგადად ამბობს, რომ დასკვნა საფუძვლიდან შედეგის მიღებაა. მაგრამ ამ კანონიდან არ ჩანს, თუ რაშია ამ მიღების, ასეთი გამოყვანის თუ კავშირის არსება. იმისი თქმა, რომ დასკვნა საფუძვლიდან შედეგის გამოყვანაა, ტავტოლოგიაა, — დასკვნა იგივეა რაც საფუძვლიანად შედეგის გამოყვანა. სწორია საკმაო საფუძვლის კანონის მოთხოვნა, რომ ყოველივეს თავის საფუძველი მოენახოს, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორია ეს საფუძველი და როგორ მოინახოს ის (გვ. 318 — 319).

ძველი ლოგიკა მხოლოდ მოითხოვს საკმაო საფუძვლის აზრის განხორციელებას, თვითონ ვერ ასრულებს ამას (გვ. 319).

ამ კანონმა ვერ უზრუნველყო გარკვეულობა ლოგიკურში: თუ ყველაფერს თავისი საფუძველი აქვს, მაშინ შეცდომასაც და ჭეშმარიტებასაც აქვთ ის, და გარკვეულობა აქ არაა. ცუდ საქციელ-

საც აქვს საფუძველი, კარგიაც. „ყველაფერი, რაც ქვეყნად წახდა, კარგი საფუძვლის გამო წახდა“ (ჰეგელი). ძველ ლოგიკაში აქ გაურკვევლობა, ავისა და კარგის, ჭეშმარიტებისა და მცდარობის ვერ გარჩევა სუფევს (გვ. 320).

საფუძვლის ცნების გაგებაში ძველ ლოგიკას ის ნაკლი ჰქონდა, რომ ის ლაპარაკობდა საერთოდ საფუძვლის, საერთოდ შედეგის შესახებ, არ არჩევდა არსებით მიზეზ-საფუძველს არაარსებითისაგან. ასეთი გარჩევა კი დიალექტიკისათვის მნიშვნელოვანია. ყოველივეს ერთი შინაგანი არსებითი მიზეზ-საფუძველი აქვს, მაშინ, როცა გარეგანი მიზეზი მას უამრავი შეიძლება ჰქონდეს. ასე გაგებული საფუძველი შესაძლებლობას მოგვცემს გადაწყდეს როგორც დედუქციის, ისე ინდუქციის პრობლემები. ამავე დროს პირობით-კატეგორიული სილოგიზმის ოთხივე მოდუსის სამართლიანობა დასაბუთდება (გვ. 336 — 37).

საერთოდ აზროვნების კანონების შესახებ, ამრიგად, შემდეგი ითქმის: „აზროვნების ძირითადი კანონები“ მხოლოდ ცალმხრიობებს გამოთქვამენ ნამდვილი კანონისა, ამიტომ ისინი კანონებს არც წარმოადგენენ“ (გვ. 51). ისინი, ნაცვლად იმისა რომ გარკვეულობების კანონები იყვნენ, გაურკვევლობას ქმნიან და ამიტომ თვითონვე მოითხოვენ გარკვეულ კანონს, რომელიც გარკვეულობას დაადგენს (გვ. 79). ეს კანონები ენთიმემური ხასიათისა არიან— გულისხმობენ იმას, რითაც შეიძლება მიეცეს აზრი — წინააღმდეგობის ერთიანობას (გვ. 166). უბრალო მსჯელობის ანალიზიც ნათელყოფს ამ კანონების, როგორც კანონების, შეუძლებლობას, (გვ. 196), მით უფრო დასკვნების ანალიზი; — ჯერ ერთი, ეს კანონები სინთეზურობას ვერ უზრუნველყოფენ და ამიტომ კანონებად არც შეიძლება ჩაითვალონ; მეორეც, ეს კანონები მხოლოდ უარყოფითი პირობა არის და არა დადებითი· არსებითად ეს ისევ სინთეზურობის პრობლემაა; სინთეზურობა დადებით პირობას მოითხოვს და არა მხოლოდ უარყოფითს, როგორსაც ეს კანონები წარმოადგენენ (გვ. 79). ეს კანონები მხოლოდ გარეგანს, გარეგან უარყოფას, მოვლენათა სფეროს ხსნიან და არა შინაგან უარყოფას, არსებას. გარეგანი უარყოფა კი შინაგანს მოითხოვს. ამდენად. აზროვნების კანონები დაქვემდებარებული ხასიათისანი არიან და ამიტომ კანონებად არც გამოდგებიან (გვ. 200). სინამდვილეში არსებული წინააღმდეგობის გამოსახატავად სრულიად გამოუსადეგარნი არიან აზროვნების ძირითადი კანონები (გვ. 216). კანონი სისრულის ბუნებისა უნდა იყოს და არა ცალმხრიობისა. ეს ნაკ-

ლოვანება აქვთ აზროვნების კანონებს და ამიტომ ისინი არც არიან ნამდვილი კანონები (გვ. 260) და სხვ.

§ 13. ზემოთ თქმულიდან უკვე, ნაწილობრივ მაინც, ჩანს ისიც, თუ როგორი უნდა იყოს, ავტორის აზრით, ნამდვილი ლოგიკური და მისი კანონი.

დასკვნაში არსებითია საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება; ვერც დედუქციამ, ვერც ინდუქციამ ეს ვერ განახორციელა (გვ. 354 — 355). ნამდვილად კი უნდა არსებობდეს ასეთი დასკვნა, რადგანაც ცოდნა ფაქტია, ხოლო ცოდნის განხორციელება — სი ნამდვილის შემეცნება, შემეცნება არა მარტო მოვლენებისა, არამედ მათი არსებისაც, მხოლოდ იმ დასკვნით შეიძლება განხორციელდეს, რომელიც საფუძველ-შედეგის ნამდვილ კავშირს ასრულებს, ე. ი., სადაც საფუძვლიდან აუცილებლობითაა მიღებული შედეგი. საფუძვლის ცნების გარეგანი საფუძვლის ცნებასთან გაიგივება დასაბუთებას აზრს უკარგავს. საფუძველ-შედეგის კავშირი რკალისებრია და არა სწორხაზოვანი (გვ. 359). სწორხაზოვნების შემთხვევაშია სწორედ უსასრულობაში რეგრესი გარდუვალი და ასეთ მდგომარეობაშია ძველი ლოგიკის ყველაზე საიმედო დასკვნა — სილოგიზმი (გვ. 340). ნამდვილი, დიალექტიკური გაგებით შედეგი საფუძვლით განისაზღვრება, მაგრამ შედეგიც თავის საფუძველს განსაზღვრავს, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა საფუძველსაც და შედეგსაც. საფუძველი, განმსაზღვრელი და ამხსნელი ლოგიკური თვალსაზრისით ერთი და იგივეა. ისინი (საფუძველი და შედეგი) ურთიერთს განსაზღვრავენ (მაგრამ ურთიერთგანსაზღვრების კატეგორიაზე საფუძველ-შედეგის დაყვანა არ შეიძლება). სინამდვილის თვითგანვითარების, თვითსაფუძვლის არსება სწორედ ასეთმა დასკვნამ, ასეთმა ლოგიკურმა—თვითსაფუძვლის მქონე, საფუძვლის შინა მქონე და არა გარეგანი საფუძვლის მომლოდინე ლოგიკურმა უნდა მოგვცეს. აქ არსებითი იქნება შინაგანი უარყოფის მომენტი (გვ. 359).

უარყოფის მომენტის გარეშე კავშირი წარმოუდგენელია. უარყოფა კავშირის მომენტია და მხოლოდ ასეთი კავშირი იძლევა ნამდვილ მსჯელობასა და დასკვნას (გვ. 65).

სახელდობრ როგორ? ნამდვილი დასკვნა, ნამდვილი ლოგიკური, როგორც ითქვა, სინამდვილის არსების ამსახველი უნდა იყოს. სინამდვილის არსება წინააღმდეგობათა ერთიანობაა. ლოგიკურსშიაც (დასკვნაში: დასკვნა ლოგიკურის სრული ფორმაა. გვ. 5). ასეთი მდგომარეობა უნდა იყოს: მან ნამდვილად უნდა ასახოს

საგნის, სინამდვილის არსება — წინააღმდეგობის ერთიანობა. ამიტომ ნამდვილი დასკვნა განხორციელდება როგორც საპირისპიროთა ერთიანობა. ეს საპირისპირონი, ცალკე აღებული, ცალმხრიობებს წარმოადგენენ. ისინი მსჯელობებია და მათ მხოლოდ მეორესთან კავშირში აქვთ ნამდვილი აზრი და ჭეშმარიტება. ცალკე მსჯელობები დაბოლოებულს, მოვლენებს გამოთქვამენ მხოლოდ (გვ. 135). დაუბოლოებელს, არსებას მათი, საპირისპირო მსჯელობათა, ცალმხრიობათა ერთიანობა გამოთქვამს. ეს ერთიანობა იქნება დასკვნა, ანუ დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი ს დ ა ს კ ვ ნ ა (გვ. 135). ასე განხორციელებული (საპირისპიროებით განხორციელებული) დასკვნა შეიძლება და უნდა იწოდოს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ დ ა ს კ ვ ნ ა დ (გვ. 162, 168, 176 და ასე შემდეგ).

ძველი ლოგიკა თავისი ცნობილი დასკვნის ფორმებით მხოლოდ მოთხოვნაა ასეთი დასკვნის — მხოლოდ ასეთი დასკვნით შეიძლება მათ აზრი მიეცეთ. ეს დასკვნები და ძველი ლოგიკა მოვლენათა მიმართაა გამოსადეგი, ცალმხრიობაა და აზრი ექნება მხოლოდ დიალექტიკური ლოგიკურის, დიალექტიკური ლოგიკის მომენტად ყოფნაში (გვ. 70, 165, 181 და სხვ.).

ასეთი დაუბოლოებელი, ანუ დიალექტიკური დასკვნების ნიმუშებია მარქსის „პოლიტეკონომიის კრიტიკისათვისში", „კაპიტალში" და სხვა. საერთოდ ყველა დასკვნა, რომლებიც სრულდება ცნება-კატეგორიებით, ასეთი დასკვნაა.

„შესავალში" მ ა რ ქ ს ი წერს: „წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება შეადგენს ნამდვილ სილოგიზმს: წარმოება წარმოადგენს საყოველთაობას, განაწილება და გაცვლა — განსაკუთრებულობას, მოხმარება — ცალკეულობას, რომლითაც ბოლოვდება მთლიანობა"[1]. ნამდვილი დასკვნა სწორედ ამ სამი მომენტის მთლიანობა უნდა იყოს — ზოგადობის, განსაკუთრებულობის, ცალკეულობის. აქ ეს მართლაც განხორციელებულია. ამასთან ისე, რომ ისინი ურთიერთში გადადიან და ურთიერთს აპირობებენ; — საფუძველი მათშივეა მოცემული, დასკვნას თვითსაფუძველი აქვს და არა გარეგანი, შემთხვევითი საფუძველი.

როგორ აპირობებენ ისინი ერთმანეთს? — „წარმოება არის უშუალოდ მოხმარება" (მ ა რ ქ ს ი). წარმოება არის წარმოება (და არა, ვთქვათ, მოხმარება), მაგრამ ის ამავე დროს სწორედ მოხმარებაცაა, თავისი საპირისპიროცაა, საპირისპიროთი განისაზღვრება და პირიქითაც, — „მოხმარებაც აგრეთვე უშუალოდ წარმოე-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 264.

ბაა“ (მ ა რ ქ ს ი), და ასე შემდეგ. ეს მდგომარეობა, საბოლოოდ, ასე გამოიხატება: „1) თუ არის წარმოება, მაშინ არის მოხმარება, 2) თუ არის მოხმარება, მაშინ არის წარმოება, 3) თუ წარმოება არ არის, მაშინ არ არის მოხმარება, 4) თუ მოხმარება არ არის მაშინ არ არის წარმოება, 5) თუ წარმოება არის, მაშინ არ არის მოხმარება, 6) თუ მოხმარება არის, მაშინ არ არის წარმოება, 7) თუ წარმოება არ არის, მაშინ არის მოხმარება და 8) თუ მოხმარება არ არი, მაშინ არის წარმოება. თითოეული ამ პირობითი დებულებათაგანი გარკვეული ცალმხრივი აზრის მქონეა. ამგვარი დამოკიდებულება წარმოების მომენტებს შორის ააწკარავეს წარმოებას, როგორც „გარეგადამწვდომ“ მომენტს, რომელიც ურთიერთგანსაზღვრასა და პირობით დამოკიდებულებას ერთ გარკვეულ აზრს აძლევს; ამიტომ ის დაუბოლოებელის მომენტია დაბოლოებულში. სწორედ აქ არის მოცემული ზოგადობისა და ლოგიკური აუცილებლობის ნამდვილი გაგება. „გარეგადამწვდომი“ დაუბოლობელის მომენტია, როგორც ვამბობდით. აქ რეალური ოვითსაფუძვლის ლოგიკურ თვითსაფუძველში ასახვა გვაქვს“[1].

ასევე იქნება ობიექტურის (ეშმარიტება) და სუბიექტურის, აბსოლუტურისა და შეფარდებითის, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, დაბოლოებულისა და დაუბოლოებლის და სხვა გარკვევისას. აქაც რვა-რვა დებულების ასეთი დამოკიდებულება დაგვაჭერინებს არსებას, დაუბოლოებელს, გამოგვახატინებს ლოგიკურად წინააღმდეგობათა ერთიანობას, და რადგანაც არსების დაჭერა ძველი ლოგიკის მოთხოვნითაც ცნების დადგენას, ზოგადის დადგენას უდრის, ეს (ასეთი დასკვნა) იქნება ნამდვილად ცნების დადგენა. ცნება მსჯელობა-დასკვნის შედეგად მიიღება, ის ლოგიკურის უზოგადესი ფორმაა, „გარეგადამწვდომია“; აქ მიღებული ცნება, ზოგადი იქნება არა მოცულობითი ზოგადი, სადაც ზოგადობა სიმრავლეში საერთოს ნიშნავს, არამედ შინაარსეული ზოგადი (გვ. 23—24, 37, 62 — 63 და ა. შ.). ეს ზოგადი იქნება ერთეულში არსებული ერთიანობა და არა უბრალოდ საერთო მოცულობითი ზოგადი (გვ. 24). და რადგანაც ასეთი ზოგადი — ცნება (ლოგიკურის უზოგადესი ფორმა, „გარეგადამწვდომი“ მომენტი (გვ. 35) ლოგიკურ ფორმებში (დასკვნაში) ხორციელდება საბოლოოდ, ამიტომ ამ დებულებასთან არაა წინააღმდეგობრივი მეორე დებულება იმის შესახებ, რომ დასკვნა

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 357.

არის ლოგიკურის არსებითი ფორმა (გვ. 5). აქ ერთი რაიმეც ნდება გარკვეული: ცნების დადგენა, მოცემა მისი შინაარსის დადგენა-მოცემაა. ეს ცნების განსაზღვრებაა; მაგრამ ეს ამავე დროს არის ცნების გაყოფაც — ცნებაში შემავალი მომენტები, ნიშნები გარკვეულად უნდა იყოს წარმოდგენილი და არა ერთიმეორეში გათქვეფილად და განურჩევლად! ამდენად ცნების დადგენა (დასკვნა) ცნების განსაზღვრებაა, ეს უკანასკნელი კი არსების მიმართ იგივეა, რაც ცნების გაყოფა (გვ. 69).

ამრიგად, აზროვნება სინამდვილის ნაწილია; მისი კანონიც სინამდვილის არსებითი კანონია — წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი. ეს იმას ნიშნავს, რომ, რადგანაც აზროვნება სხვა არაფერია გარდა სინამდვილის ასახვისა („ცნობიერება არის გაცნობიერებული ყოფიერება"[1]), ამიტომ ლოგიკური როგორც ასახვა, უნდა იყოს წინააღმდეგობის ერთიანობის ასახვა; მასში უნდა აისახოს სინამდვილის განვითარება, რაც სინამდვილის თვითგანვითარებას წარმოადგენს. ასეთი თვითსაფუძვლის მქონე ლოგიკური, ანუ დასკვნა არის დიალექტიკური, ანუ დაუბოლოებლის დასკვნა; ყოველი დასკვნის პრინციპი ზოგადად ასე გამოითქმის: თუ არის A, მაშინ არის B; ე. ი. თუ არის საფუძველი, მაშინ არის შედეგი. დებულება, „თუ არის A, მაშინ არის B", განსხვავებულთა აუცილებელ კავშირს გამოთქვამს (გვ. 337). დაპირისპირებული მსჯელობებით შესრულებული დასკვნა იქნება ნამდვილი ლოგიკურის შესაბამისი დასკვნა, არსების, ზოგადობის ნამდვილად გამომთქმელი. ამიტომ მთელი გამოკვლევის დასკვნა ასე გამოითქმის: „ცნების არსება, როგორც საერთოდ ლოგიკურის არსება, რომელიც დაუბოლოებელს, „გარეგადამწვდომ" მომენტს გამოსახავს, დაპირისპირებულ მსჯელობათა ურთიერთობის, დიალექტიკური დასკვნის არსებას წარმოადგენს" (გვ. 358).

ასე გაგებული ლოგიკური, არსების ამსახველი ლოგიკური, იქნება ერთადერთი ნამდვილი ლოგიკური, ხოლო ძველი ლოგიკის ფორმალური ლოგიკური — ცალმხრიობის, მოვლენის ამსახველი ლოგიკური — მისი მხარე (გვ.353). ეს ორი ლოგიკური ისტორიულად განირჩევა ერთიმეორისაგან — ერთი წინასაფეხურია ლოგიკურის, მეორე — შემდგომი, სრული და ნამდვილი, რომელიც ნებას გვაძლევს წავიდეთ უფრო შორს, ვიდრე პირველი — ფორმალურ-ლოგიკური (გვ. 324). ამდენად არსებობს ერთი ლოგიკა, რომე-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგია, თბილისი, 1948, გვ. 34.

ლიც დიალექტიკურია და იმ საკითხებსაც წყვეტს, რასაც ძველად ფორმალური ლოგიკა არკვევდა (გვ. 323).

§ 14. მართებულია თუ არა მარქსის დებულების — „კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა... ნამდვილ ისტორიულ პროცესს შეესაბამება“ („შესავალი“) ზემოთ გადმოცემული გაგება? გამომდინარეობენ თუ არა ასეთი დასკვნები მარქსის ამ (და ასევე სხვა) დებულებიდან? გადმოცემული თვალსაზრისის ამ მიზნით გარჩევა-შეფასების დროსაც მითითებული იქნება ამ თვალსაზრისის ზოგიერთი მომენტი, ასე რომ, ვფიქრობთ, სრული სურათი შეიქმნება მის შესახებ, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მართებულად შეეფასოთ ის.

დაკვირვებულსა და საქმეში ჩახედულ მკითხველს არ გაუძნელდება გაითვალისწინოს აღნიშნული თვალსაზრისის როგორც ძლიერი მხარეები, დადებითი მომენტები, ასევე სუსტი მხარეები. ავტორი, დოც. ს. წერეთელი, რომელიც ღრმად იცნობს ლოგიკურ პრობლემატიკასა და საკითხების დასმისა, თუ გადაწყვეტის ცდების მთელს ისტორიას, ითვალისწინებს და მთელი სიმძაფრით სვამს ჯერაც გადაუჭრელ და რთულ პრობლემებს; ითვალისწინებს და ააშკარავებს ტრადიციული ლოგიკის უამრავ სიძნელეს, შეუსაბამობას. ამასთან როგორც ტრადიციული ლოგიკის კრიტიკას, ისე დასმული პრობლემების გადაჭრის ცდას ავტორი ახდენს მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპებიდან. მიუხედავად ამისა, ეს თვალსაზრისი შეიცავს, ჩვენი აზრით, სუსტ მომენტებსა და მხარეებსაც. დადებითის გათვალისწინებასთან ერთად ამ მომენტების გამოვლენა ხელს შეგვიწყობს დასმულ პრობლემებზე პოზიტიური აზრის შემუშავებაში. აქ კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ მკითხველს, რომ ერთი შეხედვით გადაჭარბებული ყურადღება ამ თვალსაზრისისადმი კანონიერი, გამართლებული და მიზანშეწონილია იმის გამო, რომ აქ საქმე ეხება არა რომელიმე ერთეულ ავტორს, არამედ მთელს მიმართულებას, რომელიც ე. წ. დიალექტიკური ლოგიკის მომხრეთა სახითა და სახელითაა ცნობილი ჩვენს ლოგიკურ ლიტერატურაში და რომელიც ყველაზე ვრცლად და პოზიტიური სახით სწორედ ს. წერეთლის შრომებითაა წარმოდგენილი.

ამიტომ და ამ მიზნით აღნიშნული თვალსაზრისის გარჩევა-შეფასებაში შემდეგ ძირითად პუნქტებს მივაქცევთ ყურადღებას:

1. არსების ამსახველი ლოგიკური, მისი შესაბამისი ფორმა

დასკვნისა — დიალექტიკური, ანუ დაუბოლოებლის დასკვნა ცნება-კატეგორიებით შეიძლება წესრულდეს. რა ვუყოთ ისეთ დასკვნებს, სადაც ასეთი კატეგორიებით არ ხდება ოპერაცია. უკეთ, არა ასეთი ცნებებით შესრულებული დასკვნები როგორი დასკვნებია? კარგი, ვთქვათ, სუბიექტი მოითხოვს ობიექტს და მასში გადადის, აბსოლუტური — რელატიურს, დაბოლოებული — დაუბოლოებელს, ჭეშმარიტი — მცდარს, წარმოება — მოხმარებას და ასე შემდეგ. ვთქვათ, ასეთ შემთხვევებში შეიძლება ორი საპირისპიროს აუცილებელმა კავშირმა შექმნას ერთი, არსების გამომთქმელი დასკვნა. მაგრამ ასეთი ხომ არაა ყველა ცნება? პროფესორი, პოეტი, მუშა, გლეხი, ინტელიგენცია, საბჭოთა კავშირი, სახელმწიფო, აკადემია, ერი, ფაშიზმი, უოლტ-სტრიტი, ფანქარი, ჟანგბადი, რკინა, წიგნი და უამრავი სხვა. ამ ცნებებით წესრულებული დასკვნა როგორი იქნება? როგორ დასკვნებს გვაძლევენ ასეთი ცნებები? — ზერელეს? ანალიტურს? ისინი ხომ უდიდეს ნაწილს შეადგენენ მეცნიერებაში?!

ვთქვათ, როცა უკვე გვაქვს არსების გამომთქმელი ცნებები— კატეგორიები, მაშინ შესრულდა დაუბოლოებლის გამომთქმელი დასკვნა — ლოგიკური. ეს ცნებები როგორ მივიღეთ? არსებამდე როგორ მივედით, როგორი დასკვნების საშუალებით? ზერელე დასკვნების? — რაღა ზერელეა, თუ არსებას აღმოგვაჩენინებს, არსებამდე მიგვიყვანს!

2. ძველი ლოგიკა თავისი დასკვნებით მოვლენას ასახავს, არსებას ვერ გამოთქვამს, ამბობს ავტორი. ის, რაც მოვლენებს ასახავს, ნუთუ ამითვე უკვე არსებასაც არ ასახავს? არსება მოვლენაში არსებობს, უკეთ: ა რ ს ე ბ ა  მ ო ვ ლ ე ნ ი ს  ს ა ხ ი თ  ა რ ს ე ბ ო ბ ს ყოველთვის და ამ მოვლენების შესწავლა მისი შესწავლაცაა. ანუ, უფრო ზუსტად: გარდა მოვლენების შესწავლის გზისა არ არსებობს სხვა გზა არსების შესასწავლად და ის, რაც მოვლენას სწავლობს, არსებას სწავლობს თავის გამოვლენაში, ე. ი. ერთადერთ შესაძლებელ არსებობაში, რადგანაც გამოუვლენელი არსება არც არსებაა და არც საერთოდ არსებული.

3. ავტორს მოჰყავს მარქსიდან მაგალითი ე. წ. დაუბოლოებლის დასკვნისა — წარმოება-მოხმარება და ასე შემდეგ (ასევე სხვა მაგალითებიც). თუ ესენი მართლა დასკვნებია, რაღა საჭიროა მათი აზრის გასაგებად მთელი გვერდების ჩამოწერა-განხილვა. მარქსი მთელი 10—12 გვერდის მანძილზე გვიხსნის დებულებას— წარმოება არის მოხმარება და პირიქით. ასევე სხვა მაგალითების

შემთხვევაშიც (მაგ., ს-ფ-ს). თუ ესენი დასკვნებია, მათში გამოთქმული აზრი ნათელი უნდა იყოს ამდენი ახსნა-განმარტების გარეშე, რომელიც (ეს ახსნა-განმარტება) სრულდება არა ასეთი, არამედ ჩვეულებრივი (ავტორის ტერმინოლოგიით — ზერელე, ტავტოლოგიური, ანალიტური) დასკვნებით. რაღა თვითსაფუძვლის შინა მქონე დასკვნებია, თუ მათი აზრის გასაგებად სხვას (ისიც უვარგისად გამოცხადებულს) მივმართავთ!!.

4. ცნობილია ენგელსის დებულება დასკვნის ფორმათა სიმრავლის შესახებ[2]. ავტორის თვალსაზრისის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ერთადერთი ტიპი დასკვნებისა — კატეგორიებით შესრულებული დასკვნა გადარჩება. ეს ასე იქნება, რადგანაც ყველა სხვა სახის შესახებ ნათქვამია, რომ მათ აკლიათ დასკვნადობა, გაშუალება, საფუძველ-შედეგის აუცილებელი კავშირი, ტავტოლოგიური არიან, ახალს არ იძლევიან. თვითონ ავტორისავე თქმით დასკვნა, რომელსაც სინთეზურობა არ ახასიათებს, მხოლოდ ანა-

---

[1] ცნობილი ადგილი „შესავალში" ასეთია: „წარმოება, განაწილება, გაცვლა, ოხმარება შეადგენს ნამდვილ სილოგიზმს: წარმოება წარმოადგენს საყოველთაობას, განაწილება და გაცვლა—განსაკუთრებულობას, მოხმარება ცალკეულობას, რომლითაც ბოლოვდება მთლიანობა" (გვ. 264) დოც. ს. წერეთელს ეს მოჰყავს დაუბოლოებელი დასკვნის ნიმუშად. ხოლო, პროფ. შ. ნუცუბიძე აქ ხედავს „ნამდვილი სილოგიზმის თეორიის დამუშავებას" [Ш. Нуцубидзе, Диалектическая и формальная логика, 1951. გვ. 18, 25]. ავტორი წერს: «...Разработка Марксом учения о «Настоящем силлогизме» имела то значение, чтобы этим сделать возможным исправление, восполнение ненастоящего силлогизма. А чем грешил ненастоящий силлогизм? Он грешил тем, что состояло грех формальной логики вообще, т. е. «поверхностностью». Тем не менее и это поверхностная связь все же связь, или, как говорит К. Маркс—«своего рода связь». Вот это «своего рода связь» и есть то, что отличается от «настоящего силлогизма» перенесением его связей на язык формальной логики». იქვე. გვ. 26. ორივე ავტორის აზრი, ამ ნაწილში, არსებითად ერთნაირია—ძველ დასკვნებს ზერელეობა ახასიათებთ, მარქსმა მოგვცა. ს. წერეთლის მიხედვით—ნიმუში, პროფ. შ. ნუცუბიძის მიხედვით—თეორიაც ნამდვილი დასკვნისა (ნამდვილი სილოგიზმისა). მარქსის ზემოთ მოყვანილი დებულების უშუალოდ გაგრძელება ასეთია: „რასაკვირველია, ეს [ერთგვარი] კავშირია, მაგრამ—ზერელე კავშირი". მაშასადამე, მარქსი „ზერელეს" გამოთქვამს იმავე სილოგიზმის მიმართ, რომელზეც ამბობს—„ნამდვილია". როგორც ვხედავთ, მარქსის ეს ადგილი არ იძლევა არავითარ საფუძველს ზერელე ვუწოდოთ ძველ დასკვნებს, სილოგიზმებს. მით უფრო, არ იძლევა საფუძველს რაღაც ახალი, თავისებური დასკვნის ტიპებზე („ნამდვილი დასკვნები") ლაპარაკისა.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა.

ლიტურია — არაა დასკვნა. მაშასადამე, ვერც ერთს ამ „დასკვნებიდან“ დასკვნად ვერ ჩავთვლით[1]. იქნებ ავტორმა თქვას: ისინი კი არიან დასკვნები, მაგრამ ნაკლოვანნი არიან (და ამიტომ მოითხოვენ უნაკლოს — დაუბოლოებლის დასკვნა). ეს არ იქნება მართებული: ის, რასაც არსება აკლია, არა თუ ნაკლოვანია, არამედ არც არსებობს (ამ შემთხვევაში დასკვნებს აკლიათ დასკვნისათვის არსებითი — სინთეზურობა, გამომდინარეობის აუცილებლობა). ადამიანი, რომელსაც ადამიანობის ნიშანი აკლია ნაკლოვანი ადამიანი კი არაა, არამედ არ არსებობს.

5. ავტორის მიერ რეკომენდირებული დასკვნა, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებისა, ჩვეულებრივი დასკვნებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ის არის დიალექტიკური დასკვნა. თუ ეს ნიშანი მარტო მას ახასიათებს, სხვა დასკვნები ამისი საწინააღმდეგო ნიშნით უნდა ხასიათდებოდეს, ე. ი. უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი არიან მეტაფიზიკური დასკვნები. ეს კი გვაიძულებს ვთქვათ, რომ სინამდვილეში ყოფილა ფაქტები, მოვლენები, რომლებიც მეტაფიზიკური, არადიალექტიკურია. მაშინ როგორღა იქნება დიალექტიკა მთელი სინამდვილის კანონზომიერება? იქნებ ავტორი იმას იტყვის, უკეთ იქნებ ავტორს იმისი თქმა სურს, რომ დიალექტიკურია საერთოდ ყველა დასკვნა (ისევე, როგორც მთელი სინამდვილე), მეტაფიზიკურობა და დიალექტიკურობა მათს გაგებას ახასიათებს. ამ შემთხვევაში სრულიად სხვა მდგომარეობას მივიღებთ, მაგრამ ამას ავტორი, სამწუხაროდ, არსად არ ამბობს. ის ყველგან იმას იმეორებს, რომ ძველი დასკვნებისაგან განსხვავებით ახალი, დიალექტიკურ-ლოგიკურის შესაბამისი დასკვნა ასეთი და ასეთი ნიშნებით ხასიათდება (ზევით ჩამოთვლილი), ის სრულდება, არსებითად, შინაგანი უარყოფით, დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს და ამიტომ დიალექტიკურია (იხ. გვ. 135, 162, 168, 176, 182, 203, 261, 278, 287, 297, 300, 357; ასევე სხვა შრომებშიაც). ამრიგად, დიალექტიკურობა მხოლოდ ამ დასკვნის ნიშანია და სხვები (თუ კი ისინი არსებობენ! — იხ. წინა შენიშვნა) არადიალექტიკურად უნდა ჩაითვალოს. ეს კი მითითებულ სიძნელესა და შეუსაბამობას ქმნის.

---

[1] რაც შეეხება ინდუქციას, მას თუმც ახასიათებს (თითქოს ახასიათებს!) სინთეზურობა, მაგრამ დასკვნად ვერ ჩაითვლება მეორე აუცილებელი პირობის — გამომდინარეობის აუცილებლობის უქონლობის გამო.

ნამდვილად კი უნდა გაირჩეს დასკვნის მეტაფიზიკური ან დიალექტიკური გაგების შესაძლებლობა (არა მარტო შესაძლებლობა, ეს ფაქტია, ნამდვილად არსებობს) და თვით მისი, ამ ფორმის მეტაფიზიკურობა თუ დიალექტიკურობა.

6. დასკვნის ფორმების ასე გაყოფამ შესაძლოა აზროვნების ფორმების კლასობრიობის აღიარების წინაშე დააყენოს ავტორი. მართალია, ის არსად არ ამბობს ამას, მაგრამ დაფარვა საქმეს როდი გამოასწორებს. თუ დიალექტიკური მეთოდით აზროვნება ამავე დროს დიალექტიკური ფორმებით აზროვნებას ნიშნავს, მაშასადამე, სხვადასხვა მეთოდით მოაზროვნეებს სხვადასხვა ფორმები უნდა ჰქონდეთ დასკვნებისა და სხვ. აზროვნების ფორმების კლასობრიობის აღიარება შეცდომად უნდა ჩაითვალოს. კლასებს ან, თუნდაც, ეპოქებს აზროვნების განსხვავებული ფორმები რომ ჰქონდეთ, ურთიერთს ვერაფერს გაუგებდნენ და ერთიანი, საკაცობრიო აზროვნების ნაცვლად კლასობრივ ან ნაციონალურ, საუკეთესო შემთხვევაში, ეპოქალურ აზროვნებებს მივიღებდით.

7. სინამდვილის განვითარება თვითგანვითარებაა. აზრმა ეს უნდა ასახოს. სინამდვილეს თავისში აქვს თავისი განვითარების საფუძველი. აზრიც, თუ ის გარეგან საფუძველს დაემყარება, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდება — უსასრულობაში რეგრესი გარდუვალი გახდება. ამიტომ აუცილებელია აზრსაც თვითსაფუძველი, შინაგანი საფუძველი ჰქონდეს. ლოგიკური ასეთი საფუძვლის, ასეთი შინაგანი კავშირის გამომთქმელი უნდა იყოს. ასეთი ლოგიკურის ფორმა, როგორც ზევით მრავალჯერ მიეთითა, ავტორის აზრით არის დასკვნა, სადაც არა მარტო შედეგი (დანასკვი) იქნება გამომდინარე საფუძვლიდან, არამედ საფუძველიც ამ შედეგის საფუძველი, მისგან გამომდინარე საფუძველი (ე. ი. მისთვის არსებითი, აუცილებელი და არა შემთხვევითი საფუძველი; შემთხვევითი მაშინ იქნება, თუ მის მაგივრად სხვასაც შეუძლია საფუძვლის როლი ითამაშოს) იქნება, ე. ი. ა რ ი ქ ნ ე ბ ა ს ხ ვ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს მ ო მ თ ხ ო ვ ნ ი და ამით თავიდან აიცილებს უკან უსასრულოდ სვლის საშიშროებასა და სიყალბეს. რას მივიღებთ? ყოველი ნამდვილი აზრი (ცნება-დასკვნა) სხვა აზრს ვერ მოითხოვს, სხვასთან კავშირს ვერ დაელოდება, რადგანაც ამ შემთხვევაში, ამ სხვასაც ექნებოდა უფლება თავის სხვას დალოდებოდა და ასე შემდეგ. ამიტომ ყოველი ცნება (დასკვნა) თავის თავში უნდა ჩაიკეტოს, რამენაირად უნდა იკმაროს ის, რაც თვითონ გააჩნია, ის უნდა გაანაწილოს, რამენაირად, საფუძველადაც,

შედეგადაც და არავითარ შემთხვევაში სხვა აზრთან არ დაკავშირდეს! ამრიგად, ნაცვლად იმისა, რომ აზრის აუცილებელი კავშირი (ლოგიკურობა) მოგვეცა და აგვეხსნა, სწორედ მისი უარყოფა მივიღეთ — ყოველი აზრი აბსოლუტურად უნდა მოწყდეს სხვა აზრს (თორემ ეს სხვაც სხვას მოითხოვდეს იქნება და!..). მივიღეთ სწორედ იმისი საპირისპირო, რისი დასაბუთებაც გვწადდა—ლოგიკურობის ნაცვლად სრული ულოგიკობა, ყოველი აზრის თავის თავში გაყინვა მივიღეთ. ასეა, როცა რაიმე მდგომარეობა უკიდურესობამდეა მიყვანილი (ამ შემთხვევაში ლოგიკურობა), ის თავის საპირისპიროსა და უარმყოფელში გადადის...

8. ყოველი მსჯელობა დასკვნის მიმართ ცალმხრიობაა; დასკვნაა ნამდვილი ლოგიკური და ამიტომ ჭეშმარიტება ხორციელდება საპირისპირო დებულებების (მსჯელობების) ერთიანობით. ასეთია ავტორის აზრი. ეს ერთიანობა საპირისპირო დებულებებისა (ვთქვათ: წარმოება არის მოხმარება; წარმოება არ არის მოხმარება) გარკვეული ერთი მდგომარეობაა, ერთი დებულება—თუ მხედველობაში გვექნება აზრი და არა წინადადება (წარმოება არის და არც არის მოხმარება), ამიტომ ისიც ცალმხრიობად უნდა ჩაითვალოს, და თუ ნამდვილი ლოგიკურის განხორციელებას ვცდილობთ, მაშინ ახლავე უნდა ვისწრაფოთ მისი საპირისპიროც გამოვთქვათ. მაგრამ ეს ორი საპირისპირო ისევ ერთ გარკვეულ მდგომარეობას შექმნის და ზემოთ მითითებული ოპერაცია ისევ აუცილებელი გახდება და ა. შ. უსასრულოდ. თუ უსასრულობაში რეგრესის (ე. წ. „ტრიტოს ანტროპოსის“) არგუმენტი გამოდგება დასკვნების მიმართ (ამაზე ქვემოთ), მაშინ ის ამ დასკვნის მიმართაც ძალაში უნდა დარჩეს. ავტორი ამბობს[1], რომ, როცა გადასვლა არსებამდე დავა (მოგვცემს საპირისპიროთა ერთიანობას), განხორციელდება ნამდვილი შემეცნება, ნამდვილი ცნება (ამიტომ განსაზღვრავს ავტორი ცნებას ასე — „არსების ლოგიკური გამოთქმა“ (გვ. 13); „ერთიანის გაორების გაგება“ (გვ. 73) და სხვ.). ამის შემდეგ სვლა აღარ იქნება საჭირო. ეს არაა მართალი. არსების ხაზით სიღრმეში სვლა აღარასოდეს თავდება. ეს უტყუარი ლენინური დებულებაა.

ამრიგად, „ტრიტის ანტროპოსის“ სენით (ავტორის აზრით — მომაკვდინებელი სენით) ეს დასკვნაც აღმოჩნდა ავად (თუკი დასკვნებისათვის საერთოდ არსებობს ასეთი სენი! ამაზე ქვემოთ), ან

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 29, 31, 321.

უნდა ვცადოთ და შევაჩეროთ უკან სვლა. რა საბუთითაც უნდა ვეცადოთ ამის გამართლება, ეს არსებითად იგივე იქნება, რაც არისტოტელემ გააკეთა — აქსიომებით შეაჩერა უკან სვლა. ვინც ამ უკანასკნელს აკრიტიკებს, მან, აღნიშნული დებულების წამოყენებისაა, თვითონაც უნდა გაიზიაროს ეს კრიტიკა. თუ არა და უსასრულობაში რეგრესი მისთვისაც გარდუვალი იქნება.

9. თვითსაფუძვლის ქონება არსებითია დასკვნისათვის. ამის ქონების გამოა დიალექტიკური, ანუ დაუბოლოებლის დასკვნა ნამდვილი ისტორიულის ამსახველი ლოგიკური ფორმა. ამიტომაც არის. რომ დასკვნის ზოგადი პრინციპი საფუძველ-შედეგის დამოკიდებულებით გამოითქმის: „არის A, მაშინ არის B" (გვ. 337)[1].

არსებითი აქ ის იქნება, რომ საფუძველი ნამდვილად იყოს საფუძველი, არსებითი, შინაგანი საფუძველი და არა გარეგანი. და შემთხვევითი, როგორც ეს ძველ ლოგიკაში იყო. დიალექტიკა ანსხვავებს შინაგან და გარეგან მიზეზებს. არსებითი, შინაგანი საფუძველი გახდის ლოგიკურს უნაკლოს. ამით პირობით-კატეგორიული სილოგიზმის ოთხივე მოდუსი გამართლდება. როცა არსებით, შინაგან საფუძველ-მიზეზს ვითვალისწინებთ, მაშინ გადასვლა შეიძლება როგორც საფუძვლის არსებობიდან შედეგის არსებობაზე და შედეგის არარსებობიდან საფუძვლის არარსებობაზე, ასევე, შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე და საფუძვლის არარსებობიდან შედეგის არარსებობაზე (გვ. 336—37).

ამჟამად ჩვენთვის ინტერესს მოკლებულია ამ საკითხის ისტორია. ლოგიკის ისტორიაში ბევრს უცდია ლოგიკაში უარყოფილი 2 მოდუსის აღდგენა და მათი სამართლიანობის მტკიცება[2]. ეს ავტორები სხვადასხვა მოსაზრებებს აყენებენ თავიანთი აზრის დასაცავად. დოც. ს. წერეთელი ცდილობს ეს დაასაბუთოს დიალექტიკის იმ მდგომარეობიდან გამოსვლით, რომ შინაგანი და გარეგანი მიზეზები უნდა განსხვავდეს. ყოველ მოვლენას არსებითად ერთი შინაგანი — აუცილებელი მიზეზი აქვს და აქ, არსების მიმართ, ოთხივე მოდუსი ძალაში უნდა იყოს, ე. ი. ისინიც, რომლებიც არასამართლიანად ითვლებოდა ლოგიკაში (ურყოფით-პროგრესული და დადებით-რეგრესული). მოვლენების მიმართ, გარეგა-

---

[1] ლოგიკის ისტორიაში ეს მდგომარეობა აქვთ გამოთქმული, მაგ., კანტს, ზიგვარტს და სხვ.

[2] М. И. Владисавлев, Логика, Обозрение и т. д. СПБ, 1881, გვ. 144—146. ასევე ლოსკიც; საბჭ. ლოგიკოსებიდან, Таванец, Классификации выводов, философские записки, т. I, Москва, 1946.

ნი მიზეზების სიმრავლის გამო, ძველი ლოგიკის მდგომარეობა ძალაში რჩება[1]. მაგრამ მთავარი ხომ არსებაა! ადამიანის სიკვდილს მრავალი გარეგანი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ მას ერთი არსებითი, შინაგანი მიზეზი აქვს — ცოცხალი ორგანიზმი სიკვდილსაც შეიცავს და სხვა (იქვე). ამიტომ შეიძლება ადამიანის სიკვდილის ფაქტიდან (შედეგიდან) დავასკვნათ მიზეზზე (საფუძველზე).

რა გამოდის აქედან?

ექიმი, რომელსაც ეტყვიან, გამოარკვიოს, თუ რითაა ავად ესა თუ ის ადამიანი ან რომელი ავადმყოფობა იყო რომელიმე ადამიანის სიკვდილის მიზეზი, თუ ზემოთ მოცემულ მდგომარეობას მოიშველიებს საკვლევად ადვილად გადაწყვეტს საკითხს, გადავა რა შედეგიდან საფუძველზე. გარეგანი მიზეზები შეიძლება სხვადასხვა დავასახელოთ, რომელთაც შეეძლოთ გამოეწვიათ ავადმყოფობა ან სიკვდილი, მაგრამ ეს წვრილმანია, არაარსებითია[2]. არსებითი კი ისაა, რომ ეს გამოწვეულია შინაგანი აუცილებლობით— ორგნიზმი ატარებს საკუთარ უარყოფას, სიკვდილსაც... ასეთი ექიმის რეპუტაცია საეჭვო იქნებოდა.

ან იურისტი, რომელსაც ევალება გამოარკვიოს, რამ გამოიწვია სიკვდილი მოქალაქისა, რომელიც ქუჩაში იპოვეს, არ მიიღებს მხედველობაში გარეგანს, არსებითით დაინტერესდება და იტყვის: შინაგანმა აუცილებლობამ მოკლა ეს ადამიანი, ხოლო ის, დაესხნენ მას თავს და მოკლეს თუ სხვა, არაა არსებითი და საინტერესო. ხოლო თუ იურისტი ჩვეულებრივ დაიწყებს მიზეზის გამოკვლევას, მისი აზრთა წყობა ამ შემთხვევაშიც ინდუქციას ვერ აცდება, და ამიტომ არასაიმედოდ უნდა მივიჩნიოთ...

ყალბი მდგომარეობა აქ ცხადად ჩანს. შემთხვევითობა არაა „წმინდა" შემთხვევითობა, ის აუცილებლობის გამოვლენაა, არსება ყოველთვის გარკვეული მოვლენების სახით ვლინდება. წმინდა სახით აუცილებლობა, წმინდა სახით არსება დაუჭერელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წმინდა სახით ისინი არ არსებობენ. — აკი ითქვა — ისინი გამოვლინდებიან. შემთხვევითი ესა თუ ის მოვლენა მისი არსების მიმართ იმიტომაა, რომ ეს არსება

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 336; იხ. აგრეთვე საშუალო ცნების ბუნებისათვის.

[2] ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში აზრთა მიმდინარეობა ინდუქციის ფორმით ხდება. ინდუქციის შესახებ ავტორის მოსაზრება ზევით იყო გადმოცემული— ინდუქცია ცალმხრიობაა და არა ნამდვილი ფორმა დასკვნისა; მას აკლია გამომდინარეობის აუცილებლობა.

შეიძლებოდა სხვა სახით გამოვლინებულიყო; სხვა შესაძ-ლებლობის არსებობაშია შემთხვევითობა. მაგრამ ეს შემთხვევა არაა აბსოლუტურად შემთხვევითობა, აუ-ცილებლის შემთხვევითობაა, რადგანაც არსებას ამ სახითაც შეეძლო გამოვლენილიყო, ამიტომ ის სწორედ მისი შემ-თხვევითობაა, აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა. ადა-მიანის სიკვდილი მისი შინაგანი მდგომარეობაა, მის არსებაშია მოცემული. მაგრამ ეს შინაგანი მდგომარეობა, არსება, ყოველთვის გარეგანი მდგომარეობით ვლინდება, ხორციელდება და მისი გაგე-ბაც ყოველ მოცემულ შემთხვევაში იქნება სწორედ იმ „შემთხვე-ვითის" გაგება, რომელშიც გამოვლინდა ეს შინაგანი, არსება.

შემდეგ: უნდა ვეძიოთ შინაგანი, არსებითი და არა გარეგანი და შემთხვევითი, ამბობს ავტორი. ამიტომ რომელიმე ადა-მიანის სიკვდილის ახსნა იქნება — ის თავისში ატარებდა სიკვდი-ლის შესაძლებლობას? ეს ხომ პასუხი იქნებოდა საერთოდ ადა-მიანის სიკვდილის შესახებ და არა რომელიმე კონკრეტული ადა-მიანის სიკვდილის შესახებ. ჩვენ სწორედ ამ, კონკრეტული ადა-მიანის, ივანეს სიკვდილის მიზეზი გვაინტერესებდა და ის, რა თქმა უნდა, არ ჩანს იმ ზოგად მდგომარეობაში, აზრში, ადამინის სიკვ-დილის შესახებ საერთოდ. როცა ზოგადი მდგომარეობიდან (სხვა აზრების მოუშველებლად) რაიმეს გამოყვანას ვცდილობთ, რო-ცა ზოგადიდან კერძო შემთხვევების გამოყვანას ვცდილობთ, მხო-ლოდ ბანალური ჰეშმარიტებებით უნდა დავკმაყოფილდეთ (იხ. ზევით მოყვანილი მაგალითები მარქსიდან — წარმოების, მინერა-ლის და სხვათა შესახებ) — „ამ ადამიანის სიკვდილის მიზეზი ის არის, რომ... ყოველი ადამიანი კვდება (თავისში ატარებს სიკვ-დილს)"... ასეთ შემთხვევაში მართლაც გამართლდება უარყოფილი ორივე მოდუსი, მაგრამ საერთოდ არც ერთ დასკვნას არ ექნება გამართლება და ფასი!

10. თუ ლოგიკურს გავიგებთ ასე — საფუძველ-შედეგის აუ-ცილებელი კავშირი, სადაც საპირისპირონი ერთიმეორეს განაპი-რობებენ ისე, რომ არ საჭიროებენ საფუძვლად სხვას — მაშინ, ამბობს ავტორი, გადაწყდება როგორც ინდუქციისა და დედუქცი-ის, ისე ისეთი არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები, როგო-რიცაა ცნების განსაზღვრების (ცნება ხომ ლოგიკურის უზოგადეს-ი ფორმაა, ავტორის თქმით), ცნების გაყოფის და სხვ.

როგორ ხდება ეს? ინდუქციისა და დედუქციის ცალ-ცალკე დასკვნებად წარმოდგენა ძველი ლოგიკის შეცდომაა, ამბობს ავ-

ტორი (იხ. დასკვნის ბუნებისათვის). — ისინი ცალმხრიობები არიან ერთი ნამდვილი დასკვნისა, ერთიმეორის ნაკლს ატარებენ, მიუთითებენ და აუცილებლობით მომთხოვნნი არიან ნამდვილი, უნაკლო დასკვნისა[1]. ეს ნამდვილი დასკვნა მათი ერთიანობაა. ეს დიალექტიკური დასკვნა ლოგიკურის სრული გამოხატულებაა და ამიტომ განხორციელებაა ლოგიკურის ზოგადი ფორმის — ცნების. თავისთავად ცნების (ლოგიკურის — დასკვნის) სახეზე ყოფნა ნიშნავს მისი შინაარსის (ნიშნების) აუცილებელ შინაგან კავშირში გათვალისწინებას, ე. ი. ცნების განსაზღვრებას. ცნების განსაზღვრება კი არსების მიმართ უდრის ცნების გაყოფას[2].

ამრიგად, ნაცვლად მათი გადაწყვეტისა, ყველა ამ საკითხის ერთზე — ლოგიკურობაზე დაყვანა მივიღეთ. ლოგიკურობა, გაგებული საფუძველ-შედეგის აუცილებელ კავშირად თუ რა შედეგებს იძლევა, ზევით ვნახეთ.

11. ზევით საკმაოდ ვილაპარაკეთ საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების ავტორისეულ გაგებაზე და მისი ნაკლოვანებანი ვნახეთ. რით არის საფუძველ-შედეგის გაგებაში ეს ნაკლოვანებანი გამოწვეული? ამის ახსნის მიზნით აქ ერთი შენიშვნაც უნდა გავაკეთოთ.

საფუძველ-შედეგის დიალექტიკა, მართლაც, მათს ცალ-ცალკე აღებას შეუძლებელს ხდის. საფუძველი შედეგის გარეშე, ცალკე აღებული, არაა საფუძველი და, პირიქით, შედეგი საფუძვლის შედეგია და ამით აქვს აზრი როგორც შედეგს. მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა ორივეს აზრს დაუკარგავს. მაგრამ აქედან შეიძლება ისეთი დასკვნა, როგორსაც ავტორი აკეთებს?—საფუძველი შედეგია თვით თავისი შედეგისა და პირიქით, შედეგი მარტო შედეგი კი არა, საფუძველიცაა თავისი საფუძვლის[3]. ვფიქრობთ, რომ ეს არ უნდა იყოს მართებული. საქმის ასე წარმოდგენა სწორედ არადიალექტიკურ მდგომარეობას მოგვცემდა. — საპირისპირონი განურჩევლნი იქნებოდნენ ერთიმეორის მიმართ და განსხვავებულთა (საპირისპიროთა) ერთიანობის პრინციპიც დაირღვეოდა. საფუ-

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასაბუთების ბუნებისათვის არისტოტელეს სილოგისტიკაში, ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთობა კ. მარქსის მოძღვრებაში.

[2] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 69.

[3] „გარკვეული აზრით მოვლენა საფუძველია არსებისა და არსებაც მოვლენისა". ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 108.

ძველ-შედეგის წინააღმდეგობა—დიალექტიკა სწორედ იმაშია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთიმეორის გარეშე აზრი არა აქვთ, ერთიმეორის გარეშე წარმოდგენა ორივეს აზრს დაუკარგავდა, ისინი მაინც რჩებიან როგორც ერთი სწორედ საფუძველი (და არა შედეგი!), მეორე — როგორც შედეგი (და არა საფუძველი!). წინააღმდეგობას სწორედ ეს ქმნის მათში — მიუხედავად იმისა, რომ შედეგის გარეშე საფუძველი არაა საფუძველი, შედეგის მასთან ერთად არსებობა მას ტოვებს სწორედ როგორც საფუძველს და არ აქცევს შედეგად. ასე რომ არ იყოს, ე. ი. თუ ორივე საფუძველი შეიქმნა, ორივე შედეგი, განურჩევლობის მეტი არაფერი შეგვრჩება.

12. ზევით მოცემული შენიშვნა კატეგორიათა განმარტების საკითხს წამოჭრის. ეს საკითხი, მით უფრო, რომ ის არსებითი ხასიათისაა ავტორისათვის, აქ უნდა გაირჩეს ერთ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დოც. ს. წერეთლის თვალსაზრისში დაუბოლოებლის საკითხს, დაბოლოებულისა და დაუბოლოებლის დამოკიდებულების საკითხს არსებითი ადგილი უჭირავს. — წინააღმდეგობათა ერთიანობაზე დამყარებული დასკვნა დაუბოლოებლის დასკვნად არის გამოცხადებული.

რა არის დაუბოლოებელი? ავტორი სამართლიანად წერს, რომ დაბოლოებული, რომელიც ცალკეა წარმოდგენილი, არაა დაბოლოებული — არაფრითაა განსაზღვრული და ამიტომ თვითაა დაუბოლოებელი. დაუბოლოებელიც, რომელიც ასევე ცალკე წარმოიდგინება, დაუბოლოებელი კი არა, დაბოლოებული იქნება. მათი გაგება მათს ერთიანობაში შეიძლება მხოლოდ. დაუბოლოებელი ისაა, რაც დაბოლოებული საგნების არსებაა და სხვ. ავტორი დაბოლოებულსა და დაუბოლოებელს ასე განსაზღვრავს: „დაბოლოებული არის ის, რაც შინაგანი უარყოფით თავის თავს გარეთ გადის, ანუ რაც შინაგანი უარყოფით უარიყოფა“ (გვ. 116). „დაუბოლოებელი არის, რაც შინაგანი უარყოფით მტკიცდება. ის, რის უარყოფაც მასვე ამტკიცებს“ (გვ. 118). და ბოლოს ავტორი ასკვნის: „ნამდვილი დაუბოლოებელი არის დაბოლოებულისა და არადაბოლოებულის ერთიანობა“ (გვ. 170). რატომ გახდა დაბოლოებულისა და და-

უბოლოებლის დამოკიდებულების ასეთი უხერხული განსაზღვრეშა აუცილებელი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შემდეგის გამო მოხდა.

დაბოლოებულისა და დაუბოლოებლის განხილვამ ისეთ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, სადაც საჭირო იყო შექმნილი მდგომარეობის შესაფასებლად ახალი კატეგორიისათვის მიგვემართა. სწორედ ეს მოგვცემდა კატეგორიათა რიგს (რის განხორციელება-დასაბუთებასაც ავტორი ცდილობს). ავტორმა კი ამის ნაცვლად სცადა შექმნილი მდგომარეობა დაბოლოებულისა და დაუბოლოებლის დამოკიდებულების შესახებ ისევ მათი საშუალებით დაეხასიათებინა, შეეფასებინა. დააგვიანა შემოტანა კატეგორიისა, რომელსაც შექმნილი მდგომარეობის გარკვევით თავისი ადგილი უნდა დაეჭირა და ამით თავისი თავიც დაესაბუთებინა (ვფიქრობთ, ეს კატეგორია იქნებოდა არსება-მოვლენის კატეგორია. იქნებ სხვა, ამას არა აქვს ამჟამად პრინციპული მნიშვნელობა). კატეგორიები შემეცნების გარკვეული საკვანძო პუნქტებია (ლ ე ნ ი ნ ი). მათი სიმრავლე იმითაა გამოწვეული, რომ ცალკეული კატეგორია მთელს შემეცნებას ვერ ჩაიტევს, ვერ დააჯამებს თავისში. როცა კატეგორიები თავის დროზე იხმარება და თავის ადგილს იჭერს, ნამდვილი შემეცნება სწორედ მაშინ ხორციელდება. როცა რაიმე კატეგორია გარკვეულ სამსახურს გვიწევს, გარკვეულად ასახავს სინამდვილის რომელიმე გარკვეულ მხარეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას შეუძლია სხვა მხარეებიც ასევე ასახოს. სწორედ ეს ქმნის კატეგორიათა **რიგის** აუცილებლობას.

ამრიგად, ჩვენი აზრით, დაუბოლოებლის კატეგორიის მას შემდეგაც გამოყენებამ, როცა მას თავისი შესაძლებლობა ამოწურული ჰქონდა და სხვა უნდა შემოსულიყო, გამოიწვია ის უხერხული მდგომარეობა, რაც ზევით შევნიშნეთ.

ვფიქრობთ, თუ ეს გათვალისწინებული იქნებოდა, მაშინ თავიდან იქნება აცილებული ასეთი უმართებულო გამოთქმები — ბოლოვადი აზროვნება, დაუბოლოებელი აზროვნება, დაბოლოებულის დასკვნა (გვ. 135, 176), დაუბოლოებლის დასკვნა[1], ძველი ლოგიკა ბოლოვადი აზროვნების ლოგიკაა[2] და სხვ.

13. არსებითად ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს ზოგადობის

---

[1] „ის დასკვნა, რომელიც რომელიმე დებულებას გარეგანი წინამძღვრით ასაბუთებს ან უარყოფს, დაბოლოებულის დასკვნა იქნება; ეს დასკვნა არსებით ხაზებში გარკვეული აქვს ძველ ლოგიკას“, ს. წერეთელი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ 152.

[2] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 135.

გაგებაშიც. და ამის გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკითხის გარკვევისათვის — ზოგადის ბუნებისა და მასთან აზროვნების კანონების ურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის. ავტორი, დოც. ს. წერეთელი, ფიქრობს და ეს ზევითაც მივუთითეთ, რომ ზოგადობის ახლებური გაგება არსებითია ლოგიკურის იმ ახლებური გაგებისათვის, რასაც ავტორი იძლევა. ზოგადის გაგება როგორც სიმრავლისათვის საერთოსი, ზოგადის მოცულობითი გაგებაა და ძველი ლოგიკისათვის იყო დამახასიათებელი; ახალი ლოგიკისათვის ზოგადი არის არა მარტო მოცულობითი—სიმრავლისათვის საერთო (ეს ერთი მხარე იქნება ნამდვილი ზოგადის), არამედ შინაარსეული ზოგადი, კონკრეტული ზოგადი, რომელიც მრავალსახეობის მთლიანობას წარმოადგენს. ე. ი. როგორი? — ზოგადი, რომელიც შინაარსით არ ლარიბდება ზევით ასვლისას, არ კარგავს კონკრეტულთა სიმდიდრეს, მათს ნიშნებს შეიცავს როგორც აუცილებელ შინაარსს. „ძველ ლოგიკაში, ამბობს ავტორი, უზოგადესი ცნება უშინაარსოა“ (გვ. 27), რადგანაც იქ აბსტრაქცია ნიშნავს ნიშნის იმისაგან გამოცალკევებულად წარმოდგენას, რის ნიშანსაც ის წარმოადგენს (იქვე). „ზოგადი იქნება არა საერთო სიმრავლეში, არამედ ერთეულში არსებული ის ერთიანობა, რომელიც დაპირისპირებულ ცალმხრიობებს საფუძვლად უდევს და, ამ აზრით, აერთიანებს. უკეთ: ზოგადობა არის წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც ერთეული საგნის არსება“ (გვ. 24).

ზოგადობა რომ წინააღმდეგობის ერთიანობაა, ეს ზოგადის შესახებ სპეციფიკურს არაფერს ამბობს, რადგანაც წინააღმდეგობათა ერთიანობაა ყველაფერი და ყველაფერში (საერთოდ ამაზე ქვემოთ). საქმე იმას შეეხება, რას ასახავს ზოგადი, რა არის მისთვის სპეციფიკური, რითაც ის განსხვავდება სხვა მოვლენებისაგან. „ცნება არის არსების ახსნა-გაგება, კანონის ასახვა“ (გვ. 29, 37). ეს მართალია და ეს ლოგიკას არასოდეს უარუყვია. დასადგენი ისაა, რას ნიშნავს არსების ასახვა, როგორაა ეს შესაძლებელი. ავტორის აზრით ეს ნიშნავს კონკრეტულთა მთელი სიმდიდრის ნიშნების ასახვას ზოგადში, რადგანაც, თუ ასე არ იქნება, მაშინ ზოგადი ნიშანი საგნისა წარმოდგენილი იქნება იმის გარეშე, რის ნიშანსაც ის წარმოადგენს. სახის ნიშნები არ უნდა დაეკარგოს ზოგადს; სახის ნიშნები გულგრილი და შემთხვევითი არ უნდა იყვნენ ზოგადისათვის, თორემ გვარი (ზოგადი) დაშორდება თავის სახეებს, ვერ გაითვალისწინებს მათ და ამიტომ არც ექნება უფლება იწოდებოდეს მათ ზოგადად, მათ გვარად. ასეთია ავტორის აზ-

რი. რა არის სახე მისთვის? — „სახე არის საფეხური განვითარებისა“ (გვ .59). სახის, საფეხურის ნიშნები (შინაარსი) არ უნდა დაეკარგოს შემდგომ საფეხურს — ზოგადს, გვარს, თორემ რა შემდგომი საფეხური და განვითარება იქნება!

ავტორს მოჰყავს მაგალითები მარქსიდან: კაპიტალი უფრო ზოგადია და ის შეიცავს თავისში ფულის — წინა საფეხურის (ე. ი. სახის), წინა კატეგორიის ნიშნებს, შინაარს და ა. შ. სწორედ ასეთი ლოგიკურია წინსვლის, განვითარების ამსახველი ლოგიკური და მისი უზოგადესი ფორმა—ცნება. ასე გაგებული ზოგადი თავის სახეებს შინაარსეულად დაიქვემდებარებს და არა მხოლოდ მოცულობითად, როგორც ეს ძველ ლოგიკაში იყო (გვ. 63). კაპიტალი ფულს შინაარსობრივად იქვემდებარებს, ფული — საქონელს. წარმოება იქვემდებარებს მოხმარებას, განაწილებასა და გაცვლას (იქვე).

1 თავში ნათქვამი გვაქვს, რომ ზოგადში არ შეიძლება მისი სახის ნიშნებიც იგულისხმებოდეს, რომ ზოგადი არ შეიძლება კონკრეტულთა ნიშნების შემცველი იყოს. აქ კი, თითქოს, საწინააღმგედო საბუთდება.

რა ქმნის ამ სიძნელეს?

ვფიქრობთ, რომ ეს სიძნელე, ყოველ შემთხვევაში ძირითადად მაინც, გამოწვეულია თვითონ ზოგადის ცნების უმართებულო ხმარებით, მსგავსად დაუბოლოებლის კატეგორიის ზევით მითითებული გამოყენებისა. ზოგადობა გარკვეული ცნებაა, გარკვეული კატეგორია და ის ვერ ასახავს საერთოდ ცოდნას (შემეცნებას, ლოგიკურს — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), მის ყ ვ ე ლ ა მხარესა და გარკვეულობას.

გვარისა და სახის, ზოგადისა და მისი სახის დამოკიდებულება ხომ ე რ თ ა დ ე რ თ ი დამოკიდებულება არაა ცნებათა შორის. გარდა ამისა, ცნებათა შორის უამრავი სხვა დამოკიდებულებაა, ამიტომ, შეცდომა იქნება ყველა ცნებაზე ეს მდგომარეობა გავავრცელოთ, უკეთ, შეცდომა იქნება ამ ცნებებს (ზოგადი, სახე, გვარი) მოვთხოვოთ ასახონ, ახსნან, დაახასიათონ საერთოდ ცნებიერ ბუნება, ცოდნის ბუნება, ის უამრავი დამოკიდებულება და მიმართება, რომელიც ამ ფაქტს, როგორც სინამდვილის ყოველ ფაქტს, უსათუოდ ახასიათებს. ცოდნის, შემეცნების, ცნების დასახასიათებლად გვაქვს უფრო ღრმა ცნებები, კატეგორიები და ისინი უნდა მოვიხმაროთ, მის შემდეგ, რაც გ ვ ა რ-ს ა ხ ე ო ბ რ ი ვ მ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა მ ცოდნის ე რ თ-ე რ თ ი მ ხ ა რ ე ა გ ვ ი ხ ს ნ ა. ზოგადობა რომ საკმარისი ცნება იყოს ცოდნის ბუ-

ნების ახსნა-გაგებისათვის, მაშინ რად დაგვჭირდებოდა ცნება-კატეგორიები — აბსტრაქტული, კონკრეტული, აბსოლუტური, რელატური და სხვა?

მოკლედ, ავტორი ცნებებს — „ზოგადი", „სახე" იმაზე მეტის მოცემას თხოვს, რაც მათშია მოცემული — ამ ცნებებით უნდა შეაფასოს ცოდნის ყოველი მხარე, ყოველი გარკვეულობა. როგორც ლ ე ნ ი ნ ი აღნიშნავს, როცა რაიმე ცნებას მეტს მოთხოვენ, მისი ნამდვილი აზრიც ყალბდება. ზ ო გ ა დ ო ბ ი ს ც ნ ე ბ ა ვ ე რ ა ს ა ხ ა ვ ს ც ო დ ნ ა ს ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ, და მისი ასეთი გამოყენება ქმნის, ჩვენი აზრით, შემდეგ უხერხულობებს: 1. ავტორი, რაკი ძიელო ზოგადობის ასეთი გაგება, იძულებულია სახე ასე განმარტოს: „სახე არის განვითარების საფეხური"[1]. კი, ცნებამ შეიძლება ასახოს ისეთი მოვლენების არსებითი ნიშნები, რომელთა შორის სინამდვილეში საფეხურებრივი დამოკიდებულებაა (მაგ., საზოგადოებრივი ფორმაციები). მაგრამ ეს ხომ არაა ერთადერთი შესაძლებელი დამოკიდებულება? რა ვუყოთ, მაგალითად, სამკუთხედის სახეებს, ცხოველის, პლანეტის და სხვა სახეებს? ცნებათა უმეტესობა ხომ ასეთია? რომელი იქნება, რომლის საფეხური სამკუთხედებში, პლანეტებში, თუნდაც ცხოველებში, მართკუთხედი ბლაგვკუთხედისა თუ როგორ? ეს უაზრობა იქნება.

იქნებ საქმეს იმან უშველოს, რასაც ავტორი ამბობს: მოცულობითი ზოგადი სხვაა, შინაარსობლივი სხვა და ამ უკანასკნელშია სწორედ სახე საფეხური ზოგადისაო. ესეც არ გამოდგება, რადგანაც, თუ ორივ (მოცულობითი და შინაარსობლივი) ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ზოგადებია (სხვადასხვა სახეებია), მაშინ საკითხი დადგება: რა არის ზოგადი საერთოდ? ე. ი. ზ ო გ ა დ ი ს კ ი დ ე ვ ა ხ ა ლ ი განსაზღვრება დაგვჭირდება. ამასთან გასარკვევი გახდება, როგორი ხასიათისაა ეს ახალი ზოგადი (მოცულობითი და შინაარსობლივი ზოგადის გ ვ ა რ ი), მოცულობითი და შინაარსობლივი ზოგადები როგორ დამოკიდებულებაში იქნებიან მასში — საფეხურებრივი? თუ ამ უკანასკნელს მიიღებს ავტორი, მაშინ ზოგადისა და სახის ისევ ის დამოკიდებულება აღსდგება, სადაც სახე საფეხურია ზოგადისათვის, ეს კი, როგორც ვნახეთ, ფაქტობრივ მდგომარეობას არ შეეფერება (ე. ი. ამისი ზ ო გ ა დ დებულებად გამოთქმა შეცდომაა).

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 59.

2. მეორე უხერხულობა იმაშია, რომ ავტორი მრავალჯერ იმეორებს — ზოგადი, როგორც საერთო სიმრავლეში, ძველი ლოგიკის გაგებაა. კი მაგრამ, მარქსი ხომ ასე განმარტავს ზოგადს სწორედ იმ „შესავალში", რომელზე დაყრდნობითაც ავტორი ცდილობს ზოგადის სხვა გაგება მოგვცეს. რატომ არ უწევს ამას ანგარიშს ავტორი?

3. ბოლოს, უხერხულობას ქმნის ისიც, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ზოგადში ცალკეულთა ნიშნები არ შეიძლება შედიოდეს, ავტორი კი იძულებულია ამტკიცოს: ზოგადში უნდა შედიოდეს ცალკეულთა ნიშნებიო. იძულებულია იმიტომ, რომ მან, ვთქვათ, ზოგადობა საერთოდ ცოდნის სინონიმად, ცოდნის გამოვხატავად მიიღო, ხოლო ცოდნის ზემოსაფეხური მართლაც უნდა შეიცავდეს ქვემოსაფეხურებს.

14. არსებითი ხასიათის შენიშვნებს იწვევს ავტორის შეხედულება აზროვნების კანონების შესახებ.

ეს კანონები, ამბობს ავტორი წინააღმდეგობის შეუძლებლობასა და გამორიცხული მესამის კანონზე, უარყოფითნი არიან, როგორც შინაარსის, ისე გამოთქმის ფორმით — ისინი გამოთქვამენ იმას, თუ რა არაა შესაძლებელი; კანონი კი დადებითი უნდა იყოს, უნდა ამბობდეს რა არის შესაძლებელი. ამიტომ ეს კანონები კანონებად არ ჩაითვლებიან. უარყოფითი არ შეიძლება კანონად გამოვაცხადოთ.

თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, ე. წ. განუზღვრელობის პრინციპი სწორედ იმას გამოთქვამს, თუ რა არის შეუძლებელი: შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს განსაზღვრო სხეულის (ელექტრონის) მდებარეობა და სიჩქარე; რაც უფრო ზუსტად განსაზღვრავს მდებარეობას, მით უფრო ნაკლებ ზუსტად — სიჩქარეს და პირიქით. ეს კანონი, მიუხედავად ამისა, მაინც კანონია და სრულიად გარკვეული დადებითი შინაარსის მქონე. ამიტომ ამ საბუთით აზროვნების კანონების უარყოფა არაა სამართლიანი.

ეს კანონები გარკვეულ მდგომარეობას გამოხატავს, შეუძლებლობა იქნება ის, თუ შესაძლებლობა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ისინი კანონები არ იქნებოდნენ მაშინ, რომ ეს ფაქტიურად არ იყოს ასე.

ზემოთ მითითებული განუზღვრელობის პრინციპი კანონის უფლებას დაკარგავს იმის გამო კი არა, რომ ის შეუძლებლობაზე

ლაპარაკობს, არამედ მხოლოდ იმის გამო თუ აღმოჩნდება, რომ ეს შეუძლებლობა ფაქტი არაა, ე. ი. თუ აღმოჩნდება, რომ ეს კანონი სინამდვილეს არ შეესაბამება. ის, რაც სინამდვილეში არსებულ შეუძლებლობაზე მიუთითებს, ცხადია, არ უარიყოფა როგორც კანონი იმ საბუთით, რომ ის შეუძლებლობაზე ლაპარაკობს.

წინააღმდეგობის შეუძლებლობა არაა კანონი, წერს ავტორი, რადგანაც რაიმეს შეუძლებლობა სწორედ ამ უარსაყოფელს ემყარება. წინააღმდეგობა შეუძლებელია; რას კრძალავს ძველი ლოგიკა, თუ წინააღმდეგობა შეუძლებელია, რა საჭიროა მის წინააღმდეგ კანონით მოქმედება; რაიმე სფეროს უარყოფა თვით ამ სფეროს არსებობას ემყარება და სხვა[1].

წინააღმდეგობის შეუძლებლობის აზრი წინააღმდეგობის საერთოდ არარსებობა, საერთოდ შეუძლებლობა რომ იყოს, მაშინ მართლაც მას, როგორც მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს ა და აკრძალვას აზრი დაეკარგებოდა, თუმცა როგორც კანონი ის ს წ ო რ ე დ რ ო მ ი ა რ ს ე ბ ე ბ დ ა. წინააღმდეგობის შეუძლებლობის აზრი ამაში არაა; წინააღმდეგობა შესაძლებელია (ლაპარაკია აზროვნებაზე), ე. ი. არასწორი აზროვნება შესაძლებელია; სწორი ის აზროვნება არის, სადაც წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს. ასეთია ამ კანონის აზრი — სწორ აზროვნებაში შეუძლებელია წინააღმდეგობა.

15. ასევე უმართებლოა გამორიცხული მესამის კანონის კრიტიკა იმ არგუმენტით, რომ „ან-ან" უკვე ლაპარაკობს, რომ მესამე შეუძლებელია, და, შემდეგ, მესამის გამორიცხვა უაზრობაა. „მესამე გამორიცხულია" სწორედ „ან-ან"-ის ა ზ რ ი ს ა ხ ს ნ ა ა და არა მისგან განსხვავებულის გამოთქმა; ე. ი. „მესამე გამორიცხულია", ეს გამოთქმა არ ემსახურება სხვა მიზანს, გარდა ან-ან-ის აზრის გამოთქმისა. ამიტომაა კანონი — „მესამის გამორიცხვის", ა ნ ი გ ი ვ ე კანონი გამოთქმულია — „ან-ან". ასე რომ მ ა თ ნამდვილად არც ევალებათ ერთიმეორისაგან განსხვავებული აზრი გამოთქვან; — ე ს ე რ თ ი ა ზ რ ი ს ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ო რ მ ი თ გ ა მ ო თ ქ მ ა ა.

16. „აზროვნების კანონები" კანონები არ არიან, წერს ავტორი, „ისინი ნამდვილი კანონის მხოლოდ მოთხოვნას წარმოადგენენ". ირღვევიან თუ არა ისინი ამ ნამდვილი კანონის დადგენით? — მხოლოდ ამ შემთხვევაში ისინი მართლაც არ იქნებიან კანონები.

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 185

მაგრამ ავტორი ამ საკითხს, არსებითად, გვერდს უვლის. ერთი მხრივ, ისეთი აზრი იბადება, რომ ისინი, მიუხედავად ახალი, ნამდვილი კანონის დადგენისა, მაინც არ დაირღვევიან აზროვნების პროცესში, ე. ი. მათი დარღვევა შეცდომას უდრის. მეორე მხრივ, ავტორის ზოგიერთი გამოთქმა ამის საწინააღმდეგოს ამბობს. მაგ., „...სრულიად ბუნებრივად შეიძლება ჰეშმარიტების დიალექტიკური ბუნება ამ კითხვაზე პასუხის გაცემით ისე გავარკვიოთ, რ ო მ თ ა ვ ი ა რ შ ე ვ ი ზ ღ უ დ ო თ გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი მ ე ს ა მ ი ს კ ა ნ ო ნ ი თ“[1]. ამრიგად, ხან გამოდის, რომ დიალექტიკურად აზროვნება ამ კანონებს არაა დაქვემდებარებული, ისინი აქ დარღვეული არიან (და სწორედ ამ შემთხვევაში არ იქნებიან კანონები), ხან კი ისინი მაინც მოქმედებენ, ა რ ი რ ღ ვ ე ვ ი ა ნ, თუმცა კი დაქვემდებარებული ხასიათისანი არიან.

ამრიგად, ავტორი სწორედ გადამწყვეტ პუნქტში გაურკვევლობაში გვტოვებს.

§ 15. ავტორი სავსებით მართალია იმაში, რომ აზროვნების კანონები დაქვემდებარებული კანონები არიან; მართალია, რომ წინააღმდეგობათა ერთიანობა აზროვნების არსებითი კანონია. წინააღმდეგობათა ერთიანობა მთელი სინამდვილის კანონია. ამ აზრით ყოველი სპეციალური კანონი მისდამი დაქვემდებარებული კანონია. ეს ნიშანი, სინამდვილის არსებით კანონისადმი დაქვემდებარებულობა რომელიმე სპეციალურ კანონს, რომელიმე გარკვეული სფეროს კანონს, კანონის უფლებას არ ართმევს. რა არის კანონი? (ლაპარაკია ბუნებრივ კანონებზე და არა კანონმდებლობაზე) — კანონი არის ის, რაც გარკვეულ სფეროში ობიექტურად მოქმედებს, რაც არაა დამოკიდებული ადამიანის ჩარევაზე, რაც არ შეიძლება შევცვალოთ სხვა რამეთი (სხვა კანონით). მარქსისტულ ფილოსოფიაში საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი, რომ მეცნიერების კანონები წარმოადგენენ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასხვას. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი. შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გაუქმონ ისინი.

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჰეშმარიტების დიალექტიკური ბუნების ლენინური გაგებისათვის, ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 1950. გვ. 130.

ეს უნდა იყოს გამოსავალი ყოველი კანონის შეფასებისას; ამ კრიტერიუმით უნდა შეფასდეს ყოველი კანონი. თუ რომელიმე „კანონი“ არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას — არ ასახავს ჩვენგან დამოუკიდებელ რაიმე პროცესს, კანონზომიერებას, ის არ იქნება ნამდვილი კანონი; თუ კანონი ასახავს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელ პროცესს, ის ნამდვილია და მისი უარყოფაც შეუძლებელია.

როგორ მდგომარეობაში არიან ამ მხრივ აზროვნების კანონები? თუ ისინი აკმაყოფილებენ მითითებულ მოთხოვნას, მათ წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით, თუ ვერ აკმაყოფილებენ — მათი დაცვა, როგორც კანონებისა, ყოვლად შეუძლებელი იქნება.

რა მოვლენის კანონზომიერება უნდა ასახოს ამ კანონებმა, რა პროცესის კანონზომიერება?

ეს კანონები უნდა იყოს აზრთა შორის აუცილებელი კავშირის, ანუ ლოგიკურობის ფაქტის, მოვლენის, კანონზომიერების ასახვა...

...«При утверждении чего-либо из него необходимо вытекает нечто отличное от утвержденного и (именно) в силу того, что это есть. Под словами же «в силу того, что это есть», я разумею, что это отличное вытекает благодаря этому, а под словами «вытекает благодаря этому»—что оно не нуждается ни в каком постороннем термине, чтобы следовать с необходимостью»[1]. არისტოტელეს მიერ სილოგიზმის ეს განმარტება შერჩა ლოგიკას, როგორც აზრთა შორის აუცილებელი კავშირის, ანუ გამომდინარეობის, ანუ ლოგიკურობის განსაზღვრება. ლოგიკურობა აზრთა აუცილებელი კავშირია. ამაზე ორაა დავა ლოგიკაში. დავა შეეხება ჯერ ერთი, იმას, რას ნიშნავს გამომდინარეობა, ლოგიკურობა, მეორე, და არსებითი, — რა კანონებს ექვემდებარება ეს პროცესი — აზრთა აუცილებელი კავშირი, ანუ ლოგიკურობა. თვითონ არისტოტელედან მომდინარე კანონები, რომლებიც ვალდებულნი არიან ახსნან ეს პროცესი — ე. წ. აზროვნების ცნობილი კანონები

---

[1] Аристотель, Аналитики, Москва, 1952. стр. 10

[2] სილოგიზმი გამომდინარეობის არსებითი ფორმაა არისტოტელესთან, ამიტომ მისთვის სილოგიზმის განსაზღვრება და ლოგიკურობის განსაზღვრება ერთი და იგივეა.

მრავალჯერ და მრავალმხრივ გამხდარან დავისა და ეჭვის ობიექტი[1]. დიალექტიკის თეორიის ჩამოყალიბებამ ეს მდგომარეობა, ერთი მხრივ, უფრო გაამწვავა. — თუ მთელი სინამდვილის კანონია წინააღმდეგობის ერთიანობა, წინააღმდეგობის აუცილებლობა, აზროვნების კანონი როგორ შეიძლება წინააღმდეგობის შეუძლებლობა იყოს!?

რა თქმა უნდა, აზროვნების კანონიც წინააღმდეგობის ერთიანობაა.

მაგრამ თქმა იმისა, რომ წინააღმდეგობის ერთიანობა მთელი სინამდვილის კანონია, როგორც ენგელსი აღნიშნავს[2], არ არის სინამდვილის რომელიმე სფეროს შესახებ რაიმე სპეციფიკურის თქმა. აზროვნების კანონიც წინააღმდეგობის ერთიანობაა. ეს მართალია, მაგრამ ამით ჯერ სპეციფიკური არაფერია ნათქვამი აზროვნების შესახებ, რადგანაც ეს კანონი სხვა რაიმეს კანონიცაა (მთელი სინამდვილის კანონია!). სინამდვილეში მოვლენათა სიმრავლე იმას ნიშნავს, რომ მათ სპეციფიკური კანონზომიერებაც გააჩნიათ, ე. ი. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სინამდვილის არსებითი კანონი, ზოგადი კანონი — წინააღმდეგობათა ერთიანობა სხვადასხვა სახითაა გამოვლენილი; ყოველივე თავისებურად გამოავლენს წინააღმდეგობას, ამიტომაა ის განსხვავებული სხვისაგან. ყოველი მოვლენის სპეციფიკა ამ გამოვლენის თავისებურებაშია — ესაა მისი კანონზომიერება. ამიტომ აუცილებელია მოვლენათა შორის საერთოსთან ერთად მათი სპეციფიკურის, მხოლოდ მათთვის დამახასიათებლის დადგენა. ესაა მეცნიერების მიზანი.

მაშასადამე, აზროვნების შესახებ, ლოგიკურის შესახებ რომ ვამბობთ, მისი კანონი წინააღმდეგობათა ერთიანობაო, უნდა ვუჩვენოთ ისიც — რა თავისებურებაში, რა სახით გამოვლინდება ის ამ სფეროში. ჩვენს დებულებას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი.

ამრიგად, საკითხი ასეთ სახეს იღებს: რაშია აზროვნების წინააღმდეგობა, როგორ ხორციელდება წინააღმდეგობათა ერთიანობა აზროვნებაში?

---

[1] „აზროვნების კანონების თეორია, წერს ენგელსი, არასგზით არაა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი „სამარადისო ჭეშმარიტება", როგორც ეს ფილისტერის გონებას წარმოუდგენია სიტყვა „ლოგიკას" გაგონებაზე. თვით ფორმალური ლოგიკა, არისტოტელედან დაწყებული დღევანდლამდე, ცხარე კამათების ასპარეზად რჩება". ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, თბილისი, 1950, გვ. 32.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 26.

§ 16. „...აზროვნების სფეროშიც ვერ გავექცევით წინააღმდეგობებს, — ამბობს ენგელსი, — წინააღმდეგობა ადამიანური შემეცნების შინაგანად განუსაზღვრელ უნარსა და მის ნამდვილ განხორციელებას შორის“[1]. ანუ, სხვა სიტყვებით, ეს არის წინააღმდეგობა აზროვნების სუვერენობა-არასუვერენობისა — „აზროვნების სუვერენობა ხორციელდება უაღრესად არასუვერენულად მოაზროვნე ადამიანების მთელს რიგში; შემეცნება, რომელიც ჭეშმარიტებაზე უპირობო პრეტენზიას აცხადებს, ხორციელდება მთელი რიგი შეფარდებითს შეცდომებში; არც პირველს და არც მეორეს სხვაგვარად არ შეუძლია საკითხებით განხორციელდეს, თუ არა მხოლოდ კაცობრიობის არსებობის დაუსრულებელ ხანგრძლივობაში.

ჩვენ აქ კვლავ იგივე წინააღმდეგობა გვაქვს, რომელიც ზემოთ გვქონდა აუცილებლად აბსოლუტურად წარმოდგენილ ადამიანურ აზროვნებასა და მის განხორციელებას შორის, რომელიც მხოლოდ შეზღუდულად მოაზროვნე ადამიანებში ხდება. ესაა წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება მხოლოდ დაუსრულებელ პროგრესში, ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, ადამიანურ თაობათა პრაქტიკულად დაუსრულებელ ურთიერთთანამიმდევრობაში გადაიჭრას. ამ აზრით ადამიანის აზროვნება ისევე სუვერენულია, როგორც არასუვერენული, მისი შემეცნების ნიჭი ისევე შეუზღუდველია, როგორც შეზღუდული. იგი სუვერენული და შეუზღუდველია ნიჭის, მოწოდების, შესაძლებლობის, ისტორიული საბოლოო მიზნის მიხედვით; არასუვერენული და შეზღუდულია განცალკევებული განხორციელებისა და ამა თუ იმ დროს მოცემული სინამდვილის მიხედვით“[2].

ცნების კონკრეტულობის დახასიათებისას ჩვენ სწორედ ამ მდგომარეობას მივადექით, პირველი თავი ამ მდგომარეობის გამომთქმელი ფორმულით დავამთავრეთ:—აზროვნების წინააღმდეგობის, მისი სუვერენობა-არასუვერენობის სხვა მხრიდან გამოთქმაა: ჭეშმარიტება აბსოლუტურია, მაგრამ რელატურია განხორციელებაში, ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტება ხორციელდება რელატური ჭეშმარიტებით.

რას ნიშნავს ეს? დაუსრულებლად მრავალი მხარისა და გარკვეულობის მქონე, დაუსრულებლად განვითარებაში მყოფი (საგანი, სინამდვილე) უნდა გამოთქვა გარკვეული მხარის შემეცნე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 144.
[2] იქვე, გვ 102—103.

ბით (იხ. 1 თავი, ცნების კონკრეტულობის შესახებ). აზროვნებას ყოველთვის გარკვეული რომელიმე მხარე აქვს ხელთ და ამით უნდა გამოხატოს, გამოთქვას მთელი საგანი (საგანზე უნდა ითქვას, რომ ის „არის ეს", მაშინ, როცა „ეს" საგნის მხოლოდ რომელიმე გარკვეულობაა, მხარეა და არა მთელი საგანი), ე. ი. შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ჰ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა უ ნ დ ა გ ა მ ო თ ქ ვ ა ს ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ს პ რ ე ტ ე ნ ზ ი ი თ. ის, რასაც იტყვი საგნის შესახებ, მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ასახავდეს მას, ნაწილობრივ იყოს ჰეშმარიტი (შეიძლება სულაც არ იყოს); მაგრამ მისი თქმით ყველა მისი საწინააღმდეგო მცდარად უნდა მიიჩნიო— ე ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა. თვით იმ შემთხვევაშიც, როცა იტყვი: „რაიმე არის ეს და არცაა ეს", უკვე გარკვეულ აზრს, გარკვეულ მხარეს გამოთქვამ, ხოლო საწინააღმდეგოს მცდარად მიიჩნევ. ა მ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ კ ა ვ შ ი რ ს, დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს (ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელს) გამოთქვამს ლოგიკა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონით: ერთსა და იმავეს, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იგივე მიმართებაში შეუძლებელია კიდეც მიაწერო და არც მიაწერო რამე; — ორი საწინააღმდეგო აზრი შეუძლებელია ორივე ჰეშმარიტი იყოს. თუ ჩვენ გასაგებად გამოვთქვით რისი თქმაც გვსურდა, მაშინ ცხადი უნდა იყოს — ე ს კ ა ნ ო ნ ი ს წ ო რ ე დ ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს და, ამდენად, ეს კანონი არ ეწინააღმდეგება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს, იმ კანონს, რომელიც აზროვნების სუვერენობა-არასუვერენობაში ვლინდება. ამრიგად, როგორადაც პარადოქსალური არ იყოს, წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს შ ე უ ძ ლ ებ ლ ო ბ ი ს ს ა ხ ი თ (ამის ზემოთ მითითებული გაგებით) ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა შ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი.

გავარჩიოთ ეს სხვა მხრიდანაც და უფრო დაწვრილებით: ამბობენ, ძველი ლოგიკა წინააღმდეგობას შ ე უ ძ ლ ე ბ ლ ა დ თვლიდა ერთსა და იმავე მიმართებაში; დიალექტიკის კანონი — წინააღმდეგობის ერთიანობა კი მოითხოვს (და გამოთქვამს) წინააღმდეგობის შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს ერთსა და იმავე მიმართებაში. ეს არ უნდა იყოს მართალი. ეს ჩანს წინააღმდეგობათა ერთიანობის ცნობილი მაგალითებიდან. საქონელი საწინააღმდეგოთა ერთიანობაა — ერთიანობაა სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულებისა (ანუ ღირებულებისა, უბრალოდ). ერთსა და იმავე მიმართებაში? — არა! ე რ თ ი მ ხ რ ი თ (ერთს მიმართება-

ში), რამდენადაც ის არის ნივთი, რომელსაც რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, ის არის სახმარი ღირებულება; მეორე მხრით (მეორე მიმართებაში), რამდენადაც ის შესაძლოა გაცვლილ იქნეს მეორეზე, მათი სახმარი ღირებულების განსხვავებისაგან დამოუკიდებლად, ის არის საცვლელი ღირებულება[1].

ამრიგად, რაიმე ერთიც არის და ახვაცაა არა ერთსა და იმავე მიმართებაში, არამედ სხვადასხვა მიმართებაში. მართლაც, შეუძლებელია რაიმე იყოს და არც იყოს იმავე აზრით, იმავე მიმართებაში. ასეთი რაიმეს არც არსებობა და არც მოაზრება არ შეიძლება.

ეს ნათელი გახდება შემდეგის გათვალისწინებით:

ტოლობა, იგივეობა არის **ორის**, განსხვავებული იგივეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაკი დაუატოლებელი არაფერი გვექნებოდა, ტოლობაზე, იგივეობაზე აზრი უაზრობა იქნებოდა. მაშ, რა უფლებით ვამბობთ ტოლობას, იგივეობას, თუ ისინი სხვადასხვაა, განსხვავებულია! — **იგივეობა ყოველთვის რაღაც მიმართებაშია იგივეობა,** ყოველთვის რაღაც მიმართება უნდა გვქონდეს მხედველობაში, როცა ტოლობაზე ვლაპარაკობთ; ამიტომ ტოლობა, იგივეობა **შეფარდებითია** და არა აბსოლუტური. მაგრამ, თუ ტოლობა, იგივეობა ერთს მიმართებაშია ასეთი, სხვა მიმართებაში? — რა თქმა უნდა, სხვა მიმართებაში განსხვავებული უნდა იყოს, თორემ ამ შემთხვევაშიც იგივეობას აზრი დაეკარგებოდა! ამრიგად, იმისათვის რომ იგივეობა (ერთს მიმართებაში) გვქონდეს, საჭიროა, აუცილებელია განსხვავება გვქონდეს მეორე (სხვა) მიმართებაში. წინააღმდეგობა (არაერთს მიმართებაში!) აუცილებელია და სწორედ ეს — წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონია სინამდვილის არსებითი კანონი. სწორედ ეს (და ამ კანონის ასე გაგება) ხდის აუცილებელს ერთი მოვლენის მეორესთან კავშირს; სწორედ ეს კანონი ხდის გასაგებს მოვლენათა შორის აუცილებელი კავშირის კანონს, თორემ ისე, თავისთავად მოვლენათა შორის კავშირის აღიარება ჯერ არაა დიალექტიკის თვალსაზრისზე დგომა. ის, ვინც არ აღიარებს დიალექტიკის ბირთვს, წინააღმდეგობათა ბრძოლასა და ერთიანობას, არაა დიალექტიკოსი.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, თ. 1, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თ. 1.

თუ ეს ასეა, თუ წინააღმდეგობა სხვადასხვა მიმართებაშია აუცილებელი და არა ერთში, თუ ერთს მიმართებაში მოვლენები იგივეობრივნი უნდა იყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იგივეობრივი მომენტი შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ა, ე. ი. ის, რაც სხვადასხვა მიმართებაშია, შესაძლებელია ს ხ ვ ა მ ხ რ ი ვ მიდგომისას ერთ, გარკვეულ მიმართებად, გარკვეულ იგივეობრივ მომენტად იქცეს, ეს იმასაც ნიშნავს, რომ დაპირისპირებულთა (ე. ი. სხვადასხვა მიმართებაში მყოფთა) ერთ გარკვეულ მთლიანობაში, ერთ გარკვეულ მომენტად გამოთქმა შეიძლება. ეს არა თუ შეიძლება, აუცილებელიცაა: როგორც ზევით ითქვა, რაიმესადმი საწინააღმდეგოთა გამოთქმა მის შესახებ მაინც გარკვეული ერთი მდგომარეობის გამოთქმა იქნება. ერთი, გარკვეული მდგომარეობის გამოთქმით (შეფარდებითი ჭეშმარიტებით) უნდა გამოთქვა ის, რაც წინააღმდეგობრივია, ე. ი. სხვას მოითხოვს აუცილებლობით არსებობისათვის (აბსოლუტური, რომელიც ნამდვილად უნდა გამოთქმულიყო არა შეფარდებითი, არამედ აბსოლუტურით). მაგრამ თუ აუცილებელია შეფარდებითით გამოთქვა აბსოლუტური, ეს ხომ იმასაც ნიშნავს, რომ მისი (ამ შეფარდებითის) საწინააღმდეგო შეუძლებლად ჩათვალო. როგორც ითქვა, ორი საწინააღმდეგოს ერთდროულად ჭეშმარიტების ამ შეუძლებლობას გამოთქვამს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი.

§ 17. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს გამორიცხული მესამის კანონის მიმართაც. ისევ ცოდნის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს კანონიც ცოდნის წინააღმდეგობრივი ბუნებიდან, მისი დიალექტიკიდან გამომდინარეობს. ცნობილია ლ ე ნ ი ნ ს დებულება — თვითონ საგანი (A) არის ის მესამე, რომლის გამორიცხვასაც ცდილობენ[1]. ამბობენ, ლენინის მიერ ამ კანონის ასე დახასიათება ნიშნავს მის უვარგისად, დიალექტიკის საწინააღმდეგოდ გამოცხადებას. მე ვფიქრობ, რომ მდგომარეობა სწორედ საწინააღმდეგოა.

როცა ვამბობთ A არის ან B, ან არა B, მართლაც რომ ნამდვილ A-ს გამოვრიცხავთ, რადგანაც ის, რასაც გამოვთქვამთ მასზე (B; არა B) არც ერთი არაა ნამდვილად A, — ერთიც და მეორეც, რომელიც არ უნდა ავიღოთ, რომელიც არ უნდა იყოს ჭეშმარიტი, მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ იქნება A-ს გამოთქმა, მხოლოდ შეფარდებით გამოთქვამს A-ს, და ერთ-ერთი მათგანის მიღება სწორედ იმ მესამეს გამოგვარიცხვინებს, რომელიც ნ ა მ დ-

[1] В. Л е н и н, Философские тетрады, зз. 112

ვ ი ლ ა დ (უ ფ რ ო ზ უ ს ტ ა დ) გამოთქვამს მას. მოკლედ: ორი საწინააღმდეგო დებულებიდან ერთ-ერთი ჭეშმარიტია. რომელი? რომელიც არ უნდა იყოს ის, რ ა დ გ ა ნ ა ც ი ს მ ხ ო ლ ო დ შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს ჭეშმარიტი, როგორც საერთოდ ყოველი ჭეშმარიტება, გამოგვარიცხვინებს სწორედ იმას (მესამეს სახით), რომელიც შემდეგ შეიძლება გამოითქვას (და უნდა გამოითქვას) და რომელიც უფრო შესაბამისი იქნება A-სი. ნამდვილ A-ს გამოვრიცხავთ. სწორედ იმაშია აზროვნების განხორციელების წინააღმდეგობა. შეფარდებითით გამოვთქვამთ აბსოლუტურს, შეფარდებითს გამოვთქვამთ აბსოლუტურის ნაცვლად და ადგილას. ეს კი აუცილებელია. ამ აუცილებლობას, აზროვნების წინააღმდეგობას გამოთქვამს, გამოხატავს, როგორც ვნახეთ, გამორიცხული მესამის კანონი.

ამრიგად, არც გამორიცხული მესამის კანონის ნამდვილი აზრი ეწინააღმდეგება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს. პირიქით, ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ა მ კ ა ნ ო ნ ი ს სახითაც (წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონთან ერთად) ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა.

თუ აზროვნების წინააღმდეგობა იმას ნიშნავს, რომ შეფარდებითად ჭეშმარიტს უნდა მიენდო და ამითი გამოთქვა აბსოლუტური, მაშინ, **ისიც აუცილებელი იქნება**, რომ ეს გარკვეული (შეფარდებითი) ჭეშმარიტება ყოველ მოცემულ მომენტში თავისი ერთი გარკვეული აზრით იხმარო. ამ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს გამოხატავს იგივეობის კანონის აზრი. ცნების კონკრეტულობის გარკვევისას, ვფიქრობ, ეს მდგომარეობა კარგად გამოჩნდა: ცნების კონკრეტულობა ი მ ა ს ა ც ნ ი შ ნ ა ვ ს, რომ ის მოცემული კონკრეტული შინაარსით იხმარო, არეული შინაარსით ცნების ხმარება შემეცნების შეუძლებლობას გამოიწვევს.

§ 18. ასეთია, ჩემი აზრით, ამ კანონების ნამდვილი აზრი, მათი დიალექტიკის ძირითად კანონთან დამოკიდებულების თვალსაზრისით[1].

როგორც ვნახეთ, ისინი გამოთქვამენ ისეთ მდგომარეობებს, რაც თვითონ აზროვნების წინააღმდეგობას ახასიათებს. ამიტომ,

[1] რაც შეეხება საკმაო საფუძვლის კანონს, მცდარობა მისი იმ საბუთით კრიტიკისა, რომ მასში არაა შინაგანი და გარეგანი საფუძველი გარჩეული — ხევით ეუჩვენე არსებითად. ამ საკითხზე ნაწილობრივ ქვევითაც გვექნება ლაპარაკი. საერთოდ ამ კანონების შესახებ აქ საკითხი დგას ზ ო გ ა დ ა დ მ ა თ ი ბ უ ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. ცალკეული მათგანის ვრცელი კონკრეტული განხილვა აქ არცაა შესაძლებელი და, ვფიქრობ, არც საჭიროა.

ცხადია, ისინი არ ეწინააღმდეგებიან დიალექტიკას, მის კანონებს; უფრო მეტი: აზროვნების დიალექტიკა, აზროვნების წინააღმდეგობა ამ კანონების სახით ვლინდება.

რა თქმა უნდა, არა თუ შესაძლებელია, არამედ ფაქტიცაა ამ კანონების ისეთი ინტერპრეტაცია, რომ ისინი დიალექტიკის საწინააღმდეგოდ გამოდიან. ამაში თვითონ ეს კანონები ისევე ნაკლებ არიან დამნაშავენი, როგორც მექანიკის კანონები მათს არამართებულ ინტერპრეტაციაში. რომელიმე კანონის ნამდვილი აზრის დამახინჯების ფაქტი ამ კანონის უარსაყოფად არ გამოდგება; ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ დებულებაში ნათლადაა მითითებული ის ნიშნები, რომლებიც ნამდვილ კანონს უნდა ახასიათებდეს. მოცემული კანონები აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნებს: ისინი აზროვნების გარკვეულ კანონზომიერებას (გარკვეულ აუცილებლობას) ასახავენ, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელ პროცესს გამოთქვამენ.

ამიტომ არის, რომ ისინი, ვინც ამტკიცებენ — დიალექტიკური აზროვნება, მისი კანონები სხვაა, ეწინააღმდეგება აზროვნების ცნობილი კანონების მიხედვით აზროვნებას, რომ, თითქოს, ამ კანონებს დაქვემდებარებული აზროვნება მხოლოდ ზერელეა, ზედაპირულ მოვლენებს ასახავს და სხვა, უცნაური ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან — მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების — ამ უდიდესი დიალექტიკოსების ნააზრევი ყოველთვის ამ კანონების მიხედვით მიმდინარეობს და ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეებს ძალიან ხშირად სწორედ ამ კანონების დარღვევაში იჭერენ. ის, ვინც ამტკიცებს, „ან-ან"-ით აზროვნება ძველი ლოგიკისათვისაა დამახასიათებელი და ეს, არსებითად, აზროვნების მეტაფიზიკური წესია, უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდება ხოლმე: ან-ან-ს ვერ იცილებს თავიდან, როგორც ბაბაჯანა ქოშებს: — თვით იმის მიღებაც, რომ „რაიმე არის და არც არის", უკვე გარკვეული „ან-ია"!.

მცდარია აზრი, რომ „ან-ან" მხოლოდ დაბოლოებულის სფეროში გამოდგება, თითქმის ის მხოლოდ ცალმხრიობებს, მოვლენებს ასახავს, არსებას ვერ წვდება და სხვა[1].

კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის ბრძოლის ისტორიიდან ცნობილია საკითხის ასე დაყენება და გადაჭრა:

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 207.

ან კლასთა ბრძოლის მარქსის თეორია, ან სოციალიზმში კაპიტალისტების შეზრდის თეორია.

ან კლასობრივ ინტერესთა შეურიგებელი წინააღმდეგობა, ან კლასობრივ ინტერესთა ჰარმონიის თეორია.

რატომაა ეს დაბოლოებულის სფერო? რატომაა ეს მოვლენების სფერო? არა! არავითარი ასეთი „სფერო“ აქ არაა! ფაქტი ისაა, რომ საკითხის სწორედ დიალექტიკური განხილვა არ მოითხოვს ცნობილი კანონის — „ან-ან“ ის, ანუ გამორიცხული მესამის კანონის შეცვლას, მით უფრო მის დარღვევას.

ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად მრავლისა შეიძლება — რომელიც გნებავთ დებულება მარქსისტული ფილოსოფიიდან გამოდგება ამის მაგალითად!

ამიტომ მცდარია მტკიცება, თითქოს ეს კანონები „შეიძლება და აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ გარკვეულ ფარგლებში“[1].

რომელ ფარგლებში? — თუ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებშია მისი გამოყენება შესაძლებელი, სხვა „ფარგლებში“ მათი გამოყენება შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. რომელია ასეთი „ფარგლები“?

ისინი, ვინც ან-ან-ის გამოყენებას მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში ცნობენ შესაძლებლად, ფარგლებს ვერაფრით ვერ უჩვენებენ, და მით უფრო ვერ უჩვენებენ ისეთ ფარგლებს, სადაც თითქოს მისი საწინააღმდეგო კანონის გამოყენება იყოს აუცილებელი და შესაძლებელი. ვერ უჩვენებენ, რადგანაც ასეთი ფარგლები არ არსებობს. როგორც ზევითაც მიეთითა, თვით ასეთი შესაძლებლობის მიღებაც („რამე არის არა „ან ეს, ან საწინააღმდეგო“, არამედ ჰოც და არაც — ორივე ერთად“) გარკვეული „ან“ იქნება და ამიტომ ამ კანონს უნდა დავემორჩილოთ.

სხვანაირად შეუძლებელია იყოს: აზროვნება წინააღმდეგობის ერთიანობაა; აზროვნების წინააღმდეგობა ამ კანონების სახით ვლინდება. ამიტომ შეუძლებელია უჩვე-

---

[1] ს. წერეთელი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 207. ამ კანონებისათვის და, მაშასადამე, ფორმალური ლოგიკისათვის ფარგლების შეზღუდვის აზრს იცავს პროფ. სტროგოვიჩი. იხ. მისი „Логика“ (Москва, 1949) და სადისკუსიო წერილი «Вопросы философии»—ში დაბეჭდილი. ასევე ამბ. ჩერკესოვი (ამავე ჟურნალში დაბეჭდილი სადისკუსიო წერილში), და სხვები.

ნო ისეთი შემთხვევა, სადაც აზროვნება არ გამოავლენს თავის წინააღმდეგობას, ე. ი. სადაც ეს კანონები არ იმოქმედებენ.

§ 19. ამბობენ, აზროვნების ცნობილი კანონები დაქვემდებარებული კანონებიაო. ეს მართალია იმ აზრით, რომ ისინიც, როგორც სინამდვილის ცალკეულ სფეროთა ყოველი კანონი, ექვემდებარებიან სინამდვილის ზოგად, არსებით კანონს—წინააღმდეგობის ერთიანობას. ამით არ შეიძლება ის დამტკიცდეს, რისი მტკიცებაც სურთ: თითქოს ეს კანონები ამის გამო არ არიან ნამდვილი კანონები[1]. კანონის ნამდვილობის კრიტერიუმი, როგორც ვნახეთ, სხვა რამეა. აზროვნების კანონები ამ კრიტერიუმის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ: ისინი ასახავენ გარკვეულ, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელ პროცესს, კანონზომიერებას — აზრთა შორის აუცილებელ კავშირს: თუ არის ერთი (აზრი) დამიჩნეულია ის ჭეშმარიტად, შეუძლებელია საწინააღმდეგო ჭეშმარიტი იყოს და სხვ.

§ 20. შემდეგ: ამბობენ, რომ ეს კანონები ახსნას მოითხოვენ. ის, რითაც აიხსნებიან ისინი, თვითონ იქნება აზროვნების კანონი. ამიტომ, ასკვნიან, ეს კანონები არ არიან ნამდვილი კანონები. ეს კანონები რომ ახსნას მოითხოვენ, ეს მართალია. მაგრამ აქედან აღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს. ჯერ ერთი, კანონის ახსნა არ ნიშნავს მის მოხსნას. ეს შესაძლებელი (და აუცილებელიც) იყო ჰეგელისათვის. მარქსიზმი ამას ვერ მიიღებს.

მეორე, თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი კანონი — მაქსიმალური მოგებისა არ მოხსნის ღირებულების, კონკურენციისა და ანარქიის, გარდუვალი კრიზისების კანონებს. ეს კანონებიც კანონებია და მოქმედებენ, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონი სხვაა. ეს ძირითადი კანონი სწორედ ამ კანონების სახით გამოვლინდება და განხორციელდება. ასევე სოციალიზმის კანონები.

ასევე აზროვნების (და მთელი სინამდვილის) არსებითი კანონი არ მოხსნის აზროვნების ცნობილ კანონებს.

აზროვნების კანონების ახსნა, მათი ნამდვილი აზრის დადგენა არა თუ საჭიროა, აუცილებელია. ეს კანონები მხოლოდ მაშინ მოიხსნება, თუ მათი ახსნა უჩვენებს, რომ მათ სინამდვილეში არ შეესაბამება ობიექტური პროცესი. სხვა შემთხვევებში ეს კანონები კა-

---

[1] ს. წერეთელი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 200.

ნონის უფლებას არ დაკარგავს. ის, რომ ისინი ახსნილი არის, მათ ნამდვილი აზრი ვიცით, შეიძლება ისინი გავითვალისწინოთ, შეშეცნების ინტერესებს დავუქვემდებაროთ და გამოვიყენოთ, ეს მათ ვერ გააუქმებს, ვერ მოხსნის. ამის დაშვება შეცდომა იქნებოდა.

ამრიგად, შეუძლებელია უჩვენო აზროვნების ისეთი სფერო, ფარგლები, სადაც ე. წ. აზროვნების კანონების გამოყენება არ იყოს აუცილებელი. ისინი ყველა სფეროში მოქმედებენ და ამდენად აზროვნების ნამდვილი კანონები არის.

§ 21. გვეტყვიან, ეს კანონები აღმოჩენილ იქნა მანამ, სანამ აზროვნების (და სინამდვილის) ძირითადი კანონი — წინააღმდეგობათა ერთიანობა დადგინდებოდა. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, ჩამოყალიბებულიყო ეს კანონები მანამ, სანამ ის ჩამოყალიბდებოდა, რის გამოხატულებასაც, გამოვლენასაც თურმე ისინი წარმოადგენენ? კი, ეს არის შესაძლებელი და ამაზე გენიალური დებულება კ. მარქსისა, გამოთქმული „პოლიტეკონომიის კრიტიკისათვის-ში“, იძლევა ამომწურავ პასუხს: „ყველა მეცნიერების ისტორიულ განვითარებას მხოლოდ მრავალი ჯვარედინი და შემოვლითი გზით მივყევართ მათს ნამდვილ ამოსავალ წერტილთან. განსხვავებით სხვა ხუროთმოძღვართაგან, მეცნიერება არა თუ აშენებს საჰაერო კოშკებს, არამედ შენობის ცალკეულ საცხოვრებელ სართულებსაც აგებს მანამდე, ვიდრე იგი მას საძირკველს ჩაუყრიდეს“[1].

საკაცობრიო აზროვნებამ შეძლო „აეგო სართულები“ — აღმოეჩინა აზროვნების ცნობილი კანონები, ვიდრე „საფუძველს ჩაყრიდა“ — აზროვნების ნამდვილ არსს, მის დიალექტიკას ახსნიდა და ჩამოაყალიბებდა. სწორედ ამ უკანასკნელის არ არსებობა (საფუძვლის, „გამოსავალი წერტილის“ (მარქსი). საძირკვლის არ ცოდნა) იყო მიზეზი იმ განუწყვეტელი დავისა, რაც ამ კანონებზე ლოგიკის ისტორიამ იცის; როცა საკაცობრიო აზროვნებამ მიაღწია საფუძველს, „გამოსავალ წერტილს“ — აზროვნების ნამდვილი ბუნების გაგებას, ამით შესაძლებელი გახდა აზროვნების ცნობილი კანონების ნამდვილი აზრის გაგება და დადგენა. ამით იქმნება შესაძლებლობა ბოლო მოეღოს აღნიშნულ დავას მის შესახებ. მარქსის ზემოთ მოყვანილი დებულების — „კანონები აბსტრაქტული აზროვნებისა... შეესაბამებიან ისტორიულ პროცესს“, მართებული გაგება, ამრიგად, შუქს ფენს აზროვნების კანონების ბუნებას; — აზროვნების, როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობის

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 62

გაგება ამ კანონებს მიუცილებელ ადგილსა და მნიშვნელობას გაურკვევს.

§ 22. მაგრამ აქ თავს იჩენს სიძნელე, რომლის დაძლევის გარეშე ზევით თქმული არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს.

ეს სიძნელე, გამოთქმული ლოგიკურ ლიტერატურაში, ასე ჩამოყალიბდება:

საკმაო საფუძვლის კანონი ლოგიკურის ცალკე რომელიმე კანონი კი არაა, არამედ ს ა ე რ თ ო დ ლ ო გ ი კ უ რ ო ბ ი ს აზრის გამოთქმაა. ლოგიკურობა ხომ მოცემულიდან (აზრიდან) აუცილებლობით მისგან განსხვავებულის გამომდინარეობას ნიშნავს; ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული აზრი საფუძველი უნდა იყოს მეორე აზრისა (შედეგის). ამ სამართლიან მოთხოვნას, ამბობენ, ვერ აკმაყოფილებს ძველი ლოგიკა და ლოგიკურობა — იქ, სადაც ზევით გადმოცემული კანონები მოქმედებენ (და რომელთა საერთო აზრს საკმაო საფუძვლის კანონი გადმოსცემს), საფუძველი არაა საკმარისი მისგან განსხვავებულის გამომდინარეობისათვის, რადგანაც ის თვითონ არაა დაფუძნებული საკმაოდ, ის თვითონ საფუძვლის მომთხოვნია; ის, რაც დაფუძნებული არაა, არ შეიძლება გამოდგეს სხვისთვის, როგორც საფუძველი. ძველი ლოგიკა, ძველი ლოგიკურობა ამ ნაკლს შეიცავს—იქ საფუძვლის გამონახვა, რადგანაც საფუძველი გარეგანია და არა არსებითი შედეგისათვის, უსასრულოდ უკან სვლაში უნდა განხორციელდეს, ე. ი. ფაქტიურად არც შეიძლება განხორციელდეს. ასეთია აზრი „ტრიტოს ანტროპოსის", ანუ უსასრულობაში რეგრესის აუცილებლობის არგუმენტისა, რომლითაც სილოგიზმის (და საერთოდ აზროვნების ცნობილ კანონებზე დაფუძნებული დასკვნების) უვარგისობას ასაბუთებენ.

მართალია თუ არა ეს, ასრულებს თუ არა ეს არგუმენტი იმ დანიშნულებას, რისთვისაც მას იყენებენ? ეს საკითხი ზევითაც დაისვა. აქ კი მასზე პასუხი აუცილებელია.

ამ არგუმენტის უსაფუძვლობის საჩვენებლად საჭიროა საკითხის ისტორიაც ვავითვალისწინოთ.

ეს არგუმენტი, როგორც ცნობილია, ძველმა ბერძნებმა (სკეპტიკოსებმა) წამოაყენეს არისტოტელეს სილოგისტიკის წინააღმდეგ და ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია ე. წ. „გვიანდელი ტროპების" სახელით[1]. ამ ტროპებიდან ერთ-ერთი სწორედ მითითებულ

[1] Р. Рихтер, Скептицизм в греческой философии, Петербург, III. рациональный скепсис, გვ. 104; იხ. ასევე—Гегель, Лекции по истории философии, соч., т. X, Москва, 1932. გვ. 432.

მდგომარეობას გამოთქვამს: რომელიმე დებულების დასაბუთება — გამოყვანა (სილოგიზმი) თვითაც მოითხოვდეს იქნება გამოყვანისათვის საფუძველს და ასე შემდეგ უსასრულოდ. თუ აქსიომებით შევაჩერებთ უკანსკნელს, ეს, ჯერ ერთი, არალოგიკურის ჩარევა იქნება, მეორეც, აქსიომის საწინააღმდეგოც შეიძლება დაუშვა (რადგანაც არ ასაბუთებ!) და ამიტომ, ასკვნიდნენ სკეპტიკოსები: ყოველი დებულება თანაბრად შეიძლება დასაბუთდეს (ე. ი. ფაქტიურად არც ერთი არ დასაბუთდეს!).

„სკეპტიკოსები ღონეს არ იშურებდნენ მიეთითებინათ წინააღმდეგობანი, სადაც მას აღმოაჩენდნენ“ (ჰეგელი). მათ აღმოაჩინეს წინააღმდეგობა, რომელიც ცოდნას ახასიათებს. მათთვის, როგორც ყოველი მეტაფიზიკოსისათვის, წინააღმდეგობა უაზრობაა. ისევე, როგორც ძენონმა მოძრაობის წინააღმდეგობის აღმოჩენიდან მოძრაობის უარყოფის დასკვნა გააკეთა, სკეპტიკოსებმაც ცოდნის წინააღმდეგობა ცოდნის უარსაყოფად გამოიყენეს. უკეთ: ცოდნა შეუძლებელია არსებობდეს, რადგანაც ის წინააღმდეგობრივია. ასეთია სკეპტიკოსთა შედეგი.

მაგრამ ის, რაც წინააღმდეგობრივია, სრულებითაც არაა უაზრო და შეუძლებელი. დიალექტიკოსისათვის რაიმეს წინააღმდეგობრივად ყოფნა მის უარყოფას კი არ მოასწავებს, არამედ მისი ნამდვილი არსების გასაღებს იძლევა.

ცოდნა მართლაც წინააღმდეგობრივია. მართლაც შეუძლებელია რომელიმე დებულების ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი დასაბუთების მიღწევა. თვითონ ჭეშმარიტების კრიტერიუმი — პრაქტიკა ვ ე რ ა ს ა ბ უ თ ე ბ ს რომელიმე დებულების ჭეშმარიტებას აბსოლუტურად. „პრაქტიკის კრიტერიუმს, — წერს ლ ე ნ ი ნ ი, — არსებითად არასოდეს არ ძალუძს ს ა ვ ს ე ბ ი თ დაადასტუროს ან უარყოს ადამიანის რომელიმე წარმოდგენა. ეს კრიტერიუმიც იმდენად „გამოურკვეველია“, რომ ადამიანის ცოდნას ნებას არ აძლევს „აბსოლუტურად“ იქცეს, და ამავე დროს იმდენად გარკვეულიცაა, რომ ულმობელი ბრძოლა აწარმოოს იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ყველა ნაირსახეობასთან“[1].

ამიტომ მოთხოვნა იმისა, რომ ცოდნა არ იყოს წინააღმდეგობრივი,რომ თუ რომელიმე დებულება საბუთდება, ის დასაბუთდეს ისე, რომ დამსაბუთებელს კიდევ არ სჭირდებოდეს დასაბუ-

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., ტ. 14, თბილისი, 1950, გვ. 172.

თება, რათა მანაც თავის მხრივ კიდევ ახალი საფუძველი არ მოითხოვოს, სინამდვილეს არ შეეფერება, ცოდნის ნამდვილი ბუნება ასეთი არაა.

დიალექტიკოსისათვის არავითარ სიძნელეს, არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს ზემოთ მითითებული მდგომარეობა. რომელიმე დებულების დასაბუთება საფუძვლის გამონახვას მოითხოვს, რომელიც თვითონ იქნება საფუძვლის მომთხოვნი? სწორედ ასეთია ცოდნის ბუნება, სწორედ ეს ასაბუთებს მას, როგორც დაუსრულებელ პროცესს. —აბსოლუტური ჭეშმარიტება (აზრის აბსოლუტური დასაბუთება) მხოლოდ უსასრულობაში მიიღწევა! — საფუძვლის ხაზით უკან სვლა, ეს სწორედ არსებისაკენ სვლაა (ე. ი. შემეცნების თვალსაზრისით:—წინ სვლა!) და ეს პროცესი უსასრულოა. ხოლო იქ, სადაც ვცდილობთ რამენაირად მოვახერხოთ აბსოლუტურად დასაბუთებული დებულების მიღება, ისეთი დებულებისა, რომელიც არ მოითხოვს სხვას საფუძვლად, სადაც საფუძველი აუცილებლობით მოითხოვს შედეგს და შედეგი ასევე აუცილებლობით ამ საფუძველს, იქ, მართალია, გვექნება აბსოლუტური, ახალი საფუძვლის არმომთხოვნი, ს ა ვ ს ე ბ ი თ დასაბუთებული აზრი, მაგრამ ის ბანალობის მეტი არაფერი იქნება (ენ გ ე ლ ს ი, ლ ე ნ ი ნ ი). როგორც ზევით ვნახეთ, (რომელიმე) ადამიანის სიკვდილის მიზეზად შეიძლება „შინაგანი და აუცილებელი მიზეზი“ დავასახელოთ (ადამიანი, როგორც ცოცხალი არსება, თავისში ატარებს სიკვდილს), მაგრამ ამით მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ „ადამიანი იმიტომ მოკვდა, რომ... ადამიანი კვდება“... (იხ. ზევით).

ამრიგად, ე. წ. უსასრულობაში სვლის არგუმენტი ვერ დაასაბუთებს იმას, რომ ისეთი ფორმები (დასკვნისა), სადაც წინამძღვრები თვითონ მოითხოვენ წინამძღვრებს, ცოდნის, ლოგიკურობის, აზრთა აუცილებელი კავშირის ბუნებას არ შეეფერებოდეს, ვერ გამოთქვამდეს; პირიქით: ნ ა მ დ ვ ი ლ ი, რ ე ა ლ უ რ ი ც ო დ ნ ი ს ბ უ ნ ე ბ ა ს წ ო რ ე დ ი მ ა შ ი ვ ლ ი ნ დ ე ბ ა, რ ო მ ც ო დ ნ ა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს დ ა უ ს რ უ ლ ებ ე ლ ი ა, ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მ ო ი თ ხ ო ვ ს გ ა დ ა ს ვ ლ ა ს ა ხ ა ლ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე, ე რ თ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს გ ა მ ო ნ ა ხ ვ ა ა რ ა ა ს ა ვ ს ე ბ ი თ ს ა კ მ ა რ ი ს ი (ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი), ს ა ჭ ი რ ო ა მ ი ს თ ვ ი ს ა ც ა ხ ა ლ ი ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, რ ო მ ე ლ ი ც კ ვ ლ ა ვ ა ხ ა ლ ი ს მ ო მ თ ხ ო ვ ნ ი ი ქ ნ ე ბ ა დ ა ა ს ე შ ე მ დ ე გ. ს წ ო რ ე დ ი ს ფ ო რ მ ა ი ქ ნ ე ბ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი

ცოდნის შესაფერისი ლოგიკური ფორმა, რომელიც ამ მდგომარეობას გამოხატავს. ზევით ვნახეთ, რომ ცდა ისეთი ლოგიკურის დაფუძნებისა, სადაც ახალ საფუძველთა მოთხოვნა არ იქნება, იქნება არა ლოგიკურობა, არა აზრთა აუცილებელი კავშირი, არამედ სწორედ აზრთა აბსოლუტურად მოწყვეტა ერთიმეორისაგან, ვერ ჩვენება აზრის მიერ სხვა აზრის აუცილებელი მოთხოვნისა (კავშირის აუცილებლობისა) — ნაცვლად ლოგიკურობისა სწორედ არალოგიკურობას, ყოველი აზრის გაჩერებას და მეტაფიზიკურობას მივიღებთ. ზევითაც ითქვა: უკიდურესობაში მოყვანილი სპირიტიზმი გადადის. თქმა იმისა, რომ აზრს საფუძველი სჭირდება, რომლიდან ის აუცილებლობით გამომდინარეობს, არ ნიშნავს იმას, რომ ეს საფუძველი აზრისა თვითონ ამ აზრიდან იყოს გამომდინარე, სხვას არ მოითხოვდეს საფუძვლად. ყოველი საფუძველი შედარებითაა საფუძველი, შეფარდებითაა გამპირობებელი, იმის გამო, რომ ცოდნაში ყოველივე შეფარდებითია (აბსოლუტურია თვითონ ცოდნა ტენდენციაში. ენგელსი, ლენინი).

თუ ეს ყოველივე მართალია, მაშინ მართალი უნდა იყოს ისიც, რომ ცნობილ კანონებზე დამყარებული ფორმები აზროვნებისა (რომელთა წინააღმდეგაც მიმართავენ ამ არგუმენტს) ნამდვილად სწორედ ცოდნის დიალექტიკურობის, წინააღმდეგობის გამოხატულება იქნება. ამ ცნობილი ფორმების (ვთქვათ, სილოგიზმის) კრიტიკა როგორც ფორმებისა, რომლებიც თითქმის არადიალექტიკურნი არიან და ამიტომ საჭიროა ჩამოყალიბდეს დიალექტიკური ფორმები და სხვა, მიზანში ვერ ხვდება. კრიტიკა ამ ხაზით არ უნდა მიდიოდეს. ამ მხრივ კრიტიკა მათ, როგორც ფორმებს, ვერაფერს დააკლებს. კრიტიკა უნდა შეეხოს არა მათ, როგორც ფორმებს, არამედ კრიტიკა უნდა შეეხოს მათ შესახებ მოძღვრებას — ტრადიციულ ლოგიკას, თუნდაც იმაში, რომ მას არსებითად მხოლოდ ერთი ფორმა (სილოგიზმი) აქვს გამოკვლეული და ლოგიკურის სრულ ფორმად გამოცხადებული, რომ ამის გამო სხვა, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი, ფორმები უყურადღებოდ ან შესაფერისი შეფასების გარეშე რჩება; თვითონ სილოგიზმიც, რაკი ის გაბსოლუტებულია, ყალბად წარმოიდგინება და სხვა (ეს, ძველი ლოგიკის კრიტიკა, სპეციალური საკითხია და ეს ცალკე, სპეციალურად უნდა გაკეთდეს).

ხოლო თუ ეს ასეა, თუ ცნობილი ფორმები არიან ცოდნის წინაალმდეგობის, ცოდნის დიალექტიკის გამომვლენი ფორმები (ეს კი, ვფიქრობ, ასე უნდა იყოს, როგორც ზევით ვნახეთ), მაშინ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ კანონები, რომლებზეც ეს ფორმებია აგებული, უნდა იყოს აზროვნების, ცოდნის დიალექტიკის გამოვლენა, გამოხატულება, განხორციელება.

§ 23. მაგრამ რა, სახელდობრ რა შეიძლება ასახოს ამ კანონებმა, აზროვნების ცნობილმა კანონებმა?

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით აზროვნების ამ კანონებს არ შეუძლიათ ასახონ ის სფერო, რომლის ახსნაც მათ ევალებათ. ამბობენ, რომ ისინი მხოლოდ აუცილებელი პირობებია, მაგრამ არა საკმარისი იმ პროცესის განხორციელებისათვის, რომლის კანონის უფლებასაც ეს კანონები იჩემებენ; ეს კანონები მხოლოდ იმას აღნიშნავენ, თუ რა არ არის შესაძლებელი, მაგრამ არ ამბობენ, თუ რა არის შესაძლებელი; ისინი უარყოფითი ბუნებისანი არიან — მხოლოდ უარყოფით პირობას შეადგენენ ცოდნისა, რომლის ახსნა (ე. ი. დადებით პირობად ყოფნა) მათ ევალებათ.

მართალია თუ არა ეს? ვფიქრობთ, არც ესაა მართალი და ესეც მისი ისტორიის გათვალისწინებით უფრო კარგად გაირკვევა.

აზრი იმის შესახებ, რომ აზროვნების კანონები მხოლოდ უარყოფით პირობას შეადგენენ ცოდნისა, კანტის შემდეგ დამკვიდრდა ლოგიკაში. ერთადერთი ლოგიკა, რომლის განხორციელება ადამიანურ გონებას შეუძლია, ფიქრობს კანტი, არის ე. წ. ფორმალური ლოგიკა, ანუ ლოგიკა, რომლის წესები და კანონები მხოლოდ აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობა იქნება ცოდნისათვის, ჭეშმარიტებისათვის; ლოგიკა შესაძლებელია, როგორც ანალიტიკა, ანუ განსჯის ზოგად, ფორმალურ წესებზე (ფორმებზე, და არა შინაარსზე) მოძღვრება. მისი (ლოგიკის, ანალიტიკის) ბოროტად გამოყენება იქნება მისი გამოყენება ორგანონად და ეს იქნება დიალექტიკა. ადამიანურ გონებას ამ უკანასკნელის (ორგანონის, შინაარსეული ლოგიკის, ლოგიკის, რომელიც დადებითი პირობაც იქნება ცოდნისა) განხორციელება არ შეუძლია, რადგანაც მისი მოფიქრება მას არ შეუძლია წინაალმდეგობის გარეშე; ცოდნის ორგანონის (და არა კანონიკის) განხორციელება ნიშნავს ყ ო ვ ე ლ ი ჭეშმარიტების მატერიალური კრიტერიუმის დადგენას; ყოველი ჭეშმარიტების ასეთი კრიტერიუმი უკვე აღარ იქნება არც ერთის, რ ო მ ე ლ ი მ ე ჭეშმარიტების კრიტერიუმი და ამდენად, ნაცვლად ორგანონისა, ისევ კანონიკას — ყოველი ჭეშმარიტების

ფორმალურ კრიტერიუმს მივიღებთ. ასეთ გადაულახავ წინააღმდეგობაში აღმოჩნდება განსჯა ამ საკითხის მოფიქრებისას. ე. ი. ის მის შესაძლებლობის იქით მდებარე საკითხს კიდებს ხელს ამ შემთხვევაში — ეს იწვევს წინააღმდეგობებს. განსჯის სფერო არაა ის, სადაც ის წინააღმდეგობებში ვარდება, წინააღმდეგობიდან თავს ვერ იფარავს — ეს სფერო ადამიანური შემეცნების მიღმა მდებარეა, შეადგენს სამყაროს ნივთებისა თავისთავად. დიალექტიკა, როგორც ცოდნის ორგანონი, შეუძლებელია არსებობდეს, შეუძლებელია განახორციელოს ადამიანურმა შემეცნებამ; დიალექტიკა შეიძლება მიეკუთვნებოდეს ლოგიკას იმდენად, რამდენადაც მასში უნდა მოხდეს კ რ ი ტ ი კ ა დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ თ ო ბ ი ს ა.

ლოგიკა, ასკვნის კანტი, შესაძლებელია როგორც ფორმალური ლოგიკა, ანუ შემეცნების, ჭეშმარიტების უარყოფითი, ფორმალური პირობა (აქედან: სახელწოდება — ფორმალური ლოგიკა); ლოგიკის კანონები მხოლოდ ფორმალური ჭეშმარიტების გარანტიად გამოდგებიან[1].

აზროვნების, შემეცნების ერთი მცირედი ფაქტი, უსათუოდ სწორად შემჩნეული, გაბერილ იქნა, როგორც ეს საერთოდ იდეალიზმს ჩვეია (იხ. ვ. ლ ე ნ ი ნ ი — იდეალიზმის გნოსეოლოგიური ფესვები). ამან კი კანტი ამ საკითხშიაც წინააღმდეგობაში (სხვა უამრავ წინააღმდეგობებთან ერთად) ჩააყენა. კანტი, რომელიც ცდილობს ცოდნის ორგანონი, ე. ი. ეგრეთწოდებული საგნობრივი ლოგიკა, საგნობრივი ჭეშმარიტების ლოგიკა განუხორციელებლად გამოაცხადოს, თვითონ იძულებული შეიქნა ეცადა ასეთი ლოგიკის შექმნა-განხორციელება, ე. წ. ტრანსცენდენტალური ლოგიკის სახითა და სახელით. ტრანსცენდენტალურია ის აპრიორული, რომელიც ცდის, ანუ ცოდნის პირობას შეადგენს. ცოდნა ყოველთვის მსჯელობებშია; მსჯელობები შეიძლება იყოს ანალიზური და სინთეზური. ანალიზური მსჯელობისათვის სავსებით საკმარისია წინააღმდეგობის პრინციპი[2]. იგივე პრინციპი აუცილებელი კია, მაგრამ არასაკმარისია სინთეზური მსჯელობისათვის; ნამდვილ ცოდნას კი სწორედ ეს უკანასკნელი გამოთქვამს. ამიტომ ფილოსოფია, რომელიც ც ო დ ნ ი ს ფ ა ქ ტ ს ა გ ვ ი ხ ს ნ ი ს, იქნება ფილოსოფია, რომელიც სინთეზური (და ისიც არა ყოველგვარი სინთეზური, არამედ სინთეზურ-აპრიორული) მსჯელობის პირობებს დაადგენს.

---

[1] К а н т, Критика чистого разума, Петроград, 1915, გვ. 61—66.

[2] ი. კ ა ნ ტ ი, პროლეგომენები, გვ. 60.

ეს ფილოსოფია იქნება ე. წ. ტრანსცენდენტალური ფილოსოფია, ანუ ტრანსცენდენტალური ლოგიკა. რატომ ლოგიკა? რ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა „ლ ო გ ი კ ა“ ვუწოდოთ მას? — ეს აუცილებელია, რადგანაც ეს მოძღვრება უნდა გაირჩეს განჭვრეტის, გრძნობიერების შესახებ მოძღვრებისაგან, ანუ ტრანსცენდენტალური ესთეტიკისაგან[1]. მაგრამ თუ ის (ტრანსცენდენტალური ლოგიკა) იქნება სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის პირობების დადგენა, ანუ არსებითად ცოდნის, ცდის პირობების დადგენა, მან სწორედ ს ა კ მ ა რ ი ს ი პ ი რ ო ბ ე ბ ი უნდა დაადგინოს (წინააღმდეგ შემთხვევაში რა ცოდნის პირობების დადგენა, ახსნა იქნება!); მაშასადამე, ის შეუძლებელია მარტო წინააღმდეგობის შეუძლებლობის პრინციპზე დაშენდეს (ეს ხომ არასაკმარისი პირობაა სინთეზურობისათვის!). ამიტომ კანტი იძულებულია, წინააღმდეგ თავისივე მტკიცებისა, შექმნას სინთეზურ-აპრიორული მსჯელობის ს ა კ მ ა რ ი ს ი პრინციპი-კანონი (ე. ი. შექმნას ლოგიკა, რომელიც ორგანონი იქნება!). ეს „კანონი“ ასეთია: ცოდნის საგნის შექმნის პრინციპი იგივეა, რაც მისი შემეცნების პრინციპი (ამით ტრაბახობს კანტი — კოპერნიკანული საქმე ვქენიო).

ამრიგად, თვითონ კანტი საკითხის უმართებულო დასმის გამო იძულებული გახდა ეშენებინა ის ლოგიკა, რომელიც მანვე შეუძლებლად გამოაცხადა, შეექმნა ისეთი „კანონი“, რომელიც არა მარტო აუცილებელი, არამედ საკმარისიც იქნებოდა ჰეშმარიტებისათვის, აზრის საგანთან თანხმობისათვის, ჰეშარიტების მატერიალური კრიტერიუმიც იქნებოდა.

არა იძულების გამო, არამედ კ ა ნ ო ნ ი ე რ ი გ ზ ი თ ასეთი ლოგიკის აშენება, კანტის უარყოფითი დიალექტიკის დადებითად ქცევა, კანტის წინააღმდეგობებისაგან განთავისუფლება — ასეთი გზა აიღო საერთოდ გერმანულმა იდეალიზმმა და მისი დაგვირგვინება ჰეგელს ხვდა წილად. ჰეგელმა სცადა აეშენებინა ისეთი ლოგიკა, რომელიც მხოლოდ ცდად (ისიც საკუთარი ფილოსოფიისაგან ნამალავ, ნაქურდალ ცდად) დაურჩა კანტს — ლოგიკა, რომელიც ორგანონი იქნებოდა ცოდნისა და არა კანონიკა, ე. ი. ჰეშმარიტების საკმარისი პირობა და არა მარტო აუცილებელი,

[1] იმ საკითხის გარკვევისათვის, თუ რას ნიშნავს ფილოსოფიის (დიალექტიკის), შემეცნების თეორიის და ლოგიკის იგივეობა, ჩემი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმის გათვალისწინებას, თუ როგორ გახდა ისტორიულად აუცილებელი ფილოსოფიის მიმართ „ლოგიკის“ გამოთქმა. ეს სპეციალური და აუცილებლად გარკვევის მომთხოვნი საკითხია.

მხოლოდ უარყოფითი პირობა. შედეგი? — ცოდნის, აზრის გააბსოლუტება, ერთადერთ რეალობად გამოცხადება მივიღეთ.

მცდარია როგორც კანტის გზა, ასევე ჰეგელის გზაც. კანტმა იმ ფაქტიდან, რომ აზროვნების კანონების დაცვას არ შეუძლია ჭეშმარიტების სრული გარანტია მოგვცეს, აგნოსტიკური დასკვნა გააკეთა; ადამიანის შემეცნების უნარის შეზღუდულობით ახსნა ეს და ცოდნისათვის მიუწვდომელი სფერო აღიარა; აზრის დიალექტიკურობა, წინააღმდეგობა ამ სფეროში მისი გადასვლის შედეგად გამოაცხადა და ამით დიალექტიკა მხოლოდ მოჩვენებითობის კრიტიკის მოვალეობაში დატოვა.

სწორად შემჩნეული ფაქტის გაბერვამ უკიდურესობაში გადავარდნა, ცოდნის უარყოფა, აგნოსტიციზმი და იდეალიზმი მოგვცა (ამაშია, როგორც ლ ე ნ ი ნ მ ა გენიალურად შენიშნა, საერთოდ იდეალიზმის არსი—რომელიმე მხარის, ფაქტის გაბერვა და გააბსოლუტება).

ცხადია, არც მეორე უკიდურესობა უშველის საქმეს; ისიც, რადგანაც ი ს ი ც უ კ ი დ უ რ ე ს ო ბ ა ა, მცდარობას წარმოადგენს. ეს უკიდურესობა ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმია. — თუ აზროვნების კანონების დაცვა საკმარისი პირობა იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი (ასეთი კანონების) დადგენა მხოლოდ ყ ო ვ ე ლ ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს გათვალისწინებით უნდა მოხდეს; თუ რომელიმე ჭეშმარიტება გ ა უ თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ებ ე ლ ი დარჩება ამ კანონებს, მაშინ ისინი არ იქნებიან საერთოდ ჭეშმარიტების საკმარისი პირობები! მაგრამ გათვალისწინება ყველა ჭეშმარიტებისა იქნება არა ლოგიკა, როგორც მოძღვრება ცოდნის პირობების შესახებ, არამედ ლოგიკა, რომელიც უ ნ დ ა შ ე ი ც ა ვ დ ე ს ყ ო ვ ე ლ შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ს. მართლაც, ამ გზით მიდის ჰეგელი — ჰეგელისათვის ლოგიკა არის არა მარტო მთელი ფილოსოფია, არამედ მთელი მეცნიერება საერთოდ. უფრო მეტიც, ყოველი ჭეშმარიტების შინაარსის თვალსაზრისით გათვალისწინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ცოდნის საგანი არ იქნება განსხვავებული თვით ცოდნისაგან; თუ ეს განსხვავება იქნება, მაშინ შეუძლებელი იქნება ყოველი ჭეშმარიტების გათვალისწინება, რადგანაც ცოდნისაგან განსხვავებულ საგანს შესაძლო იქნება ახალი ცოდნა (გათვალისწინების გარეშე დარჩენილი!) შეესაბამოს შემდეგში... ამიტომ, ლოგიკა, რომლის კანონი ცოდნის საკმარისი პირობა იქნება, იქნება არა მარტო მთელი მეც-

ნიერება, საერთოდ მთელი ცოდნა, არამედ — მთელი სინამდვილე. ეს მართლაც ასეა ჰეგელისათვის...

...და ამით თვითონ ლ ო გ ი კ ი ს უარყოფაც მივიღეთ; — ლოგიკა ცოდნის გარკვეული პირობა, გარკვეული მ ე თ ო დ ი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რადგანაც მასში მოექცა მთელი ცოდნა, ამიტომ ის (ლოგიკა) ნაცვლად შემეცნების პირობისა, ცოდნის პირობისა, მეთოდისა, უნდა იქცეს ერთხელ და სამუდამოდ დასრულებულ ცოდნად, ნ ა ც ვ ლ ა დ შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ი ს ა, ცოდნის ერთხელ და სამუდამოდ თავმოკერილ ტომრად უნდა დარჩეს... ლოგიკის ნაცვლად მისი უარყოფა მივიღეთ. წინააღმდეგობა, რომლითაც დაავადებულია ჰეგელის დიალექტიკა[1], ამაშიც იჩენს თავს.

ამრიგად, მცდარია ის დასკვნები, რასაც კანტი აკეთებს აღნიშნული ფაქტიდან. ასევე მცდარია ის გზა, რომლითაც, თვითონ კანტისავე ბიძგით, ჰეგელი წავიდა.

ნამდვილად, თუ მოვიშორებთ იდეალისტურ გაზვიადებას, რაც ამ შემთხვევაში გვაქვს, სულ მარტივ ფაქტობრივ მდგომარეობასთან გვექნება საქმე. აზროვნების ცნობილი კანონები მხოლოდ აზრთა აუცილებელ კავშირს, აუცილებელ გამომდინარეობას ახსნის. აზრთა აუცილებელი კავშირი, აზრის აუცილებლობით გამომდინარეობა სხვა აზრიდან, ლოგიკურობა, არაა გარანტია ჭეშმარიტებისა. ამ აზრით ვამბობთ, რომ აზროვნების კანონები ცოდნის არასაკმარისი, ასე ვთქვათ, უარყოფითი პირობა არის, მაგრამ ისეთი პირობა, რომლის დაცვა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა შემეცნების განხოციელებისათვის.

ი. სტალინი, აკრიტიკებს რა ბუხარინს, წერს: „...თუ კონსცესიორებს ათანაბრებთ კულაკებთან, ხოლო კულაკები შეეზრდებიან სოციალიზმს, რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ კონსცესიორებიც შეეზრდე-

---

[1] ფ. ენ გ ე ლ ს ი, ლუდვიგ ფეიერბახი, თბილისი, 1954 გვ. 11, 27; იხ. აგრეთვე კ. ბ ა ჭ რ ა ძ ე, სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში. აქ შეიძლება შეინიშნოს ისიც, რომ ჰეგელის გზის შეუძლებლობა მისსავე ფილოსოფიამ გამოავლინა: „ლოგიკაში", რომელიც უნდა ყოფილიყო არა მარტო მთელი ცოდნა, არამედ მთელი სინამდვილეც, თვით ჰეგელის ფილოსოფიაც ვერ ჩაეტია. მისი ფილოსოფიის ისეთი არსებითი ნაწილი, როგორიცაა სულის ფილოსოფია (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) ლოგიკის გარეთ დარჩა ჰეგელს. ასევა: კარებიდან განდევნილი სინამდვილე ფანჯრებიდან შემოიპარებაო—ნათქვამია; სინამდვილე თავისას გაიტანს. „ლოგიკაში" მისი მოქცევა შეუძლებელია; არც მთელი შემეცნება, მთელი ცოდნა „ეტევა" ლოგიკაში...

ზიან სოციალიზმს, რომ არა მარტო კულაკები, არამედ კონსცესიორებიც შეეზრდებიან სოციალიზმს"[1].

პირველი ორი აზრი აუცილებლობით გვაძლევს მესამეს. აზრთა შორის ასეთ კავშირს ეწოდება, როგორც ზევით აღვნიშნეთ და საერთოდ მიღებულია, ლოგიკურობა. ცნობილი კანონები ამას აპირობებენ და ხსნიან. მაგრამ ეს, აზრთა შორის აუცილებელი კავშირი, არაა საკმარისი პირობა ჭეშმარიტებისათვის. მოცემულ მაგალითში არც ერთი აზრი არაა ჭეშმარიტი. გამომდინარეობის აუცილებლობა — ე. ი. ლოგიკურობა გვაქვს. ეს გამომდინარეობა, გამომდინარეობის აუცილებლობა, როგორც ჩანს, არაა დამოკიდებული იმაზე, ჭეშმარიტია თუ მცდარია აზრი, რომლიდანაც გამოყვანა წარმოებს. მცდარი აზრიდანაც გამოდის სხვა აზრი აუცილებლობით და ჭეშმარიტიდანაც. ამიტომ, ცხადია, მხოლოდ გამომდინარეობა, მხოლოდ გამომდინარეობის კანონები ვერ იქნება ჭეშმარიტებისათვის საკმარისი პირობა. ასე რომ იყოს, მაშინ პრაქტიკა, როგორც ჭეშმარიტების უმაღლესი კრიტერიუმი, სავსებით ზედმეტი იქნებოდა — ამ კანონების დაცვა, გამომდინარეობის სახეზე ყოფნა საკმარისი იქნებოდა ჭეშმარიტების დასადგენად... და მაშინ ზევით მოყვანილი მაგალითის ბუხარინული აზრიც ჭეშმარიტად უნდა ჩაგვეთვალა, რადგანაც აქ გამომდინარეობა, აზრთა აუცილებელი კავშირი დაცულია. მათი, ამ კანონების დარღვევა ჭეშმარიტების გზის აცდენაა; მათი, ამ კანონების დაცვა ჯერაც არაა ჭეშმარიტების გზაზე დგომის გარანტია. აი, ესაა ნაგულისხმევი დებულებაში: აზროვნების კანონები ჭეშმარიტების უარყოფითი პირობაა.

ამრიგად, ან უნდა უარყოფილ იქნეს ლოგიკურობის გაგება, როგორც აზრთა შორის აუცილებელი კავშირისა, მაგრამ ამას ვერავინ აკეთებს, ან უნდა მიღებულ იქნეს როგორც ფაქტი, რომ ლოგიკურობა, აზრთა შორის აუცილებელი კავშირი არ ახასიათებს მარტო ჭეშმარიტ აზრებს, ეს საერთოდ აზრთა დამახასიათებელია, მიუხედავად მათი ჭეშმარიტება-მცდარობისა. ის, ვინც ამ ფაქტს აღიარებს (ფაქტის არ აღიარება კი, ცოტა არ იყოს უხერხულია!), მან უნდა აღიაროს მისი (ამ ფაქტის) ამხსნელი კანონები ნამდვილ კანონებად. იმის გამო, რომ ეს ფაქტი (ლოგიკურობა) არაა საკმარისი შემეცნების განხორციელე-

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მემარჯვენე გადახრის შესახებ საკ. კომუნისტურ პარტიაში (ბ), XI გამოც., გვ. 283.

ბისათვის, ჭეშმარიტების მიღწევისათვის, ამ ფაქტის ამხსნელი კანონები კანონის უფლებას არ დაკარგავენ: მათი მოვალეობა იყო გარკვეული პროცესი აეხსნათ; ისინი ამას აკეთებენ, ხოლო თუ ეს პროცესი არა საკმარისია ჭეშმარიტების მიღწევისათვის, ეს ამ პროცესის კანონებს ვერ უარყოფს.

ამრიგად, არ შეიძლება არეულ იქნეს აზრთა შორის აუცილებელი კავშირი, ანუ ლოგიკურობა და აზრთა ჭეშმარიტება. ლოგიკურობა მარტო ჭეშმარიტ აზრთა დამახასიათებელი არაა, ამიტომ მცდარია მტკიცება, რომლის მიხედვით. ჭეშმარიტება და სისწორე, ანუ აზრთა აუცილებელი კავშირი ერთი და იგივეა[1]. აზრთა შორის აუცილებელი კავშირი მხოლოდ ერთი მხარეა ჭეშმარიტების მიღწევისა. აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი მხარე. ამ მხარის კანონები, რამდენადაც ისინი ამ მხარის, ე. ი. გარკვეული პროცესის კანონებია, ნამდვილი კანონები არიან, მაგრამ ჭეშმარიტების მიღწევისათვის — არასაკმარისნი.

§ 24. მაგრამ გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული კანონები. არც გამომდინარეობისათვის არიან საკმარისნი — ისინი ვერ ხსნიან იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი რაიმედან (აზრიდან) მისგან განსხვავებული გამომდინარეობდეს, ე. ი. ლოგიკურობას. თუმცაო, აღნიშნავენ, ეს კანონები მოქმედებენ ამ პროცესისას, მაგრამ ისინი არა არიან საკმარისნი მისთვის.

მართალია თუ არა ეს? ამბობენ, კანტმა სწორად დასვა სინთეზურობის პრობლემა; პრობლემა იმისა, თუ როგორ შეიძლება რაიმეს მისგან განსხვავებული მიეწეროს ან რაიმედან მისგან განსხვავებული გამომდინარეობდეს; მაგრამ სწორედ შემჩნეული და დასმული საკითხი მან ვერ გადაწყვიტა და მომავალ თაობებს უანდერძოა.

ეს საკითხი მართლაც შეამჩნია კანტმა, მაგრამ ისიც, როგორც ზევით განხილული საკითხები, დააბნია და ყალბი სახე მისცა. ამან განსაზღვრა მცდარი პასუხი ამ საკითხზე მის ფილოსოფიაში; საკითხის კანტისებური დასმა განსაზღვრავს მისი გადაწყვეტის შეუძლებლობას შემდეგაც.

---

[1] აქ არ შეიძლება ეს საკითხი დაწვრილებით გარჩეულ იქნეს. ეს სპეციალური საკითხია. აქ მხოლოდ ჩვენი საკითხისათვის აუცილებელი მხრიდან შევეხეთ მას. იხ. ამ საკითხზე პროფ. კ. ბაქრაძის სადისკუსიო წერილები: К вопросу о соотношении логики и диалектики („Вопросы философии", 1951. № 3). და О логике. (თ. ს. უ. შრომები, ტ. 45). ასევე მისი Логика (1951) და ლოგიკა, (1955).

კანტმა საკითხი უმართებულოდ დასვა იმით, რომ ანალიზი მოწყვეტა სინთეზს, ანალიზური ცოდნა (მსჯელობა) ცალკე, დამოუკიდებლად შესაძლებლად გამოაცხადა, სინთეზური — ცალკე. პირველისათვის საკმარის პირობად წინააღმდეგობის შეუძლებლობა გამოაცხადა, ამით იძულებული გახდა სინთეზურისათვისაც გამოენახა ასეთი (საკმარისი) კანონი, რის განხორციელებაც, როგორც ზევით ვნახეთ, ვერ შეძლო და საბოლოოდ წინააღმდეგობებში გახლართულმა ხელი აიღო მის გადაჭრაზე; საკითხი კი ასე დაბნეულად უანდერძა მომავალს.

მარტო ის წინააღმდეგობაც, რომელიც კანტს აქვს ანალიზურობა-სინთეზურობის გაგებაში, ნათელს ხდის მის მიერ საკითხის მცდარად წარმოდგენას. კანტისათვის საერთოდ მსჯელობა არის სინთეზი. შემდეგ კი მსჯელობა (სინთეზი) დაყოფილია ანალიზად და სინთეზად. ე. ი. სინთეზი და ანალიზი არიან... სინთეზის სახეები.

საკითხის უმართებულოდ დასმამ, ანალიზის მოწყვეტამ სინთეზისაგან, მათ ცალკე შესაძლებლად წარმოდგენამ კვლავაც გაამრავლა სიძნელენი, რომლებიც ისედაც უხვადაა კანტის ფილოსოფიაში. ამ საკითხის, სინთეზის საკითხის უმართებულოდ წარმოდგენა გახდა ერთ-ერთი მიზეზი ფორმალური და ტრანსცენდენტალური ლოგიკის იმ უცნაური დამოკიდებულებისა, იმ წინააღმდეგობისა, რაც ზევით მიეთითა; ამით განისაზღვრება ის, რომ ნაცვლად საკითხის გარკვევისა, ამ ლოგიკის დამოკიდებულება, პოვარნინის სამართლიანი შენიშვნით, ძნელ და დაბნეულ საკითხად დარჩა კანტთან[1].

---

[1] ერთ-ერთი მთავარი სიძნელე და დაბნეულობა, რომელიც კანტის შეხედულებას ლოგიკაზე ახასიათებს (და რომელსაც, რატომღაც, ყურადღება არ ექცევა), ასეთია: ტრანსცენდენტალური ლოგიკა კანტის შემეცნების თეორიაა, კანტის ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ა. ის, როგორც ფილოსოფია, უნდა იქვემდებარებდეს ყველა ფილოსოფიურ დისციპლინას და, მაშასადამე, ზოგად. ანუ ფორმალურ ლოგიკასაც. მეორე მხრივ, სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობა იქმნება: ტრანსცენდენტალური ლოგიკა ზოგადი, ანუ ფორმალური ლოგიკის ს ა ხ ე ა, და ამდენად, თვითონაა ა მ ფ უ ა ნ ა ს ა ნ ე ლ ი ს ა დ მ ი დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ უ ლ ი. საქმე იმაშია, რომ ფორმალური ლოგიკა არის მოძღვრება განსჯის ფესებზე ს ა ე რ თ ო დ, განურჩევლად მისი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა. ე. ი. მისი შინაარსი შეიძლება იყოს როგორც ტრანსცენდანტალური, ისე ემპირიული ცოდნა; ტრანსცენდენტალური ლოგიკა კი მხოლოდ ერთ, ტრანსცენდენტალურ ცოდნას (მის პირობებს) სწავლობს. ამრიგად, ზოგადი, ანუ ფორმალური ლოგიკა, ნაცვლაც იმისა, რომ ექვემდებარებოდეს ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას (ლოგიკას), თვითონ იქვემდებარებს მას, როგორც თავის ნაწილს.

საკითხის კანტიანური დასმა, თითქოს ანალიზური ფორმები (მსჯელობისა თუ დასკვნის) ერთი იყოს, სინთეზური კი — სხვა და მათ თავ-თავიანთი კანონები უნდა გამოენახათ, მცდარია: შეუძლებელია ცოდნა მ ხ ო ლ ო დ ა ნ ა ლ ი ზ უ რ ი ი ყ ო ს. ცოდნა რაიმეს შესახებ განსხვავებულის გამოთქმაა (ერთეულის, კონკრეტულის შესახებ ზოგადის და ა. შ.) და ის ს ა ე რ თ ო დ სინთეზური პროცესია უპირველეს ყოვლისა.

§ 25. მაგრამ ამით საკითხი გადაწყვეტილი კი არაა. თუ ცოდნა არაა მხოლოდ ანალიზური, სინთეზურიცაა, როგორი კანონზომიერებისაა ის ფორმები, რომლებშიაც ცოდნა გამოიხატება? უფრო ზუსტად: კანონები, რომელთაც ჩვენ გამომდინარეობის, აზრთა შორის აუცილებელი კავშირის კანონები ვუწოდეთ, საკმარისნი არიან თუ არა ამისათვის, ე. ი. სინთეზურობისათვის? რაც იგივეა: ეს კანონები განაპირობებენ თუ არა ახლის მ ი ღ ე ბ ა ს, გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს? განსხვავებულის გამომდინარეობა რაიმედან, განსხვავებულის მიწერა რაიმესათვის, ესაა, როგორც აღინიშნა, ცოდნის სინთეზურობა და აღნიშნულმა კანონებმა სწორედ ეს პროცესი უნდა აგვიხსნან.

ამბობენ, ეს კანონები რომ საკმარისი არ არის სინთეზურისათვის, ახლის გამომდინარეობისათვის იქიდან ჩანს, რომ სილოგიზმი — ყველაზე სრულყოფილი იმ ფორმებიდან, რომლებსაც ეს კანონები განაგებს, არ არის ახლის მომცემი ფორმა. ახლის მოცემა ნიშნავს დანასკვი ისეთ ცოდნას გვაძლევდეს, რაც არაა წინამძღვრებში. ამას სილოგიზმში ადგილი არა აქვს. „ყველა ადამიანი მოკვდავია", „სოკრატე ადამიანია", „მაშასადამე, სოკრატე მოკვდავია"; „სოკრატე მოკვდავია" ახალია წინამძღვრებთან შედარებით? მაშინ თვით წინამძღვრები არა გვქონია!—რა უფლებით ვამბობთ — „ყველა ადამიანი მოკვდავია", თუ სოკრატეს (ერთ-ერთი ადამიანის) მოკვდაობა მასში არაა ჯერაც მოცემული! ყველა ადამიანის მოკვდაობის გამომთქმელი ზოგადი დებულება (დიდი წინამძღვარი) იმისათვის, რომ მისი გამოთქმა სამართლიანი იყოს, თვითონ მოითხოვს დებულებას — „სოკრატე მოკვდავია" (დანასკვს). სილოგიზმი Petitio principii-ა —ნაცვლად იმისა, რომ წინამძღვარი საფუძველი იყოს დანასკვისათვის, ეს „საფუძველი" თვითონაა საფუძვლის მომთხოვნი და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმას მოითხოვს საფუძვლად, რისი დაფუძნებაც მას ევალებოდა. ამრიგად, სილოგიზმი, რ ო გ ო რ ც დასკვნა ზოგადიდან კერძოზე, არაა ნამდვილი დასკვნა — ახალს არ იძლევა.

ასეთია არგუმენტი ე. წ. Petitio principii -ისა, რომლითაც სილოგიზმის უვარგისობის მტკიცებას ცდილობენ. სილოგიზმის დიდი წინამძღვარი ზოგადი ფორმულაა, წესია, რომელშიც ნაგულისხმევია დანასკვი. ამიტომ დანასკვი ახალს არაფერს შეიცავს, ის მხოლოდ ცალკე გამოყოფაა, ცალკე წარმოდგენაა დიდ წინამძღვრებში შემავალი ერთ-ერთი კერძისი[1].

მილი ნომინალისტია; მისთვის ზოგადი არის ერთეულთა ჯამი, კრებული. „ადამიანი მოკვდავია" ჩამოთვლილად უნდა გულისხმობდეს ყველა ცალკეულს, წინაალმდეგ შემთხვევაში მისი გამოთქმის უფლება არ გვექნება. ეს არის თეორია, რომელიც, ერთი ლოგიკოსის ხუმრობისა არ იყოს, ჩამოთვლილი უსასრულოს სასწაულს გვპირდება. როგორც I თავში აღვნიშნეთ, ნომინალიზმი ცოდნის, ზოგადის შეუძლებლობის, აგნოსტიციზმის გზაა. „ადამიანის მოკვდაობის" ზოგადის გამოსათქმელად ყველა ადამიანის სიკვდილს თუ დაველოდეთ, ამ ზოგადს ვერავინ გამოთქვამს!..

პროფ. მინტო გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სილოგიზმის მიმართ Petitio principii-ს მტკიცება თვითონაა ლოგიკური შეცდომა ignoratio elenchi. «Часто указывают на то,—пишет Минто,— что силлогизм влечет за собою Petitio principii, потому, что большая посылка содержит в себе заключение, и не может быть истиной, если не истинно заключение. Но на самом деле такой взгляд представляет собою ignoratio elenchi. Большая посылка действительно содержит в себе заключение,— это не оспоримо, но отсюда вовсе не следует, чтобы в силлогизме скрывалось Petitio principii. Petitio principii представляет собою диалектическую уловку, сознательный или безсознательный обман, скритое допущение; силлогизм-же далек от этого»[2].

ის, რაც აქ და შემდგომ აქვს ნათქვამი მინტოს, ყველაფერი მართალია რომ იყოს, საეჭვოა, რომ სილოგიზმს იხსნის ზემოთ მითითებული ბრალდებისაგან. აქ ხომ სილოგიზმს სწორედ იმას ედავებიან, რომ მისი დანასკვი ან იგულისხმება დიდ წინამძღვარ-

---

[1] Дж. Ст. Милль, Система логики силлогистической и индуктивной Кн. II, гл. III, Москва, 1914. სილოგიზმზე ანალოგიური აზრი აქვს გამოთქმული ჰეგელსაც.

[2] Проф. В Минто, Индуктивная и дедуктивная логика, СПБ, 1902, стр. 161.

ში, ამიტომ ახალი არაა, ან თუ არ იგულისხმება, მაშინ მისი (დიდი წინამძღვრის) გამოთქმის უფლება არა გვაქვს და ამიტომ არც სილოგიზმი გვაქვს (როგორც დედუქტიური დასკვნა).

ამიტომ ძირითადი სწორედ ისაა — მართლა იგულისხმება თუ არა დანასკვი დიდ წინამძღვარში.

მართლაც, ერთი მხრით, რაღა ზოგადი იქნება „ადამიანი მოკვდავია", თუ მასში არაა ნაგულისხმევი კერძო ადამიანთა მოკვდაობა; რა უფლებით უნდა ვთქვათ „ყველა ადამიანი მოკვდავია", თუ მართლაც ყ ვ ე ლ ა არაა მასში ნაგულისხმევი, ე. ი. სოკრატეც. მაგრამ თუ სოკრატეც იგულისხმება მასში, მაშინ ზოგადისაგან მისი გამოცალკევება, რა თქმა უნდა, არავითარი ახალი ცოდნა არ იქნება.

მაგრამ, მეორე მხრით, რა უფლებით გამოგვყავს „ყველა ადამიანის მოკვდაობიდან" „სოკრატეს მოკვდაობა"? — მხოლოდ იმის ძალით, რომ იცი — „სოკრატე ადამიანია", ანუ იცი მ ე ო რ ე, მცირე წინამძღვარიც. ამრიგად, როგორც ცნობილმა რუსმა ლოგიკოსმა კარინსკიმ შენიშნა, მ ა რ ტ ო დიდი წინამძღვრიდან კი არ გამოგვყავს დანასკვი, არამედ, მეორე, მცირე წინამძღვრის მეშვეობითაც. შესაძლოა იცოდე, ამბობს კარინსკი, რომ „ყველა დამნაშავე დაისჯება", მაგრამ არ გვეცოდინება დაისჯება თუ არა №, თუ არ იცი, რომ ის დამნაშავეა... „სოკრატე მოკვდავია" სრულებითაც არაა კერძო შემთხვევა ზოგადის — „ყველა ადამიანი მოკვდავია"; ის ამ ზოგადის კერძო იქნება მაშინ, როცა ვიცით — სოკრატე ადამიანია. ჩვენ, რომ ვამბობთ ყველა ადამიანი მოკვდავია, ცხადია, ეჭვი იმაში კი არ შეგვდის, მოკვდავია თუ არა ზოგიერთი ადამიანი; ე. ი. „ყველა ადამიანი მოკვდავია", აქედან ის დასკვნა კი არ გამოგვყავს, რომ „ზოგიერთი ადამიანი მოკვდავია", ეს მართლაც უშუალოდ გამოდის მისგან (დ ა მ ხ ო ლ ო დ მისგან!), არამედ სოკრატეს აღმოაჩნდა ნიშნები, რომლებიც ემსგავსება ყველა ადამიანს და სწორედ ამაზე ვასკვნით.

მოკლედ, ასკვნის კარინსკი, მცირე წინამძღვრის უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ მტკიცება იმისა, რომ სილოგიზმი petitio-ა. მაგრამ ეს უმართებლო იქნებოდა: დასკვნა კეთდება არა დიდი წინამძღვრიდან, არამედ ო რ ი ვ ე - დ ა ნ[1].

ამრიგად, დანასკვის სახით მიღებული დებულება არაა მოცემული არც დიდ წინამძღვარში, არც მცირეში; ის ისაა, რაც მათი

[1] М. Каринский, Классификация выводов, 1880, გვ. 52—53.

(ორივე წინამძღვრის) ერთად მოაზრების შ ე დ ე გ ა დ ა ა მ ი-ღ ე ბ უ ლ ი ე. ი. რაც მათში ჯერაც არაა მ ო ც ე მ უ ლ ი. უკეთ რომ ვთქვათ, „ყველა ადამიანის მოკვდაობაში“ სოკრატეს მოკვდაობის“ მ ო ა ზ რ ე ბ ა, რ ა დ გ ა ნ ა ც „სოკრატეც ადამიანია“, უკვე არის დასკვნა, ე. ი. ახლის მიღება და მის ზევით ან შემდეგ გამომდინარეობის ძიება ზედმეტია; დ ა ს კ ვ ნ ა მ ო ა ზ რ ე ბ ი ს (ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს) ფ ო რ მ ა ა. წინამძღვრების ერთიანობის მოაზრებაშია სწორედ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ახლის მიღებისა: უკეთ: წინამძღვრები შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს შეადგენენ დანასკვისათვის, წინაალმდეგ შემთხვევაში მათგან გამომდინარეობას აზრი არც ექნებოდა. ამ აზრით დანასკვი „მოცემულია“ წინამძღვრებში. მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. საქმე ხომ, მეორე მხრით, სწორედ იმას შეეხება, რომ დანასკვი გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს წინამძღვრებიდან, ე. ი. ა რ ა ა მ ა ს ში მოცემული. დასკვნა ამ ორი მხარის ორი საპირისპიროს ერთიანობაა[1]. ა მ ა შ ი ა დ ა ს კ ვ ნ ი ს დ ი ა-ლ ე ქ ტ ი კ ა. და ეს არის დასკვნის არა რომელიმე ტიპის ნიშანი, არამედ ს ა ე რ თ ო დ ყ ვ ე ლ ა დ ა ს კ ვ ნ ი ს ა თ ვ ი ს დ ა-მ ა ხ ა ს ი ა თ ებ ე ლ ი ა.

ამ მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა, ე. ი. საკითხისადმი არადიალექტიკური, მეტაფიზიკური მიდგომაა მიზეზი დაუსრულებელი დავისა, რომელიც წარმოებს ლოგიკაში დასკვნათა სინთეტურობა-ანალიტურობის შესახებ. სანამ საკითხს ასე არ მივუდგებით, მუდამ გამოუვალ მდგომარეობაში ვიქნებით, სინთეზურობა-ანალიზურობის საკითხი მუდამ გამოუვალ წრეში ტრიალს მოგვცემს, რაც შემდეგში გამოიხატება: ან დანასკვი მოცემულია წინამძღვრებში და მაშინ ის ახალს არაფერს შეადგენს; ამ შემთხვევაში „გამომდინარეობას“ აზრი არა აქვს; ან დანასკვი არაა მოცემული წინამძღვრებში, ის ახალი ცოდნაა, მაგრამ მაშინაც აზრი არ ექნება თქმას: „ის წინამძღვრებიდან გამომდინარეობს“, ე. ი. ვერც პირველ, ვერც მეორე შემთხვევაში გამომდინარეობა, გამომდინარეობის აუცილებლობა, ანუ დასკვნა არ გვექნება.

აზროვნების უნარი აბსტრაქციის უნარია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ აბსტრაგირება მხოლოდ გრძნობადობიდან განყე-

---

[1] ანალოგიურად კაპიტალისა; „კაპიტალი არ შეიძლება მიმოქცევიდან წარმოსდგეს და არც შეიძლება მიმოქცევიდან არ წარმოსდგეს. ის უნდა წარმოსდგეს ერთსა და იმავე დროს მიმოქცევაში და მის გარეთაც“. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 126.

ნებაა; უკუგდება, გამოყოფა, გამოცალკევება, აბსტრაგირება ახასიათებს აზროვნების ყოველ საფეხურს და, მაშასადამე, მოცემული აზრებიდან ახალი აზრის მიღებასაც. დასკვნა გამოხატავს აზროვნების სწორედ ამ გარკვეულობას; ორის ცალ-ცალკე მესამესთან კავშირშიაღება და ამ მესამის უკუგდებით ორს შორის კავშირის დადგენა — ამაშია დასკვნის არსი ანუ, სხვანაირად, ორის, განსხვავებულის ერთთან კავშირის ცოდნის საფუძველზე ამ ორის კავშირის დადგენა, მოაზრება (როგორც ითქვა, დასკვნა მოაზრების—აზროვნების—ფორმაა), ამ ახალი კავშირის დადგენა, გამოყვანა არის დასკვნა[1].

მდგომარეობის ასე წარმოდგენა აუცილებელს ხდის დანასკვში არ ვეძებოთ სრულიად ახალი (მაშინ მის „დანასკვობას", გამომდინარეობას აზრი არ ექნებოდა!); ამასთან დანასკვი სწორედ რომ ახალია, ისაა, რაც გამოყვანილია ორი ცნების ცალ-ცალკე მესამესთან კავშირიდან; ე. ი. მხედველობიდან არ უნდა

[1] პროფ. კ. ბაქრაძე, ახლებურად და არსებითად მართებულად აყენებს დასკვნის არსის საკითხს, რითაც მას შესაძლებლობა ეძლევა არსებითად დაძლიოს სინთეზურობა-ანალიზურობის ზემოთ მითითებული სიძნელე. მაგრამ, ვფიქრობთ, საკითხი მაინც ბოლომდე მიუყვანელი დარჩა. ავტორი წერს: „Для решения проблемы о характере умозаключения возмем простой пример: A=B; B=C; A=C. Если мы будем рассуждать следующим образом: „в посылках установливается равенство трех величин A, B, C, а в заключении делается вывод о равенстве двух из этих величин, именно A и C", то, конечно, вывод не дает ничего нового; в выводе повторяется то, что уже дано в посылках. Но сущность данного умозаключения заключается в следующем: даны две величины A и C, отношение между которыми нужно установить. Если отношение A и C дано непосредственно, тогда умозаключение излишне. К умозаключению мы прибегаем именно потому, что отношение между A и C непосредственно не дано. В чем же заключается сущность умозаключения? Она заключается в том, что для установления отношения между A и C мы отискиваем (ხაზი აქაც და ზევითაც ჩემია—ვ. ქ.) среди других величин такую величину B, относительно которой известно ее отношение к A и C. Эта величина B опосредствует отношение A и C" (Логика, стр. 237). სავსებით სწორია, რომ ჯერ კი არა გვაქვს სამი ცნების კავშირი, რათა შემდეგ მათგან ორის კავშირი დავამყაროთ; ეს მართლაც ახლის მოცემა არ იქნებოდა. მაგრამ ავტორის აზრი—გვაქვს მოცემული ორი, რომელთა კავშირისათვის ვეძებთ მესამეს, გამაშუალებელს, ეს, ვფიქრობთ, დასაბუთების სპეციფიკის გამოთქმა უფროა, ვიდრე საერთოდ დასკვნა-გამომდინარეობისა.

გამოგვეპაროს გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ-
რ ი ვ ი ბ უ ნ ე ბ ა.

ამდენად, დასკვნა უსათუოდ სინთეზური პროცესია. და ეს აუცილებელს ხდის შემდეგიც შეინიშნოს: ცნობილია ინდუქტიური დასკვნების მიმართ, რომ ისინი პრობლემატიური ბუნებისანი არიან (ე ნ გ ე ლ ს ი, ლ ე ნ ი ნ ი). ეს მართალია. მაგრამ დედუქციაც, გარკვეული აზრით, ასეთ მდგომარეობაში არაა? —წინამძღვრებიდან დანასკვის გამომდინარეობა, როგორც ზევით ვნახეთ, არც აბსოლუტურად ახლის გამომდინარეობაა, არც მ ხ ო ლ ო დ მასში მოცემულის; ე. ი. წინამძღვრები (დედუქტიურ დასკვნებშიც) არ არის აბსოლუტურად საკმარისი პირობები დანასკვისათვის, რაც თუნდაც იმაში ჩანს, რომ, როგორც ზევით ვნახეთ, საფუძვლის ხაზით უკან სვლა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა დასკვნისათვის და ეს „ნაკლოვანება" მის დიალექტიკურ ბუნებაზე მიუთითებს, რასაც, საბოლოოდ, ცოდნის დაუსრულებლობის, „ცდის დაუსრულებლობის" (ლ ე ნ ი ნ ი) ფაქტი ხდის გასაგებს.

ამ უკანასკნელი ფაქტის, ც ო დ ნ ი ს ა თ ვ ი ს დ ა მ ა ხ ა-ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ნ ი შ ნ ი ს გამოვლენა ინდუქციაშიც შეიმჩნევა, დედუქციაში, მხოლოდ ისინი თავისებურად გამოავლენენ ამას (ეს სპეციალური საკითხია და სხვა დროს და დაწერილებით უნდა გაირჩეს).

ამ მდგომარეობის არ გათვალისწინებაა სწორედ საკითხისადმი მეტაფიზიკური მიდგომა: რადგანაც წინამძღვარი საფუძველია დანასკვისათვის, ის უნდა იყოს მისთვის ისეთი საფუძველი, რომელიც თვითონ არ მოითხოვს საფუძველს; რადგანაც დანასკვი გამომდინარეობს წინამძღვრებიდან, ის სწორედ მასში მოცემული უნდა იყოს, თორემ მისგან გამომდინარედ ვერ ჩაითვლება და სხვ[1].

მოკლედ: ცოდნის დიალექტიკურობა ქმნის მისი ფორმის — დასკვნის დიალექტიკურობას; — დასკვნა განსხვავებულთა, საპირისპიროთა ურთიერთობაა: დანასკვი ისაა, რაც გ ა მ ო მ დ ი-ნ ა რ ე ა წინამძღვრებიდან, ე. ი. მასში ა რ ა ა მ ო ც ე მ უ ლ ი; მაგრამ, მეორე მხრივ, ის ისაა, რაც სწორედ წინამძღვრებიდან გამომდინარეა, ე. ი. მასში მოცემულია.

---

[1] სწორად შენიშნავს პროფ. ლ. გ ო კ ი ე ლ ი: «Нельзя ставить вопрос так: «содержится» или нет заключение в предпосылках. Это означало бы предварительную обработку предпосылок с точки зрения заключения, между тем как дело касается именно заключения» (Л. П. Гокиели, к проблеме аксиоматизации логики, Тбилиси, 1947, стр. 70).

თუ ეს ასეა, მაშინ, იტყვიან, საკითხი გადაწყვეტილია — წინააღმდეგობათა ერთიანობაა დასკვნის, როგორც სინთეზის კანონი და არა ლოგიკის ცნობილი კანონები.

წინააღმდეგობათა ერთიანობა დასკვნის, როგორც სინამდვილის ერთ-ერთი ფორმის, კერძოდ აზროვნების ფორმის, კანონიცაა, როგორც ეს აქ გამოჩნდა. მაგრამ როგორ ხორციელდება სინამდვილის ეს საყოველთაო კანონი დასკვნაში? ასეთია კითხვა, რომელზედაც პასუხს არ იძლევა ის, რომ წინააღმდეგობათა ერთიანობაა დასკვნის კანონი. ჩვენ მიერ ზევით დადგენილი მდგომარეობა, რომ წინააღმდეგობათა ერთიანობის კანონი აზროვნების, კერძოდ, გამომდინარეობის აუცილებლობის სფეროში ცნობილი კანონების სახით ხორციელდება, აქ უნდა დასაბუთებულ იქნეს და მხოლოდ მაშინ იქნება ეს კანონები გამართლებული.

§. 26. ლოგიკაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული, რომლებიც უარყოფენ იმას, რომ ცნობილი კანონები დასკვნაში ახლის გამომდინარეობის აუცილებლობას ხსნის. ზოგიერთთა აზრით საერთოდ ეს კანონები (ოთხივე) ვერ ხსნიან ამ პროცესს. ზოგიერთის აზრით პირველი სამი კანონი ვერ ხსნის ამას, ისინი მხოლოდ ანალიზურობას აპირობებენ, მხოლოდ მეოთხე — საკმაო საფუძვლის კანონი არეგულირებს დასკვნას, როგორც სინთეზურ პროცესს. ასე მაგალითად, პროფ. კ. ბაქრაძე წერს: «Неправильный вывод не противоречит ни большей, ни меньшей посылкам, отдельно взятым. Чему же он противоречит? Обеим посылкам? Как он может противоречить обейм посылкам, если он не противоречит каждой в отдельности? Наш неправильный вывод «железо не проводит электричество» не противоречит ни большей посылке «все металы проводят электричество», ни меньшей посылке, «железо—металл», ни обеим посылкам, а противоречит правильному выводу из этих посылок, именно, «железо проводит электричество». Поэтому правильность вывода регулируется не законом противоречия, а законом достаточного основания: посылки должны быть дастаточным основанием для вывода» [1].

ვფიქრობთ, რომ ეს მართალი არ უნდა იყოს. რაშია საკმაო საფუძვლის კანონის აზრი? — საკმაო საფუძვლიანობა იმას გამოთქვამს, რომ სწორ სილოგიზმში წინამძღვრები საკმარის საფუ-

[1] К. Бакрадзе, Логика, 1951, გვ. 428.

ძველს შეადგენენ დანასკვისათვის, რომ შედეგი (დანასკვი) არ შეიძლება **ეწინააღმდეგებოდეს** საფუძველს (წინამძღვრებს). საკმაო საფუძველი გამოთქვამს ზოგადად ი მ ა ს, რ ა ს ა ც ს ხ ვ ა კ ა ნ ო ნ ე ბ ი; საკმაო საფუძვლის კანონი არის დასკვნის (საფუძველ-შედეგის კავშირის) ზოგადი დახასიათება, დასკვნის არსის ზოგადი გადმოცემა. ამიტომ, თუ წინააღმდეგობისა და სხვა კანონები არ განაპირობებენ დასკვნას, მას ვერ განაპირობებს ის, რომელიც ამ კანონების აზრს გამოთქვამს მთლიანობაში, ზოგადად[1].

ეს რომ უფრო ნათელი გახდეს, განვიხილოთ ზოგიერთი რამ საკითხის ისტორიიდან.

დასკვნების (კერძოდ სილოგიზმის) ანალიტიკურობის თეორიის კრიტიკას, მათი სინთეზურობის დაცვას ლოსკი ცდილობს სწორედ საკმაო საფუძვლის კანონზე დაყრდნობით. დასკვნაც, ისევე როგორც მსჯელობა, სინთეზური სისტემაა; ისევე, როგორც მსჯელობაში პრედიკატი არაა განმეორება სუბიექტისა, ახალს წარმოადგენს, ასევე დანასკვიც ახალია წინამძღვრებთან შედარებით. სუბიექტი საკმაო საფუძველია პრედიკატისათვის; ასევე დასკვნაშიც— წინამძღვრები საკმაო საფუძველია დანასკვისათვის. იქ, სადაც ეს კანონი — საკმაო საფუძვლიანობა სახეზეა, იქ სინთეზურობაც გვაქვს. ხოლო მსჯელობის მიმართ ეს იმასაც უდრის, რომ მსჯელობა ყოველთვის ჭეშმარიტია; მსჯელობაში S-ს მხოლოდ ის მიეწერება, რის საფუძველსაც ეს S იძლევა, ამიტომ შეუძლებელია მსჯელობა მცდარი იყოს, ამტკიცებს ლოსკი.

სილოგიზმის წინამძღვრებიც საკმარისი საფუძველია დანასკვისათვის. მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს პროცესი განხორციელდეს? — ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აზროვნების ობიექტები გარკვეული იყოს. ამას ახორციელებენ ე. წ. გარკვეულობის კანონები: იგივეობის, წინააღმდეგობის, გამორიცხული მესამის[2]. თუ საკმაო საფუძვლის კანონი განსაზღვრავს მ თ ე ლ ს ი ს ტ ე მ ა ს მსჯელობისა, იმას, თუ როგორაა შესაძლებელი ახალი მიეწეროს S-ს, დანარჩენი სამი კანონი განსაზღვ-

[1] ეს მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს პროფ. კ. ბაქრაძეს 1955 წ. გამოცემულ „ლოგიკაში"; იხ. გვ. 334—336. ავტორი აქ უკვე იმ აზრს იზიარებს, რომ საკმაო საფუძვლის კანონისათვის დასკვნის სისწორის, ახლის გამომდინარეობის რეგულატორის როლის მიწერა შეცდომაა. ავტორი იქამდეც მიდის, რომ საკმაო საფუძვლის კანონს სრულებით უარყოფს, რ ო გ ო რ ც კ ა ნ ო ნ ს (გვ. 436), რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სავსებით მართებული, ყოველ შემთხვევაში მეტ არგუმენტებს მოითხოვს.

[2] Л о с с к и й, Логика, ч. I, Москва, 1922, зз. 74

რავს ელემენტთა გარკვეულობას. ასევე დასკვნაშიც: საკმაო საფუძვლის კანონი განაპირობებს დასკვნის ყველაზე სასიცოცხლო შხარეს, სახელდობრ იმას, რომლის წყალობით დასკვნა ახალს იძლევა, აფართოებს ცოდნას; სხვა კანონები გარკვეულობას უზრუნველყოფს; მათი ფუნქციები «Не творческие, а только полицейские, охраняющие матерял и добытые результаты от проникновения разрушительных элементов, но это не мешает им быть весьма почтенными и ценными. Не будем ожидать от них большего, чем они могут дать: созидательная роль принадлежит не им, а синтетическим логическим формам»[1]. ამიტომ ვუწოდოთ საკმაო საფუძვლის კანონს აზროვნების სინთეზურ-ლოგიკური კანონი, ხოლო დანარჩენებს—ანალიზური". Так как определенность объектов мышления зависящая от них, есть условие возможности анализа и аналитической необходимости следования»[2].

წინააღმდეგობები, რომლებიც აქ აღმოაჩნდება ლოსკის, ნათლად უჩვენებენ მის მიერ აზროვნების კანონების ასე დაყოფის მცდარობას. რას ნიშნავს «Аналитическая необходимость следования»? ლოსკი ხომ, ერთი მხრივ, თვითონ აკრიტიკებს თეორიებს, რომლებიც ამას შესაძლებლად თვლიან და ამიტომ მსჯელობათა და დასკვნათა ანალიზურ ფორმებს აღიარებენ; ანალიზური მსჯელობა, ანალიზური დასკვნა, ლოსკის აზრითაც, შეუძლებელია. მეორე მხრივ, როგორც ვხედავთ, იძულებულია ილაპარაკოს გამომდინარეობაზე, რომელიც ანალიზურადაა აუცილებელი. სად ან როგორ ხორციელდება ასეთი გამომდინარეობა? არსებითი ისაა, რომ ლოსკი თვითონ იძულებულია ილაპარაკოს ისეთ ფორმებზე (დასკვნისა), სადაც საკმარისი არის იგივეობის, წინააღმდეგობის და გამორიცხული მესამის კანონები (იხ. ე. წ. «Умозаключения по противоположности»)[3]. a-ს ჰეშმარიტებიდან O-ს მცდარობის გამოყვანა, რაც, ლოსკისავე აღიარებით, წინააღმდეგობის კანონს ექვემდებარება, თუ ანალიზური პროცესია, დასკვნა როგორღა არის (მართალია უშუალო, მაგრამ მაინც დასკვნა). შემდეგ: თუ ამ პროცესისათვის საკმარისია წინააღმდეგობის კანონი, ეს ხომ იმას ნიშანავს, რომ აქ საკმაო საფუძვლის კანონის მოქ-

---

[1] Лосский, Логика, ч. II, Москва, 1922, გვ. 120—121.
[2] Лосский, Логика, ч. I, Москва, 1922, გვ. 78—79.
[3] Лосский, Логика, ч. II, გვ. 47.

შედება არ უნდა იყოს საჭირო (თორემ პირველი რაღა საკმარისი იქნებოდა!); მაგრამ იქ, სადაც საკმაო საფუძვლის კანონი არ მოქმედებს, ლოსკისავე მიხედვით, აზროვნების სფეროში ყოფნა არცა გვაქვს — ასეთი სფერო, ამბობს ლოსკი, ფანტაზიის, საუკეთესო შემთხვევაში, წარმოდგენის სფეროა. გამოდის, რომ ყველაზე სრულქმნილად ლოგიკური სფერო (ე. წ. ლოგიკური კვადრატი და სხვ.) ლოგიკის სფეროს გარეთ უნდა დარჩეს; და ეს უნდა მოხდეს იმის გამო, რომ ის ექვემდებარება წინააღმდეგობისა და სხვა კანონებს — ლოგიკის ძირითად კანონებს! მაგრამ განა ძნელია იმის ჩვენება, რომ იქ, სადაც წინააღმდეგობის შეუძლებლობაა საკმარისი კანონი (a-დან O-ს მცდარობის გამომდინარეობა), უ კ ვ ე ა მ ი თ საკმაო საფუძვლის კანონიცაა დაცული; უფრო ზუსტად: აქაც წინამძღვარი საკმარისი საფუძველია დანასკვისა და ამას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ ეს პროცესი წინააღმდეგობის კანონს ექვემდებარება, რომ აქ წინააღმდეგობის კანონი **საკმარისი** პრინციპია.

ამრიგად, მტკიცება იმისა, რომ საკმაო საფუძვლის კანონია სინთეზურობის კანონი, დანარჩენი სამი — ანალიზურობისა, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს; თვითონ ისინი, ვინც საკმაო საფუძვლის ასეთ გაგებას ცდილობენ, იძულებულნი არიან ამის გადმოსაცემად წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს კ ა ნ ო ნ ს მ ი მ ა რ თ ო ნ: წინამძღვრები საკმაო საფუძველია დანასკვისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დანასკვი ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ო დ ე ს იქნება სწორ დანასკვს ამ წინამძღვრებიდან. ამრიგად, საკმაო საფუძვლის ბოქმედება წინააღმდეგობის შეუძლებლობაზე დამყარებით ხდება ნაჩვენები.

ე. ი. ამ კანონების ასე გათიშვა[1] მცდარია ისევე, როგორც მცდარია საერთოდ მსჯელობათა და დასკვნათა დაყოფა ანალიზურად და სინთეზურად. ლოგიკოსთა უმეტესობა სრულიად ანგარიშმიუცემლად, და ამდენადვე მცდარად, იღებს კანტის იმ შეც-

---

[1] ვედენსკი, როგორც ცნობილია, ეკამათებოდა ლოსკის ამ კანონების ასე გაგება-გათიშვის გამო. მაგრამ თვით ის ახალ` და ასევე უსამართლო გათიშვას მიმართავს: ის ფიქრობს, რომ სწორ სილოგიზმს განაპირობებენ საერთოდ ეს კანონები (და არა მარტო საკმაო საფუძლისა), მაგრამ ზოგიერთი მათგანი ბუნებრივია (იგივეობის, გამორიცხული მესამის), ზოგიერთი — ნორმატული (საკმაო საფუძვლის; წინააღმდეგობის კანონი ბუნებრივია წარმოდგენისათვის, აზროვნებისათვის — ნორმატული). არაბუნებრივს (ნორმატულს) როგორ შეუძლია განაპირობოს ბუნებრივი პროცესი (გამომდინარეობის აუცილებლობა)? (იხ. Введенский, Логика, как часть теории познания, СПБ, 1912, XIII).

დომას, რომ წინააღმდეგობისა და სხვა კანონები მხოლოდ ანალიზურობას აპირობებენ, რომ, თითქოს, ის, რაც ლოგიკურად აუცილებელია იმის გამო, რომ შეუძლებელია მისი უარყოფა წინააღმდეგობაში ჩავარდნის გარეშე, ნიშნავდეს აზრის ანალიზურობას.

ვფიქრობ, რომ საკითხი არასწორადაა დასმული.

§. 27. «Вопрос не о том, есть-ли движение, а о том, как его выразить в логике понятии» — წერდა ლ ე ნ ი ნ ი ძენონის აპორიის შესახებ[1]. ანალოგიურად უნდა დაისვას საკითხი გამომდინარეობის აუცილებლობის შესახებ. ისევე, როგორც მოძრაობის გამოხატვის, გამოთქმის ცდამ თვითონ მოძრაობის ფაქტი არ უნდა დააყენოს ეჭვს ქვეშ, ასევე გამომდინარეობის აუცილებლობის კანონის დადგენამ თვითონ გამომდინარეობა კი არ უნდა გახადოს საეჭვო და დასამტკიცებელი. ე. ი. პასუხი იმის შესახებ კი არ მოგვეთხოვება—არის თუ არა შესაძლებელი რაიმედან განსხვავებულის გამომდინარეობა, არამედ იმის შესახებ — ე ს ფ ა ქ ტ ი რ ო გ ო რ ი კ ა ნ ო ნ ზ ო მ ი ე რ ე ბ ი ს ა ა. საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა განსხვავებულს განსხვავებული მიეწეროს (ან განსხვავებული გამომდინარეობდეს) გადაწყვეტილია მაშინ, როცა დადგინდა აზროვნების, როგორც მატერიის განვითარების უმაღლესი ფორმის ფაქტი — აზროვნების უნარი განსხვავებულის მიწერის ან გამოყვანის უნარია; ზოგადის დაჭერა განსხვავებულებებში იმასაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია ყოველ განსხვავებულს (ერთეულს) მ ი ე წ ე რ ო ს ეს ზ ო გ ა დ ი — ე. ი. მ ი ს გ ა ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ებ უ ლ ი. აზროვნების ბუნების ამგვარი ახსნით მარქსისტულ ფილოსოფიას უკვე გადაწყვეტილი აქვს საკითხი — რ ო გ ო რ ა რ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ზ რ ი ს ს ი ნ თ ე ზ უ რ ო ბ ა და როცა საკითხს ვეხებით — როგორია სინთეზურობის კანონი, დადგენილი ისევ საეჭვოდ და დასამტკიცებლად არ უნდა გავხადოთ. მთელი მარქსამდელი ფილოსოფია და ლოგიკა თუ ვერ წყვეტდა საკითხს ლოგიკურობის, აზრის სინთეზის კანონის შესახებ, ეს იმიტომ, რომ მათ აზროვნების ბუნება, აზროვნების ნამდვილი არსი გადაუწყვეტელი და აუხსნელი ჰქონდათ. ამიტომ მათ მიერ ლოგიკურობის კანონის საკითხის დასმა არეულია საკითხთან — არის თუ არა შესაძლებელი განსხვავებულისათვის განსხვავებულის მიწერა. «Есть какая-то врожденная проницательность, которою обладают немногие и которая дает им возможность, конечно не без труда и временных ошибок, открывать одно во многом» —

[1] В. И. Л е н и н, Философские тетрады, გვ. 240.

წერს ჯევონსი[1]. საკითხის ასე დასმა დამახასიათებელია მთელი მარქსამდელი ლოგიკისათვის. ე. ი. ლოგიკურობის, სინთეზის ფაქტის **ახსნის** ნაცვლად თვითონ ფაქტის **დადგენის** მიმართულებითაა კვლევა წარმართული, ე. ი. ამ ავტორებს გადაუწყვეტი აქვთ საკითხი — როგორაა შესაძლებელი აზროვნება. ამას ადასტურებს, მაგალითად, ლოსკის ის მსჯელობა, რომელიც ზევით მოვიყვანეთ დასკვნის ანალიტურობა-სინთეზურობის საკითხზე. ლოსკი ხომ სწორედ ასე სვამს საკითხს — რომელ კანონს მიეკუთვნება „შემოქმედებითი" როლი, ე. ი. ეძებს კანონს, რომელმაც უნდა მოგვცეს აზროვნების (ახლის გამოყვანის) ფაქტი. მარქსიზმს, როგორც ვთქვით, ეს საკითხი გადაწყვეტილი აქვს და ლოგიკურობის ახსნისას თვითონ ლოგიკურობა სადავოდ და საეჭვოდ არ უნდა გავხადოთ.

ადამიანი მოკვდავია
ივანე ადამიანია
ივანე მოკვდავია

ამ შემთხვევაში ის კი არ უნდა ვიკვლიოთ, თუ როგორ შეგძელით დასკვნის გაკეთება, ე. ი. როგორ შევძელით აზროვნება, არამედ პასუხი მოგვეთხოვება იმაზე, რატომ სწორედ „ივანეს მოკვდაობა" დავასკვენით? — და ამაზე სავსებით საკმარისი პასუხია — ჩვენ არ შეგვეძლო სხვა დაგვესკვნა წინააღმდეგობაში ჩავარდნის გარეშე.

[1] Ст. Джевонс, Основы науки, СПБ, 1881, გვ. 584.

# შ ი ნ ა ა რ ს ი


| | | გვ. |
|---|---|---|
| 1. | წინასიტყვაობა . . | 3 |
| 2. | თავი პირველი—ზოგადის საკითხი . . . . . | 5 |
| 3. | თავი მეორე—აზროვნების კანონების შესახებ | 33 |


---


დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი შ. თ ო ფ უ რ ი ა
ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა
კორექტორი ნ. ყ ი ფ ი ა ნ ი

გადაეცა წარმოებას 24.7.1956; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 3.8.1956; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 3,25; საბეჭდი ფურცელი 6,5; საავტორო
ფურცელი 5,6; ს ა ა ღ რ ი ცხვო-სა გამომცემლო ფურცელი 5,71;
შეკვეთა 263; უე 04550; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 50 კაპ.

---

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.